

ისიფი

ლიტერატურული ჟურნალი

ISSN 2449-3120

№12

ისინქტი

ლიტერატურული ჟურნალი

№12

2021

რედაქტორი

იკა ქადაგიძე

სარედაქციო კოლეგია:

ლერი ალიმონაკი (საპატიო წევრი)
რეზო ემელიანე ადამია (საპატიო წევრი)
ბონდო არველაძე (საპატიო წევრი)
ვახტანგ ბახტაძე
აკაკი ბრეგაძე (საპატიო წევრი)
ვანო გელაშვილი (საპატიო წევრი)
მარინა თექთუმანიძე (საპატიო წევრი)
ჯემალ მეხრიშვილი
ერეკლე სალლიანი (საპატიო წევრი)
თეიმურაზ ნადარეიშვილი
მარსიანი
გიორგი შიშნიაშვილი

წინა ყდა: „ვეფხისტყაოსანის ილუსტრაცია“ – მხატვარი – მარსიანი

უკანა ყდა: ილუსტრაცია დიანა მეტონიძის რომანისა „მესიის მახვილი“ –

მხატვარი – მარსიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ელენე დობორჯგინიძე

შინაარსი

რედაქტორის წინათქმა.....	5
პუბლიცისტიკა	
იკა ქადაგიძე – ვეფხისტყაოსნის შესახებ	7
ინტერნეტსპექტრი	
პოეტ პოეტიშვილი – ღვინის აკვანი, ვაზის გვირგვინით! (პოეზია)	9
კრიტიკა	
ვანო გელაშვილი – წარსულის მოზაიკა-„მაროს კაკალი“	11
პროზა	
სანდრო ნებიერიძე	14
ლტოლვილი ლიტერატურული კრიტიკა	
ჯემალ მენურიშვილი ღია წერილი.....	18
ემიგრანტული სარკმელი	
ნანა შალამბერიძე შეილა.....	20
ეროვნული ფასეულობების სადარაჯოზე	
როლანდ თოფჩიშვილი- „ოსების საკითხი“	24
პროზა	
ციცინო ბენიძე – ამონარიდი რომანიდან შემოდგომის მზე.....	27
თარგმანი	
მედგარ ქელიძე- „გალაკტიონი რუსულად“	29
ისტორიული პორტრეტები	
როსტომ შამუგია – აი, როგორი პრეზიდენტი გვყავდა!	33
ერთი ლექსის გაელვება	
მარსიანი – მურმან ლებანიძე	37

პროზა

დიანა მეტონიძე – ამონარიდი რომანიდან „მესიის მახვილი“ 38

კრიტიკა

მარსიანი – “ვეფხისტყაოსანი“ 40

თარგმანი

ვახტანგ ბახტაძე – პატრიარქ ტიხონის ანათემა ბოლშევიკებს 45

ღირსსახსოვარნი, ჯემალ ქირიას ხსოვნას

მარსიანი – ჩვენი ჯემალი, **იკა ქადაგიძე** „მარადი მხედრის“ ნოსტალგია 49

მოსაგონარი

ნოშრევან თავხელიძე-ლექსები..... 52

ნარსულის სპექტრი

ნომადი ბართაია - ეროვნული მოძრაობის დღიურებიდან 54

დრამატურგია

იკა ქადაგიძე - პირადად კორონა 57

პოეზია

პოეტ პოეტიშვილი - „ვეფხისტყაოსნის პერსონაჟებთან გაშაირება“ 61

ესეისტიკა

თეიმურაზ ნადარეიშვილი - ჰამლეტი (შექსპირული ჩანახატები)..... 62

რელაქტორის წინათქმა

კულტურა იდეური ხელოვნების გამოხატულებაა, რომელიც ზნეობრივი საფა-
ნელის გარეშე წარმოუდგენელია. ცივილიზაცია უღმერთობის კვალდაკვალ უწინ-
არესად მატერიალურ კეთილდღეობაზე ამხსვილებს ყურადღებას, რის გამოც მისი
პრიორიტეტი უპირველესად წარმატებული ადამიანის თავბრუდამხვევი კარიერუ-
ლი მიღწევების წახალისებაა. მოკლედ, კულტურისა და ცივილიზაციის ქიდილში
საკითხავია ადამიანი რას ირჩევს...

კორონოვანი ქარტეხილის ფონზე მსოფლიოს დეზორიენტირებულობა ნათ-
ლად გამოიკვეთა. უმძიმეს გამოწვევებთან შეჯახებისას ადამიანები მიხვდნენ,
რომ რწმენის გარეშე სამყაროში აღარავის გაეძლება და ოდენ ტექნიკური
პროგრესის იმედად ყოფნა იმდენად სახიფათოა, ეს ბიოლოგიურ-ეკოლოგიური
კატაკლიზმების გახშირებამ უსიტყვოდ დაადასტურა. ამდენად, უმნიშვნელოვანესი
დილემა: საყოველთაო სეკულარიზმის ხუნდებიდან გათავისუფლება დროულად
თუ არ მოხდა, მსოფლიო გაუცხოებისა და მტრული ბანაკების დაპირისპირებაში
ჩაიძირება. ლიბერასტების მხრიდან კორონავირუსის მომიზეზებით ქრისტიან-
ულ რელიგიაზე მასირებულმა შეტევამ უკუღმართი შედეგი გამოიღო, რასაც
აღმოსავლეთმა, კონკრეტულად კი თურქეთმა უკიდურესი აგრესია დაუხვედრა:
ქრისტიანული სამყაროს უდიდესი ცენტრის, აია სოფიას ტაძრის მეჩეთად გადა-
კეთებით დასავლურ სამყაროს ომი გამოუცხადა; ცალკე თემაა, ცივილიზებული
ქვეყნები ესოდენ სახიფათო გადაწყვეტილებას ჯერჯერობით რომ არ იმჩნევენ,
ან მხოლოდ თეორიულ და დიპლომატიურ წუხილს გამოხატავენ. ფაქტია, ეს განხ-
ეთქილება ამით არ ამონურება; სანამ უახლესი მოვლენების ამსახველ ვრცელ
წერილს “ისინდის“ მომდევნო ნომრისთვის მოვამზადებ, ჟურნალის რიგით მეათე
ნომერს მარსიანის მიერ შესრულებული ქ რ ი ს ტ ე ნავუძღვარე. ეს ჩვენი
გზავნილია უღმერთობით დაქუცმაცებული კაცობრიობის საბედისწერო რყევის
საპირწონედ- ჩვენ მამაპაპურ რწმენას განვამტკიცებთ, კულტურის მეშვეობით
დავიცავთ ჩვენს სარწმუნოებას, ვინაიდან მარადიული იდეის გარეშე კაცობრიობის
არსებობა გაუმართლებელია. ქრისტე, როგორც კაცობრიობის მხსნელი ადამის
მოდგმის განსაწმენდად იშვა და თუკი ცივილიზაციამ ჩვენ ეს დაგვაგინყა, მაშინ
დრამატული ქარტეხილების მოზღვაგება საყოველთაო კატასტროფის მაუწყებელია.

მარადიულ ფასეულობების დაცვისას ყველა დროის ეროვნულად მოაზროვნე მებრძოლი მწერლების უშუალო მოვალეობაა უმწვავესი ქარტეხილების კვალდაკვალ საკუთარ ქვეყანას უანგაროდ ემსახურონ, რაც ვინრო პარტიულ ინტერესს სათავეშივე გამორიცხავს; სამწუხაროდ, უკიდურესად პოლარიზებული საზოგადოების ნიაღში კვლავ გადაულახავი დილემაა სამშობლო ნებისმიერ პარტიულ ინტერესზე მაღლა დააყენონ, რაც ამავდროულად ზოგადსაკაცობრიო კულტურის შენარჩუნების სწორ მიმართულებას ემთხვევა და გვავალდებულებს წონასწორობის ხელოვნება სათანადოდ აღვიქვათ და წარმოვაჩინოთ, რაც ეგოისტური, საყოველთაოდ საზიანო უიდეო სანყისის უკუგდებას ნიშნავს; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს აუცილებელი წინაპირობაა არამყარი პოლიტიკური თამაშების საპირწონედ ყურადღება უმთავრეს ფასეულობებზე გავამახვილოთ. ნამდვილი მწერლის, იგივე ერის ჭირისუფლის მყარი და მართებული მრწამსი სწორედ ამით განსხვავდება საეჭვო ავანტიურებში ჩათრეული პოლიტიკოსების ურთიერთსაინააღმდეგო ორიენტაციისგან, ნდობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში ქვეყანასა და ზოგადად ერის კულტურას დიდ განსაცდელს რომ უქმნიან, რისი არაერთი სავალალო მაგალითი ჩვენ წინაა. „ისინდი“, რომელიც ეროვნული ფასეულობების დასაცავად იშვა, ცხადია, ეროვნულ ორიენტაციას უცვლელად იცავს და მსოფლიო ქარტეხილების საპირწონედ მაცდურ, სახიფათო დინებას მკვეთრად ემიჯნება...

აქედან გამომდინარე, ხელოვანების, განსაკუთრებით სიტყვის მსახურების მოვალეობაა თანამედროვე გამოწვევებს ღირებული იდეების განხორციელებით დაუპირისპირდნენ და ზნეობის მეშვეობით ათას ბანაკებად დაქსაქსულ დაბნეულ ადამიანებს მარადიული ფასეულობები ხელახლა შეაყვარონ და სულიერად განამტკიცონ ბოროტ ძალასთან საბრძოლველად.

„ისინდი“ მსოფლიო ქარტეხილებს გაბედულად ეხმაურება და დრამატული მოვლენების დროული შეფასებით კულტურას ირჩევს ცივილიზაციასთან დაპირისპირებისას. ფსონი იმდენად მაღალია, ამ უთანასწორო ომში ჩაბმულ ხელოვანებს გააზრებული აქვთ, რომ ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოა და ჯანსაღი სამყაროს გადასარჩენად ნებისმიერმა პიროვნებამ საკუთარი წვლილი აუცილებლად უნდა შეიტანოს.

„ისინდი“- როგორც ღირებული იდეის სიმბოლო, ეროვნული ფასეულობების სადარაჯოზე დგას და სამშობლოსმოყვარულ, კეთილსინდისიერ და გემოვნებიან მკითხველებს მრავალფეროვან შემოქმედებით არჩევანს სთავაზობს.

იკა ქალაგიძე

ვეფხისტყაოსნის შესახებ

Sos!- „ვეფხისტყაოსანი“- „სახალხო დამცველის“ საჯიჯგნად!

კორონოვანი წელთაღრიცხვის მორიგი სამარცხვინო სკანდალი - სახალხო დამცველი „ვეფხისტყაოსანს“ რასისტულ წიგნს უწოდებს და სკოლებში მის აკრძალვას ითხოვს. ესეც ლიბერასტების ზემკრებელური ულტიმატუმი! ქართველთა მარადიული ბიბლიის ხელყოფის მცდელობა ლამის სახელმწიფოებრივ დონეზე გაჟღერდა. ერიჰაა, ესენი აღარ ხუმრობენ. შეულახავი სინმინდეები არ დატოვეს, რასაც ტალახს არ ესროდნენ. და აი, მსოფლიო ქარტეხილების ფონზე, როდესაც ჯანსაღად მოაზროვნე ქვეყნებში ეროვნული იდეალები ძლიერდება და ნაციონალური სულისკვეთება თვალსადახელშეა იზრდება და ფართოვდება, ბნელი ძალების მავნე დირექტივებს ადევნებული მაღალანაზღაურებადი მანქურთები კვლავ ოქროს კვერთხს ემონებიან. ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალილა აკლდაო, სწორედ ამგვარ ბოღვაზეა ზედგამოჭრილი. „ხალხის საუნჯის დამცველებს“ რუსთაველის გენიალური ქმნილების წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის გამოცხადებალა აკლდათ; ესეც თანამედროვე დემოკრატიის თანმდევი ექსკრემენტული სურნელის ზენოლის ექო, რომლის ჩასუნთქვა კოვიდის ვირუსზე არანაკლებ მომწამვლელია. როგორც ჩანს, სახალხო დამცველის ყველგანმყოფი ხორთუმი ამჯერად „მონა ზანგების“ დასაცავად საბრძოლო დროშად მედგრად მოიმარჯვეს. ჩვენში დარჩეს ამ საყოველთაო „ჰუმანისტებს“ ვინ უშლით შავკანიანი რასისტების მოწოდების თანახმად მათ წინ მოკრუნჩხულნი დაემხონ და თეთრების სისხლით გაჟღენთილი ფეხსაცმელი გულმდუღარედ დაუკოცნონ, რის სამარცხვინო მაგალითსაც ცოტა ხნის წინ ვიდეოკადრებით გადმოსცემდნენ. ყალბი მასობრივი პროპაგანდით დაზომბირებული არსებებისთვის ეგებ ეს მისაღები საქციელია, მაგრამ რასიზმის განზოგადებულ არსს ოდნავაც არ ცვლის. ბოლოდროინდელი მოვლენების კალეიდოსკოპი ცხადყოფს, გუშინდელი „მონა



ზანგი“ დღეს მრისხანე ბატონობას იჩემებს და ვაი იმ თეთრკანიანების ბრალი, ვინც გააზატებული მონების კლანჭებქვეშ ნებაყოფლობით აღმოჩნდება. ეს ერთი შეხედვით მარტოოდენ ამერიკული სატკივარია, (ცხადია, სხვაგანაც დგას დღის წესრიგში ეს საკითხი), რომელსაც ამ ზესახელმწიფოს ღირსეული ლიდერი, დონალდ ტრამპი მოსახლეობასთან ერთად წარმატებით უმკლავდება და ესენი აქ ვის ტიკი ტომარად აცხადებენ თავს, რომელ არამკითხე მოამბეობას აწვევიან, საკითხავია! უდიდესი წინაპარი ასე ხელაღებით თავიანთ ტვინნაღრძობ ბოსებთან სასწრაფოდ რომ დაასმინეს და საკუთარი ჯიბეების გასასქელებლად შუასაუკუნოვანი ვერდიქტის ამოქმედების კატეგორიული სიგნალი გამოსტყუეს?! სადამდე შეიძლება ამ მეცამეტე გოჭებმა საკუთარი სამშობლო ფინანსების ეშხით დააბეზღონ, შეურაცხყონ, ჯიჯგნონ და თხასავით უსინანულოდ გაყიდონ?! მრავალჭირგამოვლილ საზოგადოებას კარგად ახსოვს წლების წინ ერთი თანამედროვე პავეტის ვითომპოემას როგორ ელოლიავებოდნენ და აღვივებდნენ. სწორედ მაშინ გაბედეს პირველი გარღვევა და „ვეფხისტყაოსნის“ პაროდირების მცდელობა ოდენ მხატვრულ ეპატაჟად გაასაღეს, თუმცა საღად მოაზროვნე ადამიანებმა მაშინვე იაზრეს ეს

სკანდალი სინამდვილეში რა შორსმიმავალ მზაკვრულ მიზანს ემსახურებოდა. ზუსტად 12 წლის წინ ერთ საინტერესო თავყრილობაზე საკმაოდ ცნობილი მწერლების თანდასწრებით ამ ფაქტთან მიმართებისას მძაფრი საჯარო პროტესტი გამოვხატე, (სხვები რატომღაც ბუჩქებში ისხდნენ ტრადიციულად) რაც მოგვიანებით საკმაოდ მწვავე წერილს დაედო საფუძვლად, რომელიც ჩემს პირველ კრიტიკულ-პუბლიცისტურ კრებულში: "ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!" (2009) გამოქვეყნდა და მწერლებს შორის დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ამ სტატიის ფინალში გავლენიანი, ავტორიტეტული მწერლებისა და ლიტერატორების გაუმართლებელი პოზიციის მწვავე კრიტიკის პარალელურად ვწერდი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დასაცავად ქუდზე კაცი უნდა გამოსულიყო. რა ძნელი მისახვედრია, იმ ბედოვლათი ავტორის გაპიარებისა და დაცვის კვალდაკვალ ლიბერასტებმა სასურველი ნიადაგი წინასწარ შეამზადეს და აგერ, დღეს უკვე სახალხო დამცველის პირით გაცხადდა უკიდურესად სახიფათო და ვერაგული განზრახვა, მომავალ თაობას „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი ყურმოკვრითაც აღარავინ უხსენოს, რათა ბოროტი ძალის ზენოლის შედეგად საბოლოოდ გადაგვარდეს. ისედაც ძირგამომპალი საგანმანათლებლო სისტემის დასამარებას სწორედ ეს ულტიმატუმიღა აკლდა! ფაქტია, მომავალ თაობების სრული დეგრადირების მიზნით მაღალზნობრივი ლიტერატურის აკრძალვის გეგმა მოქმედებს და მისი ჩანაცვლება სუროგატებით სავალდებულო ხასიათს იძენს. როდესაც ეს წრეგადასულად მარაზმული განცხადება გავრცელდა, დატვირთული გრაფიკის მიუხედავად ვაკვირდებოდი სოციალურ ქსელში ამტყდარი სახალხო ვნებათაღელვის კვალდაკვალ ეროვნულად მოაზროვნე მწერლების სახელით ერთობლივი საპროტესტო მიმართვა ან თუნდაც რომელიმე წონიანი მწერლის შესაბამისი განცხადება თუ გამოქვეყნდებოდა, მაგრამ შენც არ მომიკვდე. ორგანიზებული პროტესტის მართებული გამოხატვა უკიდურესად დაქსაქსულ თანამოკალმეებს იმდენად არ ეპიტნავებათ, თავიანთი ჭკუით მხოლოდ საკუთარ გვერდზე მეფობენ და იბრძვიან, იმ დონეზე სურთ არარსებული წინამძღოლო-

ბა, ამ იდეით შეპყრობილები ამაგსა და კოლეგიალობას აღარაფრად დაგიდევენ და ისეთ პოსტებს არ „გილაიქებენ“, ელემენტარულ ადამიანურ ეთიკას რომ საგრძნობლად სცილდება; თორემ უმრავლესობა რომ მხოლოდ ფუჭსიტყვაობს, დიდი ხანია არაერთგზის დავრწმუნდი, რადგან სადაც ჯერ არს, იქ არასდროს ხმა არ ამოულიათ და ვინც ამას მათ მაგივრადაც აკეთებს, იმას საერთოდ ვერ ეთვისებიან და უწყვეტად მტრობენ. როგორც ყოველთვის, ქართლის ჭირის თანმდევი გაუტანლობის აღმოუფხვრელი სენი სახეზეა, რაც მტერს ამდენ უკეთურებას აბედინებს. და თუ ამ ტიპის მიმართვა არსებობს, მაშინ შვებით ამოვისუნთქავ და გამეხარდება, რომ ძვირფასმა კოლეგებმა ამ ერთადერთხელ არ შემანუხეს და საომრად არ გამიწვიეს, აქაოდა რადგან ჩვენს კერძო ინტერესებს არ დაიცავს, და მაინც მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაშია, საერთო საქმით დამაშვრალი შესვენებას წამდვილად იმსახურებსო. და ბოლოს: როდის აქეთაა, ვინმეს დაძახილი მჭირდება, როცა საყოველთაო განგაშის ზარია ჩამოსარეკი?! ოცნებას კაცი არ მოუკლავს და ამიტომ ვიმედოვნებ, რომ ერთ მშვენიერ დღესაც ერთ მუშტად შეკრული სიტყვიერად მოტრახბახე მწერლები ეროვნულ სინმინდეებს საქმით ორგანიზებულად დაიცავენ, რითაც მთელ საზოგადოებას შესაფერის მაგალითს უჩვენებენ. მანამ კი ყველამ, ვისაც სად მოესურვება, ხმა იქ აღიმალლოს; მთავარია, ამ უმსგავსობას არ გაუჩუმდნენ და გულგრილობისა და განურჩევლობის ნიღბით მტრის წისქვილზე წყალი არ დაასხან...

„ცდა, ბედი და გამარჯვება!“ რუსთაველის გენიალური სიბრძნე ზედროულია და მას ვერანაირი ყალბი დამცველის თუ ფულიხვეჭია ჩინოვნიკის დროებით კაბინეტში ვერასდროს ვერავინ გადასწონის!

17.06.2020.

ჰოპ ჰოპტიჰოპი (ჰაატა სურმანიძე)

ლვინის აკვანი, ვაზის გვირგვინით!

რაც რომ დაგიდგით, სისხლში დაგიდის
და ძმობამ გული დაგვადაღვინოს.
ვაზს გჭრიდნენ, მაგრამ ვერ ამოგძირკვეს,
ფესვი ვერც ერთმა მტერმა გაგიხმო,
ლვინის სიძველე მომავალს ირკვევს,
გვერდზე ძირძველმა ერმა გაგიხმო.
და როგორც ხორგო აივსე ბურნით.
მომცა ცისარტყლის მე წვიმამ ულო.
მტერი გეხვია თავისებურნი,
ვით მუხას მუმილი, მენვი მამულო.
აისს უძმობდა დაისი დური,
ქართული ღვინით შეფიცულები.
მათრობს სიდურით ცა ისიდური,
მისდევს ჰაატას შეფი ცულებით.
და მისის ვარდებს მისტერ იები,
ვეტრფით ფიალის რიტმული ალით,
ლვინის უკვდავი მისტერიებით,
ტრადიციებით და რიტუალით.
და ლოთზე სიტყვა მერითმე ბოლთით,
როცა მოვკდები ტალანტიონი,
გთხოვთ, ჩამაყოლეთ, მე ერთი ბოთლი-
ცქრიალა ღვინო გალაკტიონი.
საფლავის ირგვლივ ვაზი დამირგეთ,
საფლავის ქვაზე სამი მტევანი.
გამოვა ლექსის ვიზით და ირგეთ,
სიმპოზიუმის სამიტზე ვანი.
არ მოლევს, მართალ ტკბილ ტიკტიკს ქორი,
ქართული სიტყვის დათაფლავენას.
ქართველებს გვიყვარს, ღვინის ტიკჭორით
მთვრალ სიმღერებში დასაფლავება.
არ ამევსება, ვაბარებ მიმტანს
თმენის ფიალა- მნდე სანყაულით.
შენ გადღეგრძელებ, ვინც რომ ვერ მიტან,
სანყალს განვალებ დღესასწაულით.
შვილები მინდა აღდგენ ელოსი,
მისი ძუძუმტე აღგეთს რ-ძე-ლოთი.
მზეს უგალობდა ცხრა ანგელოსი,
ვაზის ჰიმნს, ქვეყნის სადღეგრძელოთი.
ამ ლექსის მერე მინდა დროშაზე,
დააჩნდეს ნაზი ვაზის ფოთოლი.
დალის საათზე დადნა დრო რაზე?
თამადას ვცნობდით თავის ბოლოთი.
ცისარტყელაა მხატვრის პალიტრა,
იშლება ცაზე ფერთა მანია.
დაუღვია ნატვრით რვა ლიტრა,
ღვინის მხატვარი ფიროსმანია.
ქართლის დედა კი ფიალით ხელში,
ერთ სოფელელ პოეტს კალთაში მისვამს.
ვეძებდი გულის ფრიალს სახელში,
ლომს დირიჟაბლის კალათში მისვამს.



ღვინო მეგობრის მეგობარია,
გაჩაღდა ლხინი გვერდით ფიცხელი.
სუფრაზე მტერიც მეგობარია,
ქეიფის ბოლოს ვდებდით ფიცს ხელით.
და პირს ივსებენ ღვინის შადრევნით,
ეს დიდმუცელა გოზაურები.
ფრანგი დიუმა და ჟან შარდენი,
ქართული სუფრის მოგზაურები.
გვიკურთხე ვაზი სააბრე შუმო,
მათი ჯიშები ენდემურია,
ბენვის გზა არის სააბრეშუმო,
ხოლო ღვინის გზა ედემურია.
დავლით სამი ლიტრა ბახუსო,
უღვინო წესი დავგმობთ, ავლაგმობთ.
ცოტა სიტყვითაც ვიტრაბახუსოთ,
ცა ხელის გულზე გადმოვალაგობთ.
ცის ჯამი ყანწად მიღეულია,
ღვინის გასინჯვა ტესტის ვალია.
ქართული ღვინის კვირეულია,
სადმე თუ ღვინის ფესტივალია.
ერთი-ერთში რომ გვესვა, ორში რომ,
არ გაერევა სადაც რიოში.
ქვევრის ორმოში გვეშვას ორშიმო,
შაირს მოჰყვება სმა სარიოში.
ივსება სისადავით კვანჩხები,
ღვინოში ცურავს პურის ფუნჩხები.
ვაზის ხესავით დავიკვანჩხებით,
რომ პირველ ჭიქით დავიკრუნჩხებით.
რქაში ხმას ისმის ხარისხმანი,
რომ ხელზე დასმით, მიზის კურულად.
ასხია სითხე ხარისხიანი,
სმა შემიძლია ფიზიკურულად.
ხან გულის გზაზე დამძრავდა ღვინო,
ხან მწველ ქალებზე მაქაქანებდა.
რომ მე ეს ლექსი დამაძარღვინოს,
ღვინისფერ რაშით გამაქანებდა.

აგუნით ცაზე მივუტაკუნე.
 ღვთიური სითხე თქრიალებს ციდან,
 რომ ვერცხლის თასზე მივუჭახუნე,
 მე ოქროს თასი თრიალეთიდან.
 ქვევრის, ჭურის და ქოცოს მაგვანო,
 მინდა მე თქვენი ალთქმით ურვობა.
 ჯვარი გწერიათ ოცო ლაგვანო,
 ზედაშის სახით გაღთიურობა.
 ვენახში გლეხი ღვინოს აკურებ.
 გხედავ, მარანშიც აგერ ლოცულობ.
 ღვინის სამშობლოს ნინო აკურთხებს,
 გულო ვაზის ჯვრით გარემოცულო .
 იმდენი გვისვამს, ცრემლის მაგივრად,
 აგვემღერა თეთრი ღვინო თვალეებში.
 კვირაში გვიყოფს, მსმელ გზას მაგი რვად,
 ცოტა გაღეშვით ვიგრძნობთ ალემი.
 დაუკრა უნდა ესლა ტაში რას,
 თუ არა ღვინოს საზარფემოს.
 ბაგეს დაგვიტკობს, მთლად ახტაშირა,
 სუფრაზე ვანვენთ - ას აზარ ფემოს.
 ვით ბოთლი ზღვაში ვღელავდი ჟინით,
 დაუძმაკაცდა კახურს ჯინეში.
 გამოვანყვდიე თხევადი ჯინი,
 ბოთლი რომ მიდევს სახურჯინეში.
 ერთხელ უთქმია ქართველ გლეხებზე,
 სადღეგრძელოში მჯობნით ესენინს.
 ნაბიჯებს მირევ, მმართველ ფეხებზე,
 პარიზის სენით მათრობ, ესე ნინ.
 როდესაც, მთვრალი ქარი სწევს ოდას,
 ვუყვები ღვინის ბალადას ტურისტს.
 ღვინის აკვანი, აქ ირწეოდა,
 დასტურს ვითანხმებ, ალადასტურის.
 ღვინის გზით დამყავს ენოტურისტი,
 გზადაგზა ღვინით ვუმასპინძლდები.
 არ მენანება ღვინო სტუმრისთვის,
 რომ სახლს სასტუმროდ ვუასპინძლებდი.
 ლექსის მიზანი დასახულია.
 მანუხებს, ცნობა ღვინის გვიანი.
 საქართველოზე დასახურია,
 ვაზის ფოთლები გვირგვინიანი.
 ყველას ერევა უღვინოესი,
 კაციშვილს არ ჰყავს დამარცხებული.
 სიშიშველე წითლად ღუის ნოესი,
 დადის შვილებთან დამორცხვებული.
 გერბში ვაზია ხელით ჩანწული,
 ჩემი ქვეყანა ფეხზე რომ იდგეს.
 მტრის ლოყა მტვენით სილა განწული,
 მხარზე რომ დაგვავა, ბეჭზე მოგიდგეს.
 სხლავს ლურჯ სასხლავით ვენახს ქიტესა,
 იქნება ღვინის სად მენადრია?!-
 -ჩვენთან- მოუნდა ლხენა ქრისტესაც,
 პირველს გვიწოდებს, სადმე ანდრია.
 ღვინო დულს, როგორც ყველა ქალწული
 არ მოუგონო ბიჭო, ხარჭობა,
 რომ არ გახადო ქარნალებული,
 ვაზის გვერდით მსურს, ჭიგოს ჩარჭობა.

ვათვინიერე, ავ ენა ხარი,
 ვარ ხარის ქედზე მევე ნახები.
 გულს მიკლავს, ნახვით ნავენახარი.
 ნახირით დავზან, მე ვენახები.
 იქნეს, ღვინისფერ პერს, ო, ნაჭური,
 მარნის ციხეში ქვევრის საკნები,
 გამოფხიზლება პერსონაჟური,
 თუ ქვევრში ჯდომით დავიკლაკნებით.
 მკერდზე მტვევანი დამამკედია,
 კი ხვდებით ნიშნავს, მაგის ტატუ რას.
 ასწავლის - სუფრის აკადემია,
 ღვინის მაგისტრებს მაგისტრატურას.
 როცა ვუყურებ საფერავი TV-ს,
 ეს ღვინის არხი ჩემი არხია.
 ჩვენს გარდა ათრობს, სხვა ვერავინ ტივს,
 რომ მთვრალმა ქარმა მიმოარხია.
 უსასრულოა ლხინის ან ურვა.
 ღვინის ტურები და ვინერია,
 ღვთიური საქმე ღვინის დაწურვა,
 ვიცით უფალი და ვინ ერია.
 „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი“ და
 და საქართველო „შენ ხარ ვენახი“.
 ამოვარდება ეშმა რიტმიდან,
 ცრემლს მოიწმინდავს, ერთხანს ვენა ხის.
 მწამს, სასწაული გალილეისა,
 წმინდა წერილში ნაზად ვერევი.
 წყალი ღვთიურად გალილე ისე,
 რომ ღმერთად იქეც ნაზარეველი.
 სუფრაზე ღვინის არაკი მელის,
 თვალეებს ღვინისფრად ნაბავს ხუცესი.
 გადაჯიშება კმარა კიმელის,
 რომ გავიღვიძოთ ნაბახუსევი.
 ამინდი დულდა, როგორც მაჭარი,
 ეკავა ვაზის ათას სირა ჯიშს.
 ეს ორნახადიც არის ჭაჭა რის?
 მუშტარს ხელში აქვს, თასი სირაჯის.
 გვერდით მიუჯდა ქემელს, კოლოტი.
 მუცლები სმით რომ დარუმბებიათ.
 ღვინოს უძველეს სუფრის კოლორიტს,
 ქართველი კაცი შეუებია.
 მარცვლები ვაზზე არ სჩანს მიმპალი,
 მაგრამ მძველები დარჩა ხვანჭკარის.
 აქა-იქ მოსჩანს კლერტზე კიმპალი,
 როგორც ქიშმიში ტკბილად დამჭკნარი.
 თასებად იქცა პირქვე რვიანი,
 თითქოს მინაზე ზედა შურია.
 მარანი მიხმობს პირქვევრისანი,
 ბარძიში ღვინო ზედაშურია.
 აგუნა წალმის ისრებს ისრი მის,
 ყველა ქართველი მისით დაჭარი.

(დასასრული)

ჰანო გელაშვილი

„მაროს კაკალი“

(ნამდვილი ამბავი)

მიყვარს ჩემი სოფელი... ეს არც არის გასაკვირველი, რადგან აქ დავიბადე, აქ გავატარე ბავშვობა და აქ შევიგრძენი სიტბო და სიტკბოება, რომელსაც ადამიანი ბავშვობის წლებში განიცდის, როცა იგი ფართოდ გახელილი თვალებით უყურებს ქვეყნიერებას, ქვეყანა კი მისთვის ეს ჯერ ერთი სოფელია თავისი გარემოთი, ხალხით.

მიყვარს ჩემი სოფელი, ერთი ბენო და პანანკინტელა. აქ არ არის დიდად ღირებული რაიმე ძეგლი, აქ არც დიდი ისტორიული ბრძოლები გამართულა და არც აბრეშუმის გზას გაუვლია. მთის ჩვეულებრივი სოფელია - ლამაზი გარემოთი, ხშირი ტყით, კამკამა მდინარით და ძალიან, ძალიან ლურჯი ცით... და აი, ამ პატარა სოფელში ცხოვრობს მშრომელი ხალხი, რომელსაც, როგორც ყველას ჰქონდა და აქვს თავისი საკუთარი ისტორია, რომელიც ალბათ არაფრით გამოირჩევა სხვებისგან. ჩვენ, ამ სოფლის ბავშვებსაც გვქონდა საკუთარი ისტორია, საკუთარი სამყარო, სადაც ვტრიალებდით. ჩვენ ირგვლივ ხდებოდა ბევრი საინტერესო რამ, იყო უინტერესო და მოსაწყენი წლებიც, მაგრამ არის ერთი პერიოდი, რომელიც აგერ უკვე 80 წელს მიღწეულ კაცს ძალუმად მახსოვს და მისი მცირე ნიუანსებიც კი არ მაგინწყდება...

მაგალითად, სიკვდილამდე ვერაფერი დამავინყებს მაროს კაკალს და მის დაბერტყვასთან დაკავშირებულ მოგონებებს.

მაროს კაკალს ბერტყავენო... ეს ამბავი სოფელში ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა და ბავშვები კისრისტეხით გავრბოდით იმ ადგილისაკენ, სადაც ეს ამბავი უნდა მომხდარიყო.


მაროს კაკალი, ყველაზე დიდი იყო მთელ სოფელში. თავის უზარმაზარი ვარჯით, იგი ზედ კალოს პირას იდგა.

მაროს კაკალი ყველაზე გვიან იბერტყებოდა სოფელში, ამით მთავრდებოდა შემოდგომა და ზამთარიც კარს მოგვადგებოდა. იდგა ეს ვეებერთელა ხე, როგორც სოფლის ბურჯი და სიამაყე და ყველას ანცვიფრებდა თავისი მედიდურობით.

ძალიან გვიხაროდა ამ კაკლის ბერტყვის ცქერა, რადგან ვიცოდით, ჩვენც გვერგებოდა მისი ნაყოფი, მივესეოდით ერთად, ვკრეფდით ნაყოფს პატრონის ზედამხედველობით, ტომრებში ვყრიდით და ჩუმ-ჩუმად ჯიბეებსაც ვიტენიდით.

მერე იწყებოდა კაკლობანა-ორმობანას თამაში, და ვინც უფრო ზუსტად ისროდა კაკალს ნაყოფით სავსე მცირე ორმოში, მოგებაც მისი იყო, თუ კი ვერ მოახვედრებდი ორმოში, საკუთარი ჯიბის კაკალი უნდა ჩაგემატებინა. იყო ერთი განწევ-გამონევა და კამათი, ბავშვური აზარტი თავისას შვრებოდა.

ერთხელაც დადგა მაროს კაკლის ბერტყვის დრო და სოფლის რჩეული ბიჭები, გრძელი ხალებით



(ჭოკებით) ხელში ესეოდნენ კაკალს, ყველგან ჭოკების ჯახა-ჯუხი სმოდა... იმ მაღლიანმა ხემ კი მართლაც კარგი მოსხმა იცოდა, მისი ტოტებიდან ასე 10-15 ტომარა კაკალი ჩამოდიოდა.

კაკალზე შესეული ჯეველებიდან ყველაზე მეტად პავლე „სტოროჟი“ გამოირჩეოდა.

იგი ყველაზე მოხერხებული და სხარტი იყო. ამიტომაც მარო ყველაზე მეტ პრივილეგიას მას აძლევდა ხოლმე. კაკლის პატრონის მიერ გათამამებული პავლე, სულ მაღლა და მაღლა მიინევადა კენწეროსკენ, არცერთ ნაყოფს არ ტოვებდა ირგვლივ ჩამოუყრელს.

მაგრამ, როგორც ნათქვამია, კოკა წყალს ყოველთვის არ მოიტანსო. ერთხელ, გათამამებულ პავლესაც უმტყუნა ბედმა. მოუტყდა ის ტოტი, რომელზეც იჯდა და თორმეტი მეტრის სიმაღლიდან ძირს გადმოეშვა... ჩვენ ქვემოდან ვხედავდით, როგორ მოფრინავდა მოტეხილ ტოტზე გადამჯდარი პავლე და მერე როგორ მოადინა მინაზე ზღართან. დაშავდა პავლე, ლავინის ძვალი გაიტეხა, მაგრამ გადარჩა...

პავლე შინ ნაიყვანეს თავისი წილი კაკლით. პავლეს „სტოროჟი“ სოფელმა შეარქვა, რადგან იგი რკინიგზის ლიანდაგების შემომვლელი იყო. სოფლის თავში ცხოვრობდა და რკინიგზის ხაზი ზედ მის საცხოვრებელთან გადიოდა.

იმ სეზონის შემდეგ, გამოჩენილი კაკლის მბერტყავის კარიერა, პავლე „სტოროჟმა“ დაამთავრა, რადგან ბეჭამოდებული დარჩა და ამის გამო ჯარშიც კი არ ნაიყვანეს. კვლავ კაკლის ბერტყვის პროცესს დავუბრუნდეთ. ნაიყვანეს ჩამოვარდნილი პავლე, მაგრამ საქმე გაგრძელდა. მარო დონჯემეოყრილი ყურადღებით ადევნებდა თვალს კაკლის ბერტყვას, რომ მბერტყავებს არც ერთი ტოტი არ გამოჩენოდათ. ხშირად გასძახოდა და

ამხნევებდა მათ, რომ მათი გასამრჯელო კაკლის დაბერტყვის ხარისხზე იყო დამოკიდებული. ასევე გვეუბნებოდა ჩვენც, ამკრეფებს... საქმეს დავამთავრებდით თუ არა, ჯიბეებს კაკლით აგვივსებდა და გამოგვისტუმრებდა. ჩვენ ხშირად ვემშაკობდით, განგებ ფოთლებში ვმაღავდით კაკლებს, რომ შემდეგ მივბრუნებულყავით და აგვეკრიფა.

მარო ამ დროს ქორს ჰგავდა, გაფაციცებით გვადევნებდა თვალს, რომ კაკალი არ დაგვემალა.

- აბა, კარგად მიქექ-მოქექეთ, აბა, სად მალავ მაგას, შე ბრუტიანო, - დაგვჩხაოდა თავს მარო.

მარო განსაკუთრებით ელამ ლეოზე იყო გადამტერებული, რადგან ლეოს ცუდი მხედველობა ჰქონდა და კაკალი ხშირად ფოთლებს შორის ეკარგებოდა.

რა წლოვანებისა იყო კაკალი არ ვიცი, მაგრამ, როგორც მაშინ 80 წელს მიღწეული ნიკო პაპა ამბობდა, იგი მაროს პაპის მიერ ყოფილა დარგული, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რამდენ ხანს ცოცხლობს კაკლის ხე, მაგრამ მაროს კაკალი რომ დიდი ხნისა იყო, ამკარად ეტყობოდა, კენწეროში უკვე ხმელი ტოტები ჰქონდა, რაც სიბერის ნიშანი იყო.

წინათ ეს კაკალი ნიკა პაპასი იყო, მაგრამ მერე მას მისი რძალი მარო დაეპატრონა.

რადგან ნიკო პაპა არც მისი დამბერტყავი იყო და არც მისი ნაყოფის ამკრეფი, ის და მისი მეუღლე ნინო, თვალზე ხელმოწრილი და ჯორკოზე ჩამომსხდარნი შორიდან შესცქეროდნენ, თუ როგორ იბერტყებოდა მათი საწრწო-საბადებელი კაკალი.

ზამთარში მას კერიის წინ ტეხდნენ და შეექცოდნენ მოხუცები, როდინში ნაყავდნენ და ლობოსა და სხვა საქმლის სანელებლად იყენებდნენ. საახალწლოდ კი გოზინაყსა და ჩურჩხელებს ამზადებდნენ.

ასე მიდიოდა მათი ცხოვრება, ნიკო პაპას და ნინოს ერთადერთი ვაჟი ჰყავდათ, რომელიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისში აგრონომიულზე სწავლობდა. იგი მოხუცების იმედი იყო და კარგი ახალგაზრდაც გახლდათ.

ზაფხულში არდადეგებზე ყოფნისას მოცლილს ვერ ნახავდით, სულ საქმით იყო დაკავებული.

- ნუ გეშინიათ, აი, დავამთავრებ ინსტიტუტს, დავბრუნდები სოფელში, ცოლს შევირთავ და არაფერს გაგიჭირვებთ, - ეუბნებოდა იგი მოხუც მშობლებს და რომ იტყვიან, სულ თვალეში შესციცინებდა.

მარო, ნიკო პაპას ძმის ცოლი იყო და შალვას თბილისში სასწავლებლად წასვლის შემდეგ, მოხუცების ერთადერთი პატრონი გახდა.

ნიკო პაპა თავის დროზე სოფლის მენისქვილე იყო, კარგი მეზღაპრე და გულისხმიერი ადამიანი. ნინო ბებო კი გულშემლოცველი ქალბატონი გახლდათ, მისი სათნო ღიმილი და ლოცვები ამშვიდებდა ადამიანს. ნინო ბებოს ზღვის შავი, მომცრო, უცნაური ფორმის ქვა, ასევე მომცრო თიხის ჯამში

ჰქონდა ჩადებული და ლოცვისას, თითქოს ამ ქვას ლესავსო, ბუტბუტით გულმკერდზე ჯვარს ისახავდა, მერე წყალში დანით ნახშირს ჩაფხეკავდა და სითხეს აუცილებლად დაგაღვეინებდა.

დარჩენილ ნახშირს კი შინ გაგატანდა და დაგარიგებდა, თავთან დაიდებ და ყველა ავადმყოფობა გაგივლისო.

ასეთები იყვნენ ეს ანგელოზი მოხუცები: ერთი მენისქვილე-მეზღაპრე თავისი გამოგონილი სამთავიანი გველშაპებითა და ცხრათავიანი დევებით, რომლებსაც სასტიკად გვემინოდა. რა დამავინყებს ნისქვილიდან წამოსულებს სიბნელეში თითქოს ყოველი ორლობისა თუ გზის მოსახვევში, ისინი გველანდებოდნენ. ხშირად ძილშიც კი არ გვასვენებდნენ და ნინო ბებო იძულებული იყო ჩვენთვისაც შეელოცა.

ამის გამო ნინო ბებო ხშირად საყვედურობდა ნიკო პაპას - კარგი, შე კაცო, ნუ უყვები ასეთ ზღაპრებს ბავშვებს, ნუ აშინებ საშინელი ამბებით. ნიკო პაპა კი ჩაიცინებდა და იტყოდა: ბავშვი ბავშვობიდანვე უნდა შეეჩვიოს შიშსაც, სიხარულსაც, ვინ იცის, ცხოვრებაში წინ რა ელოდება, რა განსაცდელი ელის და იგი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოსო. მართალი იყო, ნიკო პაპა და თავისეზურადაც მართალი იყო ნინო ბებოც.

ასე ვატარებდით ჩვენ უდარდელ ბავშვობას, რომელიც მაშინ სამოთხედ გვეჩვენებოდა. ზაფხულობით სულ მდინარეში ვეყარეთ, ვბანაობდით თან საქონელს ვმწყემსავდით; შემოდგომაზე კევრის კალოზე ვიდექით, ხოლო კაკლის ბერტყვის დროს ხომ ვკაკლაობდით და ვკაკლაობდით. ზამთარში ვცივაობდით, თოვლში ვკოტრიალობდით. ასე გაგრძელდა მანამ, ვიდრე სკოლის ასაკი არ დაგვიდგა და მერხებზე არ მიგვაჯაჭვეს.

მერე დაიწყო დიდი უბედურება, მეორე მსოფლიო ომი, რომელიც ერთიანად შეეხო დიდსაც და პატარასაც. სოფლიდან ყველა მამაკაცი, ვისაც თოფის ტარება შეეძლო, ჯარში წაიყვანეს. დავრჩით ბავშვები და მოხუცები. ნიკო პაპას შვილი, შალვა, პირდაპირ თბილისიდან გაიწვიეს ისე, რომ სოფელში ჩამოსვლა და მშობლებთან გამომშვიდობებაც ვერ მოახერხა.

მთელი ომის პერიოდში ყოველწლიურად რაღაც სასწაულად დიდთოვლიანი ზამთარი დგებოდა. ჩვენ კი მეორე სოფელში გვინევდა წასვლა, სადაც საშუალო სკოლა იყო; ყოველდღე ხუთი კილომეტრის გავლა გვინევდა შუაგულ ტყეში, რომელიც მგლებით იყო სავსე. თვალწინ მიდგას თოვლიანი პეიზაჟი და მწკრივში გაბმული გოგო-ბიჭები, ერთმანეთის მიყოლებით, ბატის ჭუკებივით რომ მივდიოდით.

ხალხი თითქოს დადუმდა, დანალვლიანდა და შიმშილისაგან დასუსტებული დალასლასებდა. გვშიოდა ჩვენც, ბავშვებს, ვჭამდით თუკი რამ ჩაგვივარდებოდა ხელთ. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა იყო შემოდგომაზე. ვატყობდი, რომ ბავშვებიც თითქოს უცებ დავვაჟკაცდით, მაგრამ მაროს კა-

კალზე ასვლა ჯერ არ შეგვეძლო. ვილა იყო მაროს კაკლის დამბერტყავი. ამიტომ მას ქვემოდან ვესროდით ქოლოკებს, მერე კი ველოდით გვიან შემოდგომაზე კაკალი თვითონ როგორ დაიწყებდა ცვენას. მაგრამ, ნურას უკაცრავად, მარო და მისი ქალიშვილები (მას ხუთი ქალიშვილი ჰყავდა), უკვე აღარ გვეპატიუებოდნენ, თვითონვე აგროვებდნენ

ქარისგან ჩამოყრილ ნაყოფს, რადგან მოსავალი მაროს მრავალშვილიან ოჯახს თავადაც არ ჰყოფნიდა.

კაკალიც თითქოს გრძნობდა ოჯახის გასაჭირს და უხვად ისხამდა. შემოდგომაზე მარო ფხიზლად დარაჯობდა მოსავალს და დასახმარებლად სოფელში დარჩენილ ერთადერთ ახალგაზრდა კაცს- მუნჯ იოსებას თუ მიმართავდა. იოსება გამრჯე, დაუზარელი, კეთილი კაცი იყო, ყველას ეხმარებოდა. მას ძალიან თბილი ღიმილი ჰქონდა და მასხოვს ურთიერთობისას უცნაურ, თავისებურ, ღიმილის მსგავს ბგერებს გამოსცემდა. ზოგჯერ მღეროდა კიდეც, ოღონდ თავისთვის, გულში, თან შესტიკულად რალაცას გვანიშნებდა... ხშირად ვილაცას მუშტებს უღერებდა, ამ დროს ვიცოდით, რომ ჰიტლერს აგინებდა. ორმოცს მიღწეული კაცი, ორ წელიწადში თითქოს დაბერდა და გულჩათხრობილი გახდა. არც იყო გასაკვირველი, ორი ძმა ომში დაეღუპა და ამას, ცხადია, მწარედ განიცდიდა.

შალვას წერილები ომიდან თავიდან ხშირად მოდიოდა, მერე კი იკლო, ყოველ ბარათში შალვა მშობლებს ამხნევებდა და მათ ომიდან ჯანმრთელად და სალსალამათად დაბრუნებას ჰპირდებოდა.

ის ზამთარი კი ისევ დიდთოვლიანი და მკაცრი დადგა. უჭირდა ყველას: ჩვენ, უკვე მოზარდები, როგორც შეგვეძლო ვეხმარებოდით მოხუცებს და არა მარტო ნიკო პაპას და ნინო ბებოს, ყველას. ხშირად დავეყვებოდით ნიკო პაპას ტყეში, შუმის მოსაჭრელად, მაგრამ ნედლი ნაძვის მოჭრა სასტიკად იყო აკრძალული, თანაც ნედლი ხე ვერაფერი სანვავი გახლდათ. ტყეში ნასვლისას გზად ჩვენი ვეებერთელა კაკლის ქვეშ უნდა გაგვევლო. აქ ნიკო პაპა ყოველთვის ჩერდებოდა ხოლმე, კაკალს დაჟინებით ათვალიერებდა, თითქოს რალაცას ამბობდა და გზას მერე აგრძელებდა. მეც მას ვბაძავდი, ვუყურებდი კაკალს, მაგრამ მისი შეშად გამოყენება აზრადაც არ მომსვლია, პირიქით, სიამაყით შევყურებდი მას და ზეპირად ვიცოდი რამდენი კაკალი იყო აქა-იქ შერჩენილი. თუ ძირს ჩამოვარდნილს შემთხვევით ვიპოვიდი, ჯიბეში ვიდებდი გაყენილ ნაყოფს, შინ მომქონდა, ღუმელზე ვაშრობდი და სიამოვნებით მივირთმევი. ყინვა ძლიერდებოდა, თუმცა თებერვალი იდგა, მაგრამ მთაში თებერვალი კი არა, მარტიც არ არის გაზაფხული. იქ თითქმის მაისამდე არ იცის დათბობა.

ტყეში შესვლა და ჯირკების პოვნა კი თანდათან ჭირდა. ჩანდა, შუმის გასაჭირის ამბავმა ოჯახიდან ომში შალვამდეც მიადნია.

- მამა, ადექი და მოჭერი კაკალი, - წერდა შალვა თავის ბარათში, - მთელი ზამთარი გეყოფათ,

მერე ომიც მალე დამთავრდება, ჩამოვალ და მე, როგორც მომავალი აგრონომი, მის ადგილას კიდევე გავახარებ ახალ ხეს, უფრო უკეთესსა და ძლიერსო.

უკვე მერამდენედ ვუკითხავდი შალვას ამ წერილს. ის კი კვლავ იჯდა თავჩაქინდრული და ხმას არ იღებდა. ხან ჩიბუხს ტენიდა, ხან შუმის ნაჭერს შეუკეთებდა ღუმელს, რომელიც ნინა დღეს მუნჯმა იოსებამ მოუტანა.

- როგორ, კაცო, კაკალი მოვჭრა? მერე ვინ იქნება ჩემი და მაროს ოჯახის მარჩენალი? არა, ამას ვერ ვიზამ! - წამოიძახა მან უცებ.

- რას არ იზამ, აბა, სიცივით დავიხოცოთ? - გამოეპასუხა ნინო ბებო.

- რას ამბობ, ქალო, რასა, კაკალი მოვჭრა? მერე რა ვუთხრა შალვასა, რომ დაბრუნდება, გადაირევა კაცი!

- მოჭერი, კაცო, მოჭერი, ხომ გპირდება, ახალს დავრგავო...

- ამისთანა მაინც ვერ იქნება.

- ამისთანა თუ არ იქნება, კაკალი ხომ იქნება? - არ დაუთმო ნინო ბებომ.

იმ ღამეს უცნაური რამ დაესიზმრა ნიკო პაპას: კაკალი თურმე ადამიანივით დაელაპარაკა და უთხრა: გაბედე, მომჭერი, მე მაინც კარგა ხნისა ვარ, შესაძლებელია, გაისად ნაყოფი ველარც კი დავისხა. აილე ჩემი სამი ნაყოფი, სალი და კარგად შენახული, ჩადე სარკმლის რაფაზე რომ ყვავილის ქოთანია. მერე იგი ახლოს დადგი ღუმელთან და წყალი დაასხი. ნაყოფი გაღვივდება, გაზაფხულზე კი ფესვებსაც გამოიღებს. შემდეგ ადექი და ჩემს გადანაჭერთან აღმოსავლეთ მხარეზე ჩარგე, მზემ რომ კარგად მოხედოს. როდესაც აღმონაცენი კარგად მომძლავრდება, ერთ-ერთი, ყველაზე ძლიერი, ადგილზე დატოვე, ორი კი სხვადასხვა ადგილას გადარგე... ასე მოამრავლებ ჩემს ნაყოფსაო.

გულგახეთქილს გამოეღვიძა თურმე ნიკო პაპას, გააღვიძა ნინო ბებო და ეს უცნაური სიზმარი მოუყვა.

- ხომ გითხარი, მოვჭრათ ეგ დალოცვილი და როგორც მან გირჩია, ისე მოვიქცეთ. - უთხრა ნინო ბებომ.

მოხუცებმა მართლაც ამოარჩიეს სამი ცალი სალი კაკალი. ჩათესეს საყვავილე ქოთანში, მიუსხეს წყალი და ღუმელთან ახლო დადგეს.

მაროს კაკალს ჭრიანო... ხმა გავარდა სოფელში და ეს ამბავი მართალი გამოდგა. მოიხმეს მუნჯი იოსება, მაგრამ ვერაფრით დაითანხმეს, იგი ხელებს იქნევდა, რალაცას ეუბნებოდა და მოხუცებს ვერ აგებინებდა.

- შუმის მოტანას გპირდებით, ოღონდ კაკალი არ მოჭრათ, - აფუხენი მე ნიკო პაპას, რადგან მუნჯი იოსებას ენა მე ყველაზე კარგად მესმოდა.

მაგრამ ბოლოს ნიკო პაპას დაჟინებულმა თხოვნამ გატეხა მუნჯი იოსება. იგი დიდხანს იდგა ერთ ადგილას, ხან კაკლის ხეს და ხან ნიკო პაპას. უცბად მოწყდა ადგილიდან, ვილაცის მუქარით სამჯერ ისე შემოუარა კაკლის ხეს, თითქოს ეთხოვებო...

თოვდა და თოვდა, ბარდნიდა და ბარდნიდა, ირგვლივ საშინელი მღუმარება იდგა.

იდგა მარო გაშტერებული და თოვლს ტკეპნიდა, თან გალურჯებულ ხელებს იფშენებდა და გუნებაში ითვლიდა ყოველ შემოდგომაზე ჩამოკრეფილ კაკლის ტომრებს.

მუნჯმა იოსებამ მოზომილად გადგა ფეხები, თოვლი მიტკეპ-მოტკეპნა, მოიმარჯვა ცული და დინჯად, გაბედულად შემოკრა ხეს. ნაჯახის დარტყმაზე კაკლის ხეზე შერჩენილმა თოვლმა იხუვლა და იოსება გადაათეთრა. მან თოვლი ჩამოიბერტყა და ახლა უკვე გამეტებით დასცხო ხის ტანს ცული... გარემომ ისეთი ავი ექო გამოსცა, რომ ყველას გული შეძრა და ყველამ ერთად მაროს შეხედა, ის კი სადღაც გამქრალიყო... არც ნიკო პაპა და ნინო ბებო ჩანდნენ, ყველანი შინ შევიდნენ და ჩაიკეტნენ, რომ ამ საცოდაობისათვის არ ეცქირათ.

მუნჯმა იოსებამ კი უკვე ბირდაბირი ხერხი მოითხოვა, მოუტანეს და ჩვენც რიგრიგობით ვენაცვლებოდით ერთმანეთს. მერე იოსებამ ისევ ცული აიღო და ჭრა განაგრძო, რადგან ხერხი უკვე იჭედებოდა. იოსებას ხვითი გადასდიოდა, მაგრამ მაინც ჭრიდა და ჭრიდა და თოვლში აქეთ-იქით ცვიოდა ნაფოტები... უცბად ხე შეტორტმანდა, მერე წამოვიდა და საშინელი ზათქით დაასკდა მიწას და ეს ზათქი გმინვასავით გაისმა. მერე გაირინდა ყოველი, დადუმდა სოფელი... ინვა ეს ვეებერთელა გოლოათი გაშლართული, არაფერი უტოკავდა. მხოლოდ იოსება უვლიდა გარშემო ცულით და მის გაკაფვას იწყებდა. დიდხანს იმუშავა მან, შემედაც დაჭრა ღუმელის ზომაზე. ამ დროისათვის ვილაცამ მარხილიც მოიყვანა. ბავშვები მივცვივით და ნიკო პაპას სახლისკენ გავწიეთ.

მთელი დარჩენილი ზამთრის პერიოდში მხიარულად გუზგუზებდა პაპა ნიკოსა და ნინო ბებოს ღუმელი და ღამის თევით მათთან მისული სოფლებიდან ამით სარგებლობდნენ, ერთობოდნენ, საუბრობდნენ და ჩვენც, ღუმელის ირგვლივ ჩამუხლულები და მშობლების მუხლებს მიყრდნობილები, ვუსმენდით ამ საუბარს.

ზოგ ბავშვს იქვე ჩაეძინებოდა ხოლმე და ასე ჩაძინებულები მიყავდათ მერე თავის სახლში.

გამთენიისას იშლებოდნენ ნიკო პაპას სტუმარი მეზობლები, უბით მიჰქონდათ ამ სახლისა და კაკლის სითბო, ერთმანეთის სიყვარული და ხვალის იმედი, რადგან ომი დასასრულს უახლოვდებოდა. მართალია, კაკლის ის შეშა ილეოდა, მაგრამ გაზაფხული უკვე კარს იყო მომდგარი. მზე მძლავრობდა, დღე დიდდებოდა და ქოთანშიც სამმა მწვანე ღერმა ამოყო თავი... კაკალი გაღვივებულიყო, სიცოცხლე იღვიძებდა...

და აი, დადგა მაისის მშვენიერი თვეც. ომი დამთავრდა, შალვაც დაბრუნდა, სხვა ბიჭებიც დაბრუნდნენ. მაგრამ სოფელმა სამუდამოდ დაკარგა 5 ვაჟკაცი.

მაისის ერთ მშვენიერ დღეს სოფელში ხმა დაირხა, მოჭრილ კაკლის ადგილას ახალს რგავნო. მართლაც, ძველი კაკლის ადგილას და მის აღმო-

სავლეთ ნაწილში სწორედ მომავალი აგრონომის მიერ ამოთხრილი სამი პანანა ორმო გაჩნდა და შიგნიკო პაპამ, ნინო ბებომ, შალვამ, მუნჯმა იოსებამ და მთელმა სოფელმა ერთად სამი მოჩიტული კაკლის ხე ჩარგეს და ღმერთს შეავედრეს მშვიდობა და ბარაქა. ჩვენ, ბიჭებმა და გოგონებმა ნარგავებს ირგვლივ ფიჩხები შემოვუწყეთ, რომ ისინი საქონელს არ გაეფუჭებინა. ვხედავდი, როგორ ჩამოუგორდა ზოგიერთს თვალზე ცრემლი.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ახლა მე ნიკო პაპას ხნისა ვარ და როცა ჩავდივარ სოფელში, აუცილებლად იმ კაკლის სანახავად მივდივარ, რომელიც ძველის ადგილზე დგას. ძველი კაკლის ჯირკიც კი აღარ არსებობს, მაგრამ მის ნაცვლად ამაყად შრიალებს მხრებგაშლილი ახალგაზრდა კაკლის ხე და შემოდგომაზე უკვე იბერტყება არამართო „მაროს კაკალი“, როგორც მას ადრე ვეძახდით, არამედ შალვას, მაროს, ნიკო პაპას, ნინო ბებოს, მთელი სოფლის სიამაყე კაკალი, რომლის წინაპარმაც სიცივით დაღუპვისგან გვიხსნა ყველანი, ჩვენც, მაშინდელი პატარები.

ნუთუ აუცილებელია, დიდი მსხვერპლის გაღება, რომ ჩვენც გადავრჩეთ?!

სანდრო ნაპირიკა

„თვალუბი“

1.

ისევ ვუყურებთ, ჩვენ, მხედველები, რადგან სხვა არ გაგვაჩნია საქმე. ასე ბრძანა დიადმა მატერიალმა; ჩვენ მხოლოდ ყურება, დაკვირვება და დანახვა გვევალება. ამას ვაკეთებთ უკუნითიდან, და გავაკეთებთ უკუნითამდე. ვერაფერს დაგვიძალავთ; ჩვენ სივრცის გარედან ვუყურებთ ყველაფერს, ვხედავთ ყველაფერს, ვჭვრეტთ და ვაკვირდებით ყველაფერს, რასაც ნამებებს და სუბნამებებს ესენციები გვაძლევს. ჩვენ, მხედველები, დანყვევლილი და დალოცვილები ვართ, რადგან ვხედავთ იმას, რისი დანახვაც არავის სხვას ძალუძს. დანახვა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ჩვენ კი რჩეულნი ვართ. ჩვენ არ ვწუნუნებთ, არ ვტირით, არ ვლაპარაკობთ. ჩვენი თილისმაა სიჩუმე, დედაა სივრცე, მიზანია დანახვა, მატერიაა სიბნელე. იღბლის პორტალი კი ისევ იხსნება, გადმოედინება ღვთიური ესენცია და სუბნამები ნელდებიან ისევ. ჩუმად გვიკვირს, ჩვენ, მხედველებს, რადგანაც ცოტათი უჩვეულოა დროის ამდენჯერ გაბლანტება მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში. თუმცა ვაკვირვებას მალევე ვიმორებთ. ისევ ბნელი სიმშვიდის ნიღბებს ვიფარებთ კონცეფციურ სახეებზე და განვაგრძობთ ხედვას, რადგან სწორედ ამისთვის ვართ შექმნილნი ჩვენ, მხედველები...

2.

წყლის შხაპუნი.

ჰაერში ორთქლის ბულია; შუშის კაბინის მიღმა ბეჭებში ოდნავ მოხრილი ფიგურა დგას, ცალ ხელში მეტალის მილი უჭირავს, მეორე კი, ჩვეულებისამებრ, მუცელზე უდევს. დროდადრო თავს მაღლა სწევს, გაორთქლილ ჭერს უყურებს, მერე კი ისევ შუშის მოსრიალე კარს ამტერდება და გონებაში ღიღინებს რალაცას.

სუბნამები არასტაბილურად მოძრაობენ; შიგადაშიგ ბორძიკობენ და ეცემიან. ამ დროს მხოლოდ ბიჭის გულისცემა და მძიმე, მკერდში ჩამწვდომი სუნთქვის ბგერები ისმის.

მერე, ისევ წესრიგი აღდგება და წყლის ჭავლი წყებებად ეხეთქება შუშის კარებს. ბიჭიც ისევ უსმენს უხმო მელოდიას და ისევ იყურება შუშის მიღმა.

...კაფელის კედელზე პატარა ობობა მიცოცავს. მის გვერდით ღია ლურჯი ზედაპირი

გამუდმებით იბომბება ცხელი წყლის წვეთებით. ობობა ხვდება, რომ ერთი წვეთიც კი უკან დახევს, ამიტომ ცდილობს, რომ ნელა და ფრთხილად აცოცდეს. რა თქმა უნდა, დასასრული.

3

აზრზე არ არის, სად ან რატომ მიცოცავს, მაგრამ ჩვენც კი გადასარევად ვხვდებით, რომ ხანდახან მიზანს მიზეზი არ სჭირდება.

რომელიღაც წინასწარ განზრახული მოქმედებათა წესის გამო, ანდა თვით ღიადი მატერიის ჩაფიქრებული გეგმის გამოისობით, ობობა ზუსტად იმავე კაბინაში მიბობლავს, სადაც ბიჭი ამტერდება შუშის კარებს. მბობლავისთვის ბიჭის იქ ყოფნას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მას ისედაც ბლომად საზრუნავი აქვს; არც კი იცის, რომ ბიჭი არსებობს, თანაც მასთან ძალიან ახლოს; რომც იცოდეს, მაინც ვერ დაინახავდა, რადგან გამალეებით ცდილობს კონცენტრირდეს ცისფერ, სრიალა კედელზე ცოცვამი.

ბიჭი კი მაშინვე ამჩნევს მას. ანაზღად ტრი-ალდება სველ ქუსლებზე და ყურადღებით აკვირდება პატარა, მოძრავ არსებას. ის კი ისევ მიცოცავს, მიცოცავს, მოძრაობს, ირხევა, ქვევით ვარდება, მერე თავს იკავებს და ისევ ზევით მიილტვის, ისევ მიცოცავს, დიდი, სველი წყლის წვეთი აგდებს, მაგრამ არ ჩერდება, არ ჩერდება, არ ჩერდება..

ბიჭს უცნაური შეგრძნება იპყრობს. მართო, შიშველი, დაუცველად გრძნობს თავს;

არაქნოფობია ნამდვილად არ სჭირს, მაგრამ ობობები გულზე არ ეხატება. ღრმად სუნთქავს, ფილტვებში მშვიდად იგროვებს ჰაერს და მსუბუქ ჭავლად უშვებს გარეთ, და ფიქრობს,



რა უყოს პატარა მიცოცავს. ამასობაში ობობა თავს არ ზოგავს და უფრო და უფრო ზევით მიდის; მალე ბიჭის სიმაღლესაც გაუსწორდება. როდესაც ეს მოხდება, ბიჭი გადაწყვეტილებას მიიღებს.

ჩვენ, მხედავებს, გულმა რეჩხი გვიყო. დავინახეთ, როგორ იხსნება (უკვე მერამდენედ ერთ დღეში) იღბლის ეფემერული პორტალი და როგორ გადმოინდება ზანტი სუბნამები ფერად სამყაროში. ყველაფერი ნელდება, სმენას ისევ ზანტი, ყოვლისმომცველი ბაგაბუგი იპყრობს და სუნთქვა, მშვიდი სუნთქვა, რომელიც სუბნამების ესენციაში ეხვევა აუჩქარებლად, ხროტინად გველანდება... ბიჭი მშვიდდება. ვხედავთ, როგორ ზანტად იღება შუშის გასასრიალელებელი კარი, როგორ ძვრება იქიდან თეთრი, გრძელი, ხუთფეხება ობობა და როგორ ზანტად და ფაქიზად ხევის ტუალეტის ქალაღდის ნაგლეჯს. პირში ნაგლეჯგაჩრილი ხელი ასევე მშვიდად მისრიალეებს ჰაერში, მერე შუშის კარის სახელურს ეხება და კაბინას კეტავს.

იქ, შიგნით, ობობა მიცოცავს ჯერ კიდევ. მიკროსკოპულ ტვინში ცისფერი ბედნიერება ანთია. პირუტყვეულად უხარია მიცოცავს, რომ შხაპის ცხელი ბომბები აღარ უშლის ხელს აცოცებაში, სიხარულით უმატებს სიჩქარეს, მაგრამ აქ ხედავს, რომ ქვევით თეთრი ხიდი იქმნება. თეთრი, რბილი ხიდი (ყოველ შემთხვევაში ერთი შეხედვით ასე ჩანს) თითქოს უსა-

ფრთხო გასასვლელს ჰპირდება ობობას. ობობა ფიქრობს, ჩახტეს თუ არა კედელზე მიდგმულ ხიდზე, მაგრამ ხიდი დაუპატიჟებლად მოძრაობს ზევით, ნვრილ, გრძელ ფეხებში ებლანდება მცოცავს და ძალით აგდებს თეთრ ზედაპირზე. ობობა იბნევა. წამით მეორე, დიდი, თეთრი ობობისკენ მიცოცავს, რომელიც უცნაურად ჩაბლაუჭებია ხიდის მეორე ბოლოს. გიგანტი უცნაურ მოძრაობებს ასრულებს. ისევ ნელდება დრო; ისევ ეხვევა სუბნამები ბლანტი ესენციში. ნელა, დრამატულად იღება შუშის გასასრიალელებელი კარი. ბიჭი, დედიშობილა, გადმოაბიჯებს სველ იატაკზე. თეთრ ობობას შავი, პატარა ობობიანი ქალაღდი უჭირავს პირში.

ჩვენ, მხედავები, გაფაციცებით, ყურადღებით ვაკვირდებით ყველაფერს; სუბნამები გამალეებით იბრძვიან, მაგრამ ბიჭი იმდენად სწრაფად მოქმედებს, ამ ყველაფერს მხოლოდ თვალის გახელა ჰყოფნის.

შუა გზაზე ბიჭი ყოვნდება. თეთრი, ხელშეუხებელი გრძობა ანათებს მის მკერდში.

რატომღაც არ უნდა, რომ ობობა მოკლას ანდა დაასახიროს. მაგრამ ობობას სამინლად ეშინია.. იმდენად ეშინია, უსაფრთხოების ნორმებსაც კი ივიწყებს და გაქცევის მიზნით წარმოუდგენელი სისწრაფით მიეჩანება ბიჭის თითებისკენ. ბიჭში ყვითელი, პირველყოფილი შიში იფეთქებს, მერე კი ყველაფერს კუპრი მოიცავს და შავი ზიზღი ყლაპავს ბიჭის გონებას. ობობიანი ქალაღდის ნაგლეჯი უნიტაზში ვარდება გამეტებით. ბიჭი ჯერ კიდევ დაძარღვულია შავი სიძულვილით; ჩასცქერის ობობას, რომელმაც უკვე ახალი მიზანი დაისახა თავის უაზრო ცხოვრებაში. ახლა დასველებულ, სლიპინა თეთრ ზედაპირს ეჭიდავება პატარა მცოცავი.

მერე კი ბიჭის გონებას ნაცრისფერი, რუხი სიმშვიდე იპყრობს. თვალეებში სიცარიელე უდგება, მხოლოდ შავი ხვრელი განაგრძობს ბრუნვას. სუბნამები იწყებენ მოძრაობას ისევ და ბიჭის გულიც ფეთქავს კონტრებასზე აღებული ღრმა, ყოვლისმომცველი ბგერასავით..

... ბიჭი ამთავრებს ბანაობას. წყლის მარადიული მხაპუნე ერთბაშად წყდება, მხოლოდ მილს მონყვეტილი, ეული წვეთების დაცემის ხმაღა რჩება. ისევ სრიალებს შუშის კარი და ისევ გადმოაბიჯებს სველი, დედიშობილა ბიჭი. სუნთქვის ხმა ჩაგვესმის ჩვენ, მხედავებს, ზღვიდან მოვლენილ ქარად ჩაგვესმის. კედელზე ჩამოკიდებულ პირსახოცს იღებს და ნელზე იხვევს. მერე თავს დაბლა ხრის და ცდილობს, სველი თმები ნაწილობრივ მაინც შეიმშრლოს პირსახოცის კალთით. წვეთები კაფელის იატაკს ეცემიან და სველდება.

უცბად ახსენდება. უნიტაზთან მიდის ნელა, აუჩქარებლად, და იხედება.

„ისევ იქ არის.“

„სულელი.“

მერე იჩოქებს და უფრო კარგად დასცქერის უაზრო მლოღავს. სუბნამები ნელდება იან ისევ. როცა ბევრჯერ ხდება უცნაურობა, ის უკვე უცნაური აღარ არის. ამიტომ ჩვენ, მხედავები, თავს ვიკავებთ ყველაფრისგან და ვაკვირდებით მხოლოდ.

ისევ დუმდება ყველაფერი და ისევ იკავებს სივრცეს სისხლის თბილი, ძლივსგასაგონი ჭყაპუნი, საიდანღაც დაბერილი ქარი.

„ცურდება, ისევ ზევით ადის. ცოტა გვერდით მოექცა. თუ მიმართულება არ გაასწორა, მალე ჩაიძირება.“

თმიდან ჩამონურული წვეთები ეცემა ობობას გზას და ურთულეს ცოცვას. ობობა ბოროტიკობს, რამდენჯერმე ვარდება ქვევით და ლამის წყალი მოიცავს მის პანანინა სხეულს.

ბიჭში რაღაც ლურჯი იფეთქებს; მერე კი ისევ შავი მძღავრობს.

„სულელი. იყოს ასე, ვნახოთ თუ ამოვა.“

დგება და გასვლას აპირებს, მაგრამ რაღაც აჩერებს.

ისევ უკან ტრიალდება და უნიტაზს ჩასცქერის.

მერე კი ნაცრისფერი, მშვიდი სიცარიელე მოიცავს მის არსებას.

მცოცავი ხედავს, როგორ უახლოვდება მორიგი თეთრი, რბილი ხიდი, რომელსაც ისევ უცნაურად ებლაუჭება გიგანტური, თეთრი ობობა. ჯერ ეშინია, მაგრამ მერე ავიწყდება ყველაფერი და ბრმად ენდობა ხიდს.

ხიდი ზევით ადის, მერე კი მძღავრი ბიძგით შეაქანებს ობობას. ის ცდილობს, მოებლაუჭოს ზედაპირს, მაგრამ არ გამოსდის, ჰაერში მიფრინავს და კაფელის იატაკზე ვარდება.

ობობა დაცემისთანავე საღტოს აკეთებს და რვა ციციქნა ფეხებზე ხტება. დროს არ კარგავს; ისევ მიეშურება საღტაც. სწრაფად, გამალეებით მიცოცავს. სად? არ იცის...

ბიჭი დგება, ცარიელ ქალაღდის ნაგლეჯს უნიტაზში აგდებს და წყალს ჩარეცხავს.

დრო ისევ მოძრაობს; წყალი გამალეებით იხვევებს და ხიდიც ქრება.

ბიჭი სარკესთან დგება და თავის ანარეკლს შესცქერის. საფეთქელზე ნურნურით ჩამოსდის წყალი, ისევ ტრიალებს შავი ხვრელი და ისევ ბობოქრობს ყავისფერი ტვერი თეთრ ნისღში. იქვე დადებულ სათვალეს იღებს თეთრი, გრძელთითა ხელებით და ირგებს. ახლა ყველაფერი ჩანს.

დგას ცოტა ხანს გაუნძრევლად. მერე უცბად სწევს ხელს, თმანი ნაზად იყოფს უსაზღვროდ გრძელ თითებს და იჩეჩავს.

„ასე უკეთესია.“ იღიმის.

4

ოლონდ ეს ღიმილი არაა კეთილი, თბილი ღიმილი, დილით, მძინარ სახეზე გადმოსულ მზის სხივებს რომ გაგონებს; არც ბოროტი ღიმილია, ბნელ სიცარიელეში რომ იღიმის შავი, დაკრეჭილი არსება.

ეს მხოლოდ ღიმილია.

ნაცრისფერი, მშვიდი, ცარიელი ღიმილი.

ეს ის ღიმილია, რომლითაც ჩონჩხები იღიმებიან.

„სიცოცხლე არც საჩუქარია, არც - წყევლა. ის მხოლოდ ფაქტია. ის სავსეა წამებით, სიყვარულით, სიკვდილით, ტკივილით და შვებით; მე კი იმიტომ გადაგარჩინე, რომ ამ ყველაფერის შეგრძნობა განაგრძო. მხოლოდ ასე დაინახავ, ობობავ. მხოლოდ ასე დაინახავ...“

5

მანქანების ხმაური... ხალხი დადის, ტრიალებს, ხმაურობს, ლაპარაკობს, ტირის, ყვირის, ირხვევა, ირხვევა.

და დუმან კიდევაც.

ბოლოჯერ, უკანასკნელად ნელდება დრო, და უკანასკნელად შთებია სუბნამები ბლანტი ესენციისაში... ბოლოჯერ ვუყურებთ ჩვენ, მხედავები, ყველაფერს..

...მკერდშელენილი ბიჭი სისხლიან ასფალტზე წევს. ხალხი ახვევია თავს, თვალებში კი მზე უნათებს. პატარავდება შავი ხვრელი, ყავისფერი ტევრი ბობოქრობს ისევ. სისხლი კი მოდის..

გული ცემს ჯერ. ისევ გაისმის კონტრბასისეული ყოვლისმომცველი, დაბალი, ღრმა ბგერა. ისევ გვესმის ჩვენ, მხედავებს სუნთქვა, რომელიც ხროტიანად გველანდება შედედებულ ნამებში.

ხეების შრიალი სირენებად ჩაესმის ბიჭს. სათვალეს იხსნის საკუთარ სისხლში ამოვლებული გრძელი თითებით და ასფალტზე დებს ფრთხილად. იქვე მდგარი, მსუქანი კაცი ტოკდება, ნაბიჯს დგამს უკან და აბიჯებს სათვალეს. სათვალე ტყდება...

ნელია სუბნამების დინება. ტკივილიც ნელია, მაგრამ ისე ხომ ვერ დაინახავ ვერაფერს?!..

-უშველ..

-სანყ.. ბავშვ..

-ვაიმ.. დედა..

6

-ას.. იცის... გაუფრთ..

-გიჟებ.. არ არი... ეს..

-ღმერთ... ჩე..

-გამატ.. ექ..

სუბნამები ნელ-ნელა იხსნიან ბორკილებიდან თავს. ბიჭის ხროტიანი უერთდება ხეების სირენას, ქარის ზუზუნს და ცის გამაფრთხილებელ საყვირს. კონტრბასი სუსტდება, ზღვაზე მონაბერი ქარიც აღარ იძვრის.

სისხლი მოდის.. მოდის... მოდის.... და წყდება ზღვა ბლანტი სითხისა.

მშვიდდება ტევრი ყავისფერი, თეთრი ნისლიც აღარ ეტმასნება ტყეს. მხოლოდ შავი ხვრელი რჩება. ტრიალებს იგი.. მარადიულად ტრიალებს..

წყდება ზღვა ბლანტი ესენციისა და დახსნილი სუბნამები გიჟებით ამოხეთქავენ საპრობილედან.

დრო ჩქარდება. ყველაფერი უფრო მკაფიოდ ჩანს.

მერე კი ვხედავთ, ჩვენ, მხედავები, როგორ ნაცრისფერდება ყველაფერი.

ვხედავთ, როგორ ემლება ხალხს სახეები და როგორ გადაიქცევიან რუხ, უაზრო არსებებად. ვხედავთ, როგორ ქრება ასფალტი, როგორ რუხდება ყველაფერი და როგორ ჩუმდება არსება ყოველი.

ვხედავთ, როგორ ქრება სივრცე, და როგორ ისადგურებს უფერო, ნაცრისფერი, მშვიდი არაფერი.

... და ვხედავთ, როგორ ვქრებით ჩვენც.

თავდაბურული, შავი კონცეფციები დავეტივტივებთ ბლანტი, შავ სიცარიელეში, ბიჭის ესენციასთან ერთად. ვქრებით ჩვენც, ვერევით არაფერს, არაფერს ვგრძნობთ, არაფერს ვხედავთ, არაფერი გვესმის.

ბიჭიც ერწყმის სიცარიელეს, რუხდება, არაფერდება ყველაფერი და უფერული არასივრცე იკავებს მატერიას.

... და ახელს იგი თვალისა.

ახელს ათასობით, მილიონობით, უამრავ, ჩასისხლიანებულ თვალს. თვალები ნითლად ანათებენ ბნელ სივრცეში. ისინი ხედავენ ყველაფერს, მათი მოვალეობაა დაინახონ ყველაფერი, მათ ესმით, გრძნობენ, იციან ყველაფერი. და იღიმის ის.

7

ეს არაა კეთილი, თბილი ღიმილი, რომელიც ფანჯრის რაფაზე დადგმულ იის ქოთანს მოგაგონებს წვიმიან დღეს.

ეს არც ის ბოროტი, ბნელი დაკრეჭილი კბილებია, ბნელ, ჩაბჭუტულ ოთახში, კუთხეში შეყუყუული აჩრდილი რომ გიღიმის.

ეს ნაცრისფერი, მშვიდი, ცარიელი ღიმილია.

ასეთი ღიმილით მხოლოდ ჩონჩხებს შეუძლიათ, გაიღიმონ.

დასასრული

ჯემალ მახრიშვილი

ლია წერილი

ლიტერატურული ჟურნალის, „ისინდის“ რედაქტორს, ქალბატონ იკა ქადაგიძეს

ქალბატონო იკა, 2013 წლის 6 სექტემბერს „ლიტერატურულმა საქართველომ“ ერთი ნოველა დამიბეჭდა, მაგრამ ტექსტის დედანი ისე მავნებლურად იყო დამახინჯებული, ველარ გავრკვეულიყავ - ეს ტრადიციული რედაქტირება იყო თუ „ბოროტების ჩუმი ნავალი; (ნიკო სამადაშვილი).


უკიდურესად აღფოთებულმა, რედაქციაში მაშინვე წარვადგინე გაზეთის მთავარი რედაქტორისადმი მიმართული ღია წერილის ელექტროვერსია, მაგრამ მისი ბედ-იღბლის შესატყობად რომ მივედი, ლამის გამკიცხეს - რა დროს ახლა ლიტერატურული ტექსტების რედაქტირებასთან დაკავშირებული „მიტინგების“ დროაო! ხოლო გაზეთის მაშინდელმა პასუხისმგებელმა მდივანმა, ცხონებულმა დავით კახაბერმა ცალკე გამიხმო და ხმადაშვებით მიჩაჩა - ეს ღია წერილი უკანვე წამელო, თორემ კარგს არაფერს მომიტანდა.

მეც დავფიქრდი და დავმორჩილდი!

ასე რომ, ჩემთვის სამუდამოდ გაუგებარი დარჩა: ნოველა ასე ჯალათურად ვინ და რატომ დამიმახინჯა ან იმ ღია წერილმა მიაღწია თუ არა ადრესატამდე!..

მას აქეთ შვიდიოდე წელი ჩამოიძაფა და პირადად ჩემთვის დაუჯერებელი რამ მოხდა -- ლიტერატურული ტექსტების რედაქტირებასთან დაკავშირებით 2020 წლის 7 თებერვლიდან ახლა თვით... „ლიტერატურულმა საქართველომ“ შემოგვთავაზა ანკეტა, თანაც ერთობ შეუხამებელი სათაურით: „თავსატეხი: ლიტერატურული ტექსტის რედაქტირება“.

ღმერთო, დღეს როგორღა შეიძლება ასე თვითმიზნურად გამოგონილ და ხელოვნურად გაბერილ რალაც „თავსატეხზე“ ასეთი ზოგადი და თანაც ერთფეროვნად გაჭიანურებული ართილულუ-ჩართილულუს გაბმა, როცა ლიტერატურული ტექსტების რედაქტირების ნორმები, წესები, მეთოდები და ზნეობრივ-ეთიკური მხარეები ათადანბაბადან განსაზღვრულ-ჩამოყალიბებულია - საჭიროა მხოლოდ შურგაუკარებლობა, შეუვალი პრინციპულობა და მათი განუხრელი დაცვა!!! ხოლო სხვისი ტექსტების რედაქტირებისთვის დაბადებული უზადო ლიტერატორისთვის ამგვარ მასალებთან შეხვედრა „თავსატეხი“ კი არა, ისეთივე აღმაფრენის მომგვრელია, როგორც, მაგალითად, პელეს, მესხის, ყიფიანისა თუ მესისთვის მწვანე მინდორზე ბურთთან შეხება! მაგრამ რაკი მაინც-დამაინც „თავსატეხზე“ მიჰყუდეს ჯოხი, მაშინ



პირუთვნელად უნდა ითქვას: ეს „თავსატეხი;“ თავისთავად ლიტერატურული ტექსტების რედაქტირებაში კი არ იმალება, არამედ სულ სხვაგან - რედაქცია-გამომცემლობები მუდამ სავსე რომ იყო და არის ათასგვარი აღმაშფოთებელი, უკადრისი თუ სამარცხვინო პროტექციით მიყვანილი უვიც-უღირსი „ლიტერატურის შეუმცდარი რჯულმდებლებით!!!“ მხოლოდ საქმეში ჩაუხედავი შემომეკითხება: ამ ანკეტით გულმოცემულმა ეს ღია წერილი რატომ ხელახლა არ მიიტანე „ლიტ საქართველოს“ რედაქციაში? კი მაგრამ, რის იმედით?! ანკეტის ათ(!) კითხვას თექვსმეტივე (!) მონანილე ისე პასუხობდა, თითქოს აკრძალული ჰქონდათ ბოლო წლების „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან ცოცხალი მაგალითების მოყვანა და მხოლოდ ზოგადი მსჯელობით უნდა შემოფარგულიყვნენ!

სწორედ ამიტომაც იყო, ყოველი ამ ანკეტის კითხვისას სევდიანად მახსენდებოდა ქართული ანდაზა: დათვს ხედავდენ და კვალს ეძებდნენო!..

ქალბატონო იკა, გთხოვთ, დამიბეჭდოთ „ლიტერატურული საქართველოს“ მაშინდელი მთავარი რედაქტორისადმი შვიდი წლის წინათ დანერილი და უკან დაბრუნებული ღია წერილი, რათა მომავალში მცირეოდენი ყურადღება ამ კუთხითაც გამახვილდეს: ასე შეგნებულად ვისგან და რა მიზნით ხდება ხოლმე ლიტერატურული ტექსტის გაუბედურება და მორალურად განადგურებულ ავტორს მერე გზას რატომ უღობავენ სიმართლის შესატყობად!

აი, ჩემი აზრით, რა არის საკითხავი და... „თავსატეხი!“

პატივისცემით
ჯემალ მახრიშვილი

20. 07. 20

რედაქტორის მინაწერი: ჩემი მხრიდან აქ რაიმე კომენტარის გაკეთება მკითხველების შეურაცხყოფად მიმანია. ამიტომ უცვლელად და უკომენტაროდ ვბეჭდავ მწერლის მიერ შემოთვაზებულ მასალას.

„ისინდის“ რედაქტორი: იკა ქადაგიძე

ღია წერილი

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს, ბატონ თამაზ წივნივაძეს ბატონო თამაზ, ახალადგენილი „ლიტერატურული საქართველოს“ პირველი ნომერი ა. წ. 31 მაისს გამოუშვით, სამი დღის შემდეგ, 3 ივნისს კი რედაქციაში ერთი ნოველისა და ორი კრიტიკული წერილის ელექტრონული მოვითანე. თქვენი თანამშრომლებიც დამიდასტურებენ, ის დღე და ეს დღე — არამცთუ მანდ აღარ მოვსულვარ, არამედ ტელეფონითაც არავინ შემინუხებია, რათა ეს უკადრის სულწასულობაში არ ჩამომრთმეოდა. ამიტომ ჩემი ნაწარმოებების ბედ-იღბალი თქვენს მახსოვრობასა და გემოვნებას მივანდე. დრომ მიჩვენა, არჩევანში არ შევმცდარვარ: 5-12 ივლისის ნომერებში გაგრძელებით ჯერ კრიტიკული წერილი „ნომენკლატურული დაბუთავილი“ დაიბეჭდა, ხოლო ახლა, აგერ, 6 სექტემბერს ნოველაც „ფინლებში ჩავარდნილი სოფელი“ გამოქვეყნდა. მაგრამ ნეტავი არ გამოქვეყნებულიყო!

პირველ წერილში თუ ერთი ასო ან მძიმეც კი არსად იყო შეცვლილი, ნოველის ენა, სტილი, ორთოგრაფია და აზრი ბევრგან ისე მტრულად დაემახინჯებინათ, რომ უეცარი ბუნებრივი აღშფოთება ახლა სიბრაღეზე შემიცვალა — ლიტერატორი ისე რამ უნდა გააბოროტოს, სხვის უდანაშაულო და უმწეო ტექსტს ასე მტარვალურად მოექცეს-მეთქი!

დედანი მიწერა: „ცელგალესილი გულდაგულ რომ შეუდგებოდა თიბვას, გუმანით რამდენჯერ გადაურჩენია მოულოდნელად წამონაფრენი მწყრის ბახლებიანი ბუდე“.

რა არის აქ გაუგებარი ან გადასაკეთებელი?! მაგრამ საჩხირკედელაო მანიპულაციებში გამოცვეთილმა მავნებელმა ბოლო წინადადება ასე დამიმახინჯა. „გუმანით რამდენჯერ გადაურჩენია მოულოდნელად წამონაფრენი მწყრის ბახლებიანი ბუდე“.

ბატონო თამაზ, პატივცემულო მკითხველებო, მწერლებო, ყველა ჟურნალ-გაზეთის თანამშრომლებო! მოდი, ახლა დავსვათ ქუდი და გავაჩინოთ სამართალი:

ძველებურ რედაქციაში დაჭმუჭნილ ფურცლებზე რაღაც ისეთი ბატიფხურად ნაჯღაბნი რომ მიმეტანა, თვით გამოცდილ მბეჭ-

დავ-მემანქანესაც კი სწორედ ვერ ამოეკითხა, რაიმე შეშლოდა და ამ კურიოზულ შეცდომას დღის სინათლე ეხილა, ეს გასაგებია, მაგრამ დისკზე ჩანერილ და კომპიუტერის კრიალა მონიტორზე ამოსულ უნაკლო ბეჭდურ ტექსტს ვილაც შეგნებულად რატომღა ერჩის და ჯალათურად ამახინჯებს?! ჯანდაბას ავტორი — ასეთ მუშაკს ნუთუ რედაქციის ან თავისი ღირსება და ზნეობა მაინც არ ეძვირფასება?!

მეტი ჩარა არა მაქვს, როგორც დაზარალებულმა, ამ მოვლენას სავარაუდო ახსნა მაინც უნდა მოვუძებნო. ეს ან გარეშე მტრული ძალების შორს გამიზნული საბოტაჟია, რედაქციას ავტორები თანდათან რომ შემოუფერტხონ ანდა თვით რედაქციაში მოკალათებული ვილაც ხელმოცარული გაასპიტებული გრაფომანის ჩანადენი, ვისაც სხვისი გამართული მხატვრული ტექსტების იაგოსებური ბოროტ-მოხარულობით დასახიჩრება პათოლოგიური ჟრჟოლვის მომგვრელ დაუძლეველ სიამოვნებად ჰქცევია!...

ნოველის პერსონაჟი, მწერალი კაცი თავის ბუდეში მიწვილ, უცხოეთში გადაცვენილ შვილებზე დარდობს, თან თავისი წარსულიც აგონდება. „როგორც თავის დროზე მოხუც მამას თვითონ მოექცა და ნაშავდღევარი კარ-ფუძე მიუტოვა, განგება ახლა ორმაგად უბრუნებს“. ბოროტებასთან წილნაყარმა მავნებელმა ბოლო სიტყვის დაბოლოებას სადისტურად უჩხიკინა და ყველაფერი თავდაყირა დააყენა. „განგება ახლა ორმაგად უბრუნდება“.

ნუთუ ვინმეს ენა მოუტრიალდება, ეს კომპიუტერულ კაპრიზს გადააბრალოს?! დედანში მიწერა: „სქელი თაფულები“. მავნებლის კობრასებრი კალმის ერთი ნაკარება და - „სქელი თაფურები“. რა არის თაფული?“ საზვინედ მოთიბული ბალახი. რაღა არის თაფური? არაფერი! აბა, ახლა წარმოვიდგინოთ, დაინტერესებული მკითხველი ლექსიკონს რომ ააშრიალებს და იქ „თაფური“ არ დახვდება, რა შთაბეჭდილება დარჩება ავტორსა და რედაქციაზე?!

პერსონაჟი შორეულ მოგონებებსაა მიცემული.

„როგორ უყვარდა.. ღრუბლების თვალგაყოლებით ცქერა“.

ლიტერატურული ფილოქსერა, რაკი გრძნობს, არავინ აკონტროლებს, რა გული გაუძლებს, ერთადერთ ასოს მაინც არ უხიმანოს!

„როგორ უყვარდა... ღრუბლებით თვალგაყოლებით ცქერა“.

დედანი მოკლე და გასაგებია. „თან მორავიაში დაიას მისჩხავის“.

მორავიას ლიტერატურული ჯალათი პირდაპირ შეუშლია.

„თან მირავეშია დაიას მისჩხავის“.
პერსონაჟს საქონელი მოაგონდება და მოე-
ნატრება.

**„ო, უცებ როგორ მოენყურა.. დანეხვილ ბაკ-
ში რეზინის ჩექმებით ტოპვა“.**

კომპიუტერის ფოლოქსერა დაცინვაზე გა-
დადის და ამ მწერალს უცებ ცალფეხა კაცად
წარმოგვიდგენს. „რეზინის ჩექმით ტოპვა“.

აი, რა ეწერა დედანში:

**„მეგუთნე მამის რჩევა-დარიგების ირონი-
ულმა უგულუბელყოფამ“.**

ალვირანყვეტილი მავნებელი პერსონაჟის
მამასაც ამასხარავენს.

„მეგუთნე მამის რჩევა-დარიგების“...

დედანი მოგვითხრობს: **„ხასიათმოუტეხელი
თბილისელი პირველი მეუღლე...“**

კომპიუტერის გამოცვეთილ ფილოქსერას
წინ რა დაუდგება — პირველი სიტყვისთვის
აპენდიქსივით ამოუჭრია **„უ“ - „ხასიათმოტეხ-
ილი თბილისელი პირველი მეუღლე...“**

აბა, სად — ხასიათმოუტეხელი, სად — ხა-
სიათმოტეხილი?!

დედანში სწორი ფორმით მენერა: ფალასფ-
ულასი, არაფრის მაქნისი, შესწვდება, ამვლე-
ლი, მიუნვდომელი, პირისახე...

ტექსტის მაოხრებელი კი ყველაფერს განზ-
რახ ამახინჯებს, რათა მკითხველები დაარწ-
მუნოს, რომ ელემენტარული ორთოგრაფიის
უცოდინარია როგორც ავტორი, ისე თვით რე-
დაქციაც: ფალას-ფულასი, არაფრისმაქნისი,
შენვდება, ამლელი, მიუნდომელი, პირსახე...

არა, აქ უნდა შევწყვიტო, თორემ ყველა
დამახინჯებული ადგილის კომენტირებას რომ
ჩავყვე, გაზეთის სამი გვერდიც არ იკმარებს!

ბატონო თამაზ, მე ერთი რიგითი მწერალი
ვარ და არა მგონია, ეს ყველაფერი ჩემ გამო
იყოს ჩადენილი. ეტყობა, ამას უფრო ღრმა
ფესვები აქვს. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ,
მოახდინოთ საჭირო განკარგულება, რათა რე-
დაქციაში შემოსული მასალების აღრიცხვა,
შენახვა, მოძრაობა, მათზე ხელმისაწვდომო-
ბა, თანამშრომლებზე განაწილება და ნების-
სმიერ ტექსტზე მომუშავე მუშაკის ვინაობა
ისეთ კონტროლს ექვემდებარებოდეს, რომ მს-
გავს დაუშვებელ თვითნებობას ადგილი აღარ
ჰქონდეს.

**კეთილი სურვილებით
ჯემალ მეხრიშვილი**

09.09.20136.

ნანა შალაგერიძე

შეილა

— შემობრძანდით! — შუახანს გადაცილებულ-
მა მამაკაცმა კარი ღიმილით გამიღო და ჰოლის
გავლით ღრმად ოთახისკენ გამიძღვა.

— ჯერ ჩვენ ვისაუბროთ, შეილა მერე შე-
მოგვიერთდება. არ ვიცი, ხართ თუ არა საქმის
კურსში. ჩემს მეუღლეს, შეილას, ერთი თვის წინ
გაუკეთეს ოპერაცია.

მკერდის სიმსივნე ჰქონდა მეოთხე სტადიაში.
მას მერე ღამე მარტო დარჩენა უჭირს. მე კიდევ
ხშირად მაქვს მივლინებები ევროპის ქვეყნებში.
არ მინდა, დაძაბული დავტოვო ხოლმე სახლში.
დარჩებით შეილასთან ღამლამობით ჩემი არყოფნის
დროს? ხომ არაფრის გეშინიათ? — შემომაცქერდ-
ნენ მისი მოლოდინით სავსე თვალები.

— თქვენ რას გულისხმობთ? რა გაქვთ მხედვე-
ლობაში? შიში, დავუშვათ, რის მიმართ?

— უცებ რომ ხანძარი გაჩნდეს; ან ვინმე დაგ-
ესხათ თავს; ან სულაც შეილა

გახდეს შეუძლოდ...

„ეტყობა, ესენი შეილას ფანტაზიებია!“

— გასაგებია. შეილა რომ ცუდად გახდეს, ემერ-
ჯენისის მოსვლამდე შემიძლია პირველადი დახმარე-
ბა აღმოვეჩინო; ხანძრის შემთხვევაში არ დავიბნე-
ვი და სახანძროს გამოვიძახებ. მანამ შედარებით
უსაფრთხო ადგილას შევაფარებთ თავს. ამ ბოლო
დროს ჩამოსული ფერადკანიანები ირლანდიელების
სახლებში გაქურდვის მიზნით ხშირად შედიან. თუ
შემოიპარებიან, ხელჩართულ ბრძოლაში არ გა-
მოვიწვევ მათ და პოლიციის მოსვლამდე როგორმე
დიპლომატია გვიშველის, ალბათ....

— მგონი, შეგაშინეთ! არა, მთლად მასე არაა
საქმე. შეიძლება არაფერიც არ მოხდეს და მთელი
ღამე მშვიდად დანებდეთ ძილს!

— არ მეშინია!

— შეილა, ქალბატონი თანახმაა, შენთან დარჩ-
ეს ხოლმე! ჩამოდი, გაიცანით ერთმანეთი! — ასძახა
კაცმა.

შეილა ფარფატიტ დაეშვა კიბეებზე. თვალებს
ვერ მისწორებდა ჯერაც ფერმიხდილი. მაგიდას
რომ მიუჯდა და შემოგვიერთდა, ცოლ-ქმარი უს-
იტყვოდ მიაჩერდა ერთმანეთს.

„ინფორმაციას ცვლიან!“ შეილამ თვალები
ოდნავ, შეუმჩნევლად დახარა.

„ანუ წინააღმდეგი არაა! ნეტავ ესეც ჩემსავით
წინასწარ გრძნობს, ვის გვერდით არ უნდა იყოს
ან იქაურობას, სადაც მას არაფერი ესაქმება, თავი
მოარიდოს და გაეცალოს?!“

— როგორ ფიქრობთ, დაგათვალიერებინოთ
ოთახების განლაგება თუ ფინჯან ჩაის მივუსხდეთ?
— გამომავფიხილა შეილას ფრთხილმა ხმამ.

— პირველი ვარიანტი მოვილიოთ! — ეს უკვე
მე ვარ, განონასწორებულნი.

მსუბუქად წამოდგა შეილა. დარბაზიდან დარბა-
ზში გავდიოდით, შეილა ყოველი დარბაზის დათვა-

ლიერებისას თითქმის მიმარბენინებდა დარბაზის იმ კარისკენ, საიდანაც ადვილი იყო შენობიდან გარეთ გაღწევა.

— ამ კარს აი ასე გააღებთ და პირდაპირ შიდა ეზოში აღმოჩნდები; ეს კარი გვერდითა ქუჩაზე გაგიყვანთ; ეს კარი სახლის გვერდით მდებარე პატარა ეზოში გადის; ეს კარი ზევით ამავალ კიბეებს მიგაყენებთ; ეს კარი... ეს კარი... ბოლო არ უჩანდა შეილას განმარტებებს... ახლა ზევით ავიდეთ! ოთხი კარი იძლევა საშუალებას, კიბეებით დაემვათ ქვევით, ეზოში და მერე საკუთარი გადაწყვეტილებებით იმოქმედოთ...

— არა, არ მინდა, შეილა! არცერთი კარის არსებობა არ მაინტერესებს. მე თავს შესანიშნავად ვგრძნობ!

შემცბარი შეილა შედგა. მისი განწირული თვალები ჩემგან მუდარით ითხოვდნენ განმარტებას.

„როგორ წამომცდა ასეთი ორაზროვანი ფრაზა! ახლა როგორ გავუფანტო კომპარები?“ — აფუჯანყდი საკუთარ თავს.

— შეილა, საიდუმლო უნდა გაგიმხილოთ: მე ერთი მხდალი ვინმე ვარ.

მართლა უშიშარი ხომ არ გგონივართ. უბრალოდ, ჩემი საკუთარი, დაუნერეღი კანონით ვმოქმედებ: მფარველი ანგელოზი თავში მსუბუქად წამკრავს ხოლმე ნკვიურტს, თუ შემთხვევით იქ აღმოვჩნდები, სადაც ჩემი ადგილი არაა. მაშინაც კი, თუ ჩემთვის არასასიამოვნო ადამიანების გარემოცვაში მოვხვდები... თუ გავჯიუტდები, უფრო მაგრად მხვდება ნკვიურტი! აი, მაშინ კი უკანმოუხედავად მივტუნძულე... თქვენ გვერდით, ამ სახლში ვგრძნობ, რომ სრულიად დაცული ვარ... სულ ეგაა! ამიტომ არ მაინტერესებს ეს ლაბირინთი.

— კარგი, ჩაის მივუსხდეთ! არ მოისმენთ ჩემს პირობებს?

— სიამოვნებით, რა თქმა უნდა!

სასადილო ოთახში გასულეხს, შეილას ქმარი შემოგვეგება და მაგიდასთან მიგვიწვია, თან ოდნავ შესამჩნევად ელიმებოდა. „ეტყობა, ყურს გვიგდებდა საძაგელი ბიჭი!“

სასადილო ოთახში მთელი ორი კედელი ბიბლიოთეკას ეჭირა. ოთახში უხვად იყო ოჯახის წევრების ფოტოები გაფანტული, როგორც ეს ირლანდიელებს სჩვევიათ ხოლმე. მაგიდასთან სახით უკანა ეზოსკენ მოვხვდი. მზეს მონატრებული ირლანდიელები ცდილობენ, კარებისა და კედლების უმეტესი ნაწილი მინის იყოს, რომ მცირე ხნით სამალავიდან გამოპარულმა მზემ უხვად შემოაჭყიტოს და იქაურობა ოქროსფრად ააფერადოს... შეიძლება სხვა მოტივიც იმალება ამ ახირებაში. დავუშვათ ის, რომ ხელისგულზე გედოს შემოგარენი...

ჩემი ყურადღება ბუჩქიდან გამომძვრალმა ჟღერის ფერის მელაკუდამ მიიპყრო, რომელიც ნელ-ნელა, ფრთხილად მოიწვედა სასადილოს მინის კარისკენ.



— ერთი ამას უყურე, რას ბედავს! — აღმომხდა გოაცებულს.

შეილა შეტრიალდა. მელაკუდა თვალებში მიაჩერდა მას.

— ორი წელია, ეს „რიჟა ბატონი“ ჩვენს ბაღში ცხოვრობს. თავისით მოვიდა, შემდეგ მენწყილევ მოიყვანა და შეილესიც გააჩინეს. რამდენჯერმე მივმართე ზოოპარკის დირექციას, მოვიდნენ და წაიყვანონ.

— რაო, ჩემო ბატონო, რამით ხომ არა ხარ უკმაყოფილო? ხომ არაფერი განწყენინა მებაღემ? — მიუბრუნდა შეილა რიჟას. რიჟა კარგა ხანი გვათვალეერებდა, შემდეგ შეტრიალდა და ბალის სიღრმისკენ დაადო თავი.

„ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილო. კიდევ კარგი, საქართველოში არა ხარ, ვინ გელოლიავებოდა ამდენს. უცერემონიოდ გბუთქავდნენ თოფს!“

— როგორ ვერ ვიტან ქართველ კაცებს, როგორი გაიძვერები არიან! — ფიქრი წასცდა შეილას. შეკრთა, ხმამალა რომ გაჟღერდა მისი ფიქრები და განცდები.

— რალა მაგ კატეგორიას გადაეყარეთ! უსინდისოს, მატყუარას, მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობის მაძიებელს, უსიყვარულოს...

— სხვანაირებიც გყავთ? — თვალი თვალში გამიყარა შეილამ.

— არც ისე ცოტა.

— კარგი. ჩვენს საქმეს მივხედოთ! თქვენთვის

ოთახი მეორე სართულზე გამოვყავით. აბაზანა და ტუალეტიც საკუთრივ თქვენი გექნებათ. თქვენს განკარგულებაშია სამზარეულო და სასადილო ოთახი. მზარეულს გავაფრთხილებ, გამოათავისუფლოს კარადისა და მაცივრის თაროები თქვენთვის. ნურც თეთრეულსა და პირსახოცებს მოიტანთ, დამლაგებელი ყოველდღე გამოგიცვლით. თქვენი დღიური ანაზღაურება 30 ევრო იქნება.

ღამის 9.00 საათზე აქ, თქვენს ოთახში, უნდა იყოთ. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მოხვიდეთ, ოღონდ 9-ზე გვიანი ნუ იქნება. დილას ჯერ მე მაცალეთ ნასვლა, 8-ზე მოდის ჩემი მძლოლი და სამსახურში მივდივარ ხოლმე.

ყველაზე მთავარი: არ დამელაპარაკებით. ამას კატეგორიულად მოვითხოვ!

თუ რაიმე შეკითხვა გექნებათ, ბარათი სამზარეულოს მაგიდაზე დატოვეთ.

პასუხი იქვე დაგხვდებათ იმავე საღამოს ან მეორე დილას.

კინალამ გამომრჩა: კარებს თქვენ არასდროს არავის გაუღებთ! სულ ეგაა! რას იტყვით?

— არაფერი მაქვს საინააღმდეგო...

— მაშინ ავიდეთ და თქვენს ოთახს გაჩვენებთ!

ჰოლში გამოვედით და კიბეებს ზევით ავუყევით. კიბის თავში მარჯვენა კარი შეაღო შეილამ. ეს იქნება შენი ოთახიო, ჩაილაპარაკა და ფართე ფანჯრებს ნიადგა ჩაფიქრებული. ოთახი და აქსესუარები, ნამდვილად, არ ჩამოუვარდებოდა ნებისმიერი ცნობილი სამეფოს დედოფლის ბუდუარს.

მეც მივედი ფანჯარასთან. ჰოი, საოცრება! ჩემი ოთახის ფანჯრები ბალს გადაჰყურებდა. ბალს არა, სამოთხეს, ლვითურს, თეთრი ვარდებით დათოვლილს.

მებალეს ბურქებით კელტური ორნამენტები მილიმეტრული სიზუსტით გამოეყვანა. ეტყობა, მზერა ბურქიდან ბურქზე, ვარდიდან ვარდზე გაუგონარი სისწრაფით გადამქონდა. ასეთი სილამაზის ხილვისას თვალებს ბრწყინვა ემატება, სახეს ნათელი ადგება ხოლმე. უხილავი ფრთები უცებ აგიტაცებს ზევით, სულ ზევით.....

— ჰა, სადა ხართ, რომანტიკოსო? — მომესმა შეილას ოდნავ ჩახლეჩილი ხმა შორიდან.

— აქ, ჩემი ოთახის ფანჯარასთან და ვტკბები თქვენი მებალის ოსტატობით, — შეძლებისდაგვარად ჩვეულებრივი ტემბრი დაუბრუნე ხმას....

— თუ გინდა დარჩი, რამდენი ხანიც გინდა!

— არა, ამჯერად წავალ.

ჩავუყევით კიბეებს ქვევით. ჰოლის ბოლოში, კარებთან მისული ისევ შეილას ხმამ დამაბრუნა რეალობაში.

— რომელ წელსა ხარ დაბადებული? — ხმადაბლა, ფრთხილად მკითხა შეილამ.

ადვილი შესამჩნევი იყო, რომ მისი გულისყური სადღაც სხვაგან დაბორილობდა, თვალებსაც ირგვლივ ცოტა უცნაურად ატარებდა.

— 1951-ში.

— ეგაა კოდი, შემოსასვლელიც და გასასვლელ-

იც! — მითხრა თითქმის

ჩურჩულით და გასაღები ხელში ჩამიდო.

„არა, რომ არ დამთხვეოდა ჩემი დაბადების თარიღი და სიგნალიზაციის კოდი ერთმანეთს?“

— ისე ავუტყედი საკუთარ თავს, თითქოს სხვა ყველაფერი ბურუსშემოცლილი ყოფილიყო ამ შეხვედრაზე. „ნაამატებდი ან გამოაკლებდი ციფრებს ამ თარიღს! რა გჭირს?“ — უშიშრად შეეუძახე თავს და იქაურობას კმაყოფილი გავეცალე.

...

ძილში ვიგრძენი, ვილაცამ სახეზე ბალიში დამაფარა. ხელი ავუქნიე აბეზარ ზმანებას, მაგრამ რეალობამ წამიერად გამომაფხიზლა, როცა მოძალადემ ჩემი ხელი ჰაერში შეაკავა და მეორე ხელით უფრო მეტი სიმძიმით დაანვა ბალიშს.

„მგუდავს! ჩემზე ძლიერი და დიდია... როგორ დავახევირო უკან... ვაი, მგონი ვერ დავუსხლტები...“ აფართხალებული ფიქრები ჩემთან ერთად ებრძოდნენ მონინააღმდეგეს. მოვდუნდი. „ნუთუ მძლია?“ ცალი ხელი გაუცნობიერებლად გავაცურე წმინდა ნინოს ხის ჯვრისკენ, რომელიც ყელზე მეკიდა და ჩავბლუჯე.

მოულოდნელად უცნობის ხელი მოეშვა, რაღაცამ თუ ვილაცამ უკან დაიხია და გაცურდა ოთახიდან. ბალიში მოვიშორე, ოთახს თვალი მოვაველე. არავინ იყო....

სანოლის გვერდით, ტუმბოზე, ხელუხლებლად იდო უძველესი ხატი, რომელიც მეგობარმა ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე ეტაპზე მაჩუქა და გვერდიდან არ ვიმორებდი, სადაც არ უნდა წავსულიყავი.

სულ რაღაც ორი წუთის შემდეგ ზედა სართულიდან ჩამომავალ კიბეებზე ვილაც მძიმე ნაბიჯებით, სვენებ-სვენებით დაეშვა. არ მომეჩვენა, ჩემი ოთახის კარებთან შედგა, მომაცურადა და ისევ ქვევით ჩაუყვა კიბეებს.

„როგორი დაძაბული ნაბიჯებია! რა ხდება? ვინ იყო? ან ახლა ვინ ჩაიარა ასე მძიმედ?“ ფიქრები შეუბრალებლად ირეოდნენ თავში. მომაგონდა, პირველად ჩემს ოთახში რომ შემეყვანა, შეილამ გარკვევით მითხრა, მე ერთი სართულით ზევით ვიქნები, კიბეებს რომ აათავებ, მოპირდაპირე ოთახში. მაინც იცოდე, თუ რამე გაგიჭირდესო.

„შეიძლება სულაც შეილამ ჩაიარა! რატომ არ სძინავს? თითქმის ღამის ორი საათია. ვითომ თვალს ადევნებდა, რა მოხდებოდა ჩემთან, ოთახში?“

ამას წინათ ერთ ქართულ, ძალიან ცნობილ ჟურნალში საინტერესო ინტერვიუ დაიბეჭდა „მის საქართველო 20??“- თან, რომელიც სხვა „მისებთან“ ერთად კონკურსით გათვალისწინებული პრიზ-საგზურით მოგზაურობდა შოტლანდიაში. ნაკითხვისას ვიგრძენი, საკმაოზე მეტად დაბნეული „მისი- რესპოდენტი“ ხმის კანკალით რომ მოუთხრობდა ჟურნალისტს, სასტუმროში, მის ოთახში, ღამე რამდენჯერმე იდუმალად შუქი როგორ აინთო და ჩაქრა, შემდეგ დამფრთხალი მიადგა თავის კოლეგას გვერდითა ოთახში და სთხოვა, მასთან

გადმოსულიყო და ერთად გაეთიათ ღამე. ის-ის იყო ძილი მოერიათ, რომ ამჯერად კაკუნი გაისმა კარზე, რომელიც თანდათან გაძლიერდა და თითქოს პრეტენზიაში გადაიზარდა. ამდენის მოთმენა რომ აუტანელი გახდა

„მისებისთვის“, გაგულისებულებმა გაგლიჯეს კარი. დაუჯერებელი იყო, მაგრამ კარებთან არავინ იდგა. ორივე შიშმა აიტანა, მაგრამ ის მაინც მოახერხეს, ხელიხელჩაკიდებულები მენეჯერს ხლებოდნენ, რომელიც, მოეჩვენათ, რომ თითქოს მათ მოლოდინში იყო, ხოლო მისმა თავაზიანმა ღიმილმა საბოლოოდ გაუფანტათ ეჭვი და დარწმუნდნენ თავიანთი ნაფიქრალის ნამდვილობაში.

შედეგად იფეთქა ცილისწამებამ, რომ ეს განზრახ მოუწყვეს, რომ ამინებდნენ, რომ მათ მიმართ გულში ცუდი განზრახვა ჰქონდათ და მოსთხოვეს მენეჯერს, ვიდეოკამერის კადრები გადაეხვია და მათთვის ეჩვენებინა, რა მოხდა და კარებზე ვინ აკაკუნებდა. მენეჯერმა უკან არ დაიხია და აუსრულა გოგონებს წადილი. მათ გასაოცრად კადრებში არანაირი მტკიცებულება არ აღმოჩნდა.

საგონებელში ჩავარდნილნი, მორიგი ბრალდებისთვის შეემზადნენ, მაგრამ დაასწრო მენეჯერმა და აუხსნა, სამიოდე წლის წინ ამ ოთახში ერთმა ქალმა დილას საწოლში თავისი პატარა საღსალამათი გოგონა გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი იპოვა. ამდენი ხნის შემდეგ ეს შემთხვევა დავინწყებას მივცემოდა, რომ არა ერთი გარემოება. ამ ოთახში დაბინავებულები ხშირად ჩივიან, რომ შუალამისას კარებზე კაკუნი მოსვენებას უკარგავთ. ეს აუხსნელი ფენომენია, მაგრამ ხომ შეიძლება პატარა ანგელოზის სიმშვიდემოუპოვებელი სული იყოსო. თანაც უკვე ღამის ოთხი საათი დაიწყო, ასეთი რამეები ღამის 12.00 - დან 03.00-მდე ხდება ხოლმე და, ალბათ, მეტი აღარ განმეორდებაო....

თვალწინ დამიდგა, ნირწამხდარი „მისები“ როგორ შეიკეცავდნენ ფრთებს და მობუზული ბელურებივით ნახვანხვალდებოდნენ თავიანთ ნომერში.

„ანუ ღამის 12.00-დან 3.00 -მდეო“.

საათს დავხედე. უკვე 4-ის ნახევარი იყო. „ჯობია, დავიძინო და დილას ყველაფერი საღ გონებაზე გავაანალიზო და მივიღო გადაწყვეტილება!“

ძილში შევცურე თუ არა, ბიძაჩემის — გიგლას ძახილი მომესმა: — გამოიხედე, აქა ვარ!

გულგახეთქილი გავვარდი აივანზე, ძილშიც მახსოვდა, რომ ბიძაჩემი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო.

— რისი შეგეშინდა? ჩამოდი, მომყევი! გაგიყვან აქედან! — მითხრა გიგლამ რიხით და გზა გააგრძელა. ჩავფრთხილდი და ავედევენი გიგლას, რომელიც რატომღაც არც მომსალმებია და დამლაპარაკებია, ისე მიიწვედა წინ სოფლის შარაზე. ასე უბრად მოვხვდით ხალხმრავალ ბაზრობაზე, სადაც გლახებს თავიანთი მონეული დოვლათი უხვად გამოეტანათ და ღიმილით სთავაზობდნენ დაინტერესებულთ. ბაზრობა დაბალ ხმაზე რუზრუზებდა.

გიგლა რატომღაც გაუჩინარდა. ნეტა ან რას მომიყვანა, ან რას გაქრა ასე უსიტყვოდ — მეთქი, მიკვირდა მე, დაბნეულს.

„აქ შეგიძლია მოიძიო და შეიტყო გასული საუკუნის ამბები!“ აფუთფუთდა გაუცნობიერებელი. შევდექი და ხალხი მოვათვალიერე. ვერავინ შევარჩიე ისეთი, ვისთანაც ამ იდუმალეზაზე საუბარს გავაბამდი. მაგრამ შანსის ხელიდან გაშვებაც არ მინდოდა და ყველას ერთად, სანამდეც ჩემი ხმა გასწვდებოდა, ხმამალა მივმართე, ხომ არავინ იცით, ამ სახლში რა მოხდა — მეთქი და ხელი დამაჯერებლად იმ სახლისკენ გავიშვირე, საიდანაც მოვედი და რომელიც ახლა რატომღაც სულ სხვანაირად გამოიყურებოდა. თითქოს კადრი შეჩერდაო, ფუთფუთი შეწყდა და გაკვირვებით მომანათეს თავიანთი ნათელი თვალები გასული საუკუნის ირლანდიელებმა. მერე ერთი მათგანი, ცეცხლისფერთმიანი, შუახანს გადაცილებული მამაკაცი, რომლის სახის კანს, მიუხედავად ასაკისა, ატმის ყვავილისფერი შერჩენოდა, წამოდგა, თვალი გამისწორა და მარტივად, ერთი წინადადებით ბურუსს ფარდა ჩამოაშორა: აქ ერთმა ქალბატონმა თავისი ქმარი ბალიშით მოგუდაო. შემდეგ ყველაფერი ერთბაშად გაქრა და მე ისევე ჩემს ოთახში აღმოვჩნდი.

„ანუ აქაც სული სიმშვიდეს ვერ პოულობს და ჯავრს ამჯერად ქალებზე იყრის!“

თენდებოდა. მუქი რუხი ფერის ცის კაბადონი შეუმჩნევლად ბაცდებოდა. ჩვენებური ცეცხლის მზე აქ არ აცურდებოდა, მაგრამ მე მაინც გალაკტიონის თავისუფლების ჰიმნი არ მადმევედა მოსვენებას...

„არა, ასე არ შეიძლება. ამოდენა ცოდვას ვერ ავიკიდებ და ვერ ვზიდავ მთელი ცხოვრება. მთელი საუკუნეა, იქნებ — მეთიც, მოგუდული კაცის სულს ამ ნუთისოფლიდან ვერ გაულწევი და ვერ დაუმკვიდრებია სასუფეველი. ვერ მივატოვებ! ვეცდები, ხელი შევაშველო!“ აფუჯანყდი საკუთარ სურვილებს და წამოვიჭერი. შემდეგ მექანიკურად დროის უმოკლეს მონაკვეთში ჩავათავე დილის პროცედურები.

„სახელიც კი არ ვიცი მისი, როგორ ვილოცო?“ თავი იჩინა პირველმა პრობლემამ, როგორც კი დილის მოკლე ლოცვები ჩავათავე და მისთვის გარდაცვალებულთათვის ლოცვის ნაკითხვა დავაპირე. „არა უშავს, მე მაინც ვცდი!“

— მომისმინე! ვიცი, აქა ხარ! მე არ ვიცი, რა გქვია, მაგრამ ვიცი, რაც განუხებს.

არ მკითხო, რატომ ვიცი, ან საიდან... რა ცუდია, რომ ისეთი არავინ დაგრჩა, ვინც შენთვის, შენი სულისთვის ილოცებდა... არა უშავს, მე ვილოცებ, დილა-სალამოს ვილოცებ... თანდათან შვებას იგრძნობ... ერთ მშვენიერ დღეს კი, დამიჯერე, გზას გაიკვლევი იქ, ზევით, სულ ზევით... შენთან მხოლოდ ერთი თხოვნა მაქვს:

მეტი აღარ შემაშინო და ამაფორიაქო! გპირდები: არ გავიქცევი, აქ დავრჩები!

სანთელი ავანთე და გარდაცვალებულთათვის ლოცვა წავიკითხე.

მიკვირდა, ამ იდუმალებაში ხმა რატომ არ მი-
კანკალებდა.

კიბებზე დავეშვი თუ არა, შეილაშამ სამზარეუ-
ლოს კარები გამოაღო და მთხოვა, ერთად გვესაუზ-
მა.

— სიამოვნებით. „აკი დილაობით ხმა არ გამ-
ცეო?!“

— ხომ არაფერმა დაგაფრთხოთ?

— არა. თქვენ?

— არც მე. მშვიდად მეძინა.

მე და შეილა ძუნწად ვცვლიდით ერთმანეთში
მარტივ წინადადებებს.

ორივეს ჩვენ-ჩვენი სატიკვარი გვტკიოდა,
ამქვეყნიური.... ნენსის არ იყოს, შეილაც უმაღლესი
ხარისხის ჩაის მოყვარული აღმოჩნდა! ღამის ფო-
რიაქი დავინწყებას მიეცა...

სალამოს ისევ მივედი. შეთანხმების თანახმად,
ამჯერად ორი კვირა მიწვედა იქ ყოფნა. ოთახში
ყველაფერი ხელუხლებელი დამხვდა. ვგრძნობდი,
რომ „ისიც“ იქ ტრიალებდა.

— „მოიხსენე უფალო...“

გატრუნული იდგა, დავდახრილი. რალაც ახალი
ინყებოდა მის ცხოვრებაში და ცნობისმოყვარეობა
კლავდა...

— „მიუტევენ მათ ყოველივე შეცოდებანი
მათი!“

— „ალარც მახსოვს, თუ რაიმე შევცოდე!“

— „სხვანაირად, აბა, როგორ იქნებოდა! ხელს
ნუ მიშლი!“

— „მიეც მათ საუკუნო ხსენება!“

— „ეს მეორე სანთელი ვისთვისაა?“ — ვერ ის-
ვენებდა ის.

— „იმისთვის! ის შენზე ცუდ დღეშია... ხელს
ნუ მიშლი!“

...

ასე გრძელდებოდა მთელი 7-8 წელიწადი. „ის“
თანდათან უფრო

მშვიდდებოდა და მიმტევებელი ხდებოდა. უკვე
ალარ აღიზიანებდა, „იმისთვისაც“ რომ ვლოცულობ-
დი. თუკი გარემოება არ მომცემდა საშუალებას,
სალამოს მათთვის მელოცა, იმ ღამეს აუცილებლად
მეწვეოდა. ზუსტად ისე, როგორც ჩვეულებრივ სწ-
ვეოდა ხოლმე: დაკეტილ კარებში შემოცურდებოდა,
მთელ ოთახს მოივლიდა, შემომხედავდა და გაცურ-
დებოდა.... და ეს არ იყო საყვედური! არც მუქარა!
უბრალოდ, უნდოდა ჩემთვის თავი შეეხსენებინა...

...

ბევრი რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში. მე მაინც
ჯიუტად ვაგრძელებდი მათთვის ლოცვას! უკანასკ-
ნელად ის სამი თვის წინ შემოცურდა ჩემს ოთახში.

გაბრწყინებული თვალები მომანათა, დამშვი-
დობების ნიშნად ხელი დამიქნია და აჩქარებით გას-
რიალდა ოთახიდან...

როლანდ თოფჩიშვილი

**ოსები ისტორიულ და თანამედროვე
საქართველოში**

(ამონარიდი)

ახლა ოსების საქართველოში მიგრაციის შეს-
ახებ. ყოველგვარ არგუმენტებსა და ფაქტებსაა
მოკლებული და მხოლოდ ზოგიერთი ავტორის ახ-
ირებას ემყარება თეზისები ოსების საქართველოში
ძველი დროიდანვე მკვიდრობის შესახებ. არც ერთი
საისტორიო წყაროთი, საბუთით არ დასტურდება
ოსების საქართველოში მიგრაცია და აქ საბინად-
როდ გადმოსვლა არც ძველი წელთაღრიცხვის სხ-
ვადასხვა მონაკვეთში და არც ახ. წ.-ის IV საუკუნე-
ში ჰუნების შემოსევას აღან-ოსების საქართველოში
დასახლკარება არ მოჰყოლია. როგორც ზემოთ
ითქვა, ამ დროს ოსებმა დონისპირა და აზოვისპი-
რა ველებიდან შედარებით სამხრეთით, ჩრდილოეთ
კავკასიის მთისწინა ველებში წამოიწიეს. არ დასახ-
ლებულან ოსები საქართველოში არც VII და არც VIII
საუკუნეებში, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს წარ-
მოუდგენია. VIII საუკუნეში ოსებმა მხოლოდ ჩრდი-
ლოეთ კავკასიის მთიან ხეობებში დაიწყეს შესვლა,
რაც კარგა ხანს გაგრძელდა და დასრულდა ეს
მიგრაციული პროცესი XV საუკუნის დასაწყისში.
VIII საუკუნის მეორე ნახევარში მხოლოდ ოსების
ერთმა ჯგუფმა სცადა შიდა ქართლში დასახლება,
რომელიც დარუბანდის გზით იყო შემოსული. მათი
სამხედრო რაზმი ილხანთა მონღოლური სახელმწი-
ფოს ბრძანებით მოქმედებდა. 1292 წელს უმეფო-
ბის პერიოდში „ინყეს ოვსთა ოხრებად, ხოცვად და
რბევად და ტყვევნად ქართლისა და ქალაქი გორი
წარტყუენეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა (ქც, II:
296). ოსებმა ისარგებლეს საქართველოს დასუს-
ტებით და მონღოლთა მხარდაჭერით ცდილობდნენ
შიდა ქართლში სამოსახლო ადგილების მოპოვე-
ბას. ოსების მონღოლთა ეს ფაქტობრივად „საპო-
ლიციო რაზმები“, გარკვეული ხნის შემდეგ, მეფე
გიორგი V ბრწყინვალის მიერ განადგურებულ და
გაძევებულ იქნენ საქართველოდან („განასხნა და
აღფხურნა“). ბრძოლაში ცენტრალური ხელისუ-
ფლების მხარეზე იბრძოდა მთის მოსახლეობაც:
ქსნის საერისთავოს ლაშქარი ვირშელ ერისთავის
მეთაურობით და „მთიულნი არაგვისანი“. „ოსების
წინააღმდეგ ბრძოლაში გიორგი მეფეს მხარში ქსნის
ერისთავი ვირშელი და „მთეულნი არაგვისანი“ რომ
ედგნენ, შემთხვევითი არ იყო. ჩრდილოეთ კავკა-
სიიდან შიდა ქართლში გადმომავალი ბილიკებით
შემოსული ოსი ხიზნებისაგან, უპირველეს ყოვლი-
სა, სწორედ შიდა ქართლის ამ ორი ხეობის მოსახ-
ლეობა ზარალდებოდა“ (გოილაძე 2018: 180). არადა
„ოსეთიდან ქართლში ხიზანთა ახალი ნაკადების
შემოსვლის სახით მათ ქართლის დაცარიელებუ-
ლი სოფლების შესავსებად ამოუნწურავი რესურსი
ჰქონდათ (რადგან ქართლელი მინათმოქმედნი ან
განყვეტილნი ან სამცხეში იყვნენ გადახვენილნი

– რ. თ.). ოსებისათვის ყველა პირობა არსებობდა, რათა შიდა ქართლში ახალი „სამშობლო“ მოეპოვებინათ. მაგრამ იმ ხანად გიორგი ბრწყინვალეს ძალისხმევით ქვეყანა გადარჩა“ (გოილაძე 2018: 181). ოსთა ამ რაზმების განადგურებისა და გაძევების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებმა კარგა ხნით მტკიცედ ჩაკეტეს ოსეთის ხეობებიდან საქართველოში შემოსასვლელი ორივე კარი (დარიალი, კასრის-კარი) და გარკვეული ხნით შეაჩერეს ოსთა საქართველოში მიგრაცია. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ოსებს უფრო ადრეც ჰქონდათ მცდელობა საქართველოში დამკვიდრებისა. მაშინაც ისინი უცხო ძალას ეყრდნობოდნენ; მაგალითად, IX საუკუნის შუა ხანებში არაბმა მხედართმთავარმა ბულა თურქმა დარიალის გადმოსასვლელით 100 კომლი ოსი შემოიყვანა და ქვემო ქართლში, ანუ სამხრეთ საქართველოში, შიდა ქართლიდან საკმაოდ დაშორებით, ქალაქ დმანისში დაასახლა. წყაროებით არ ჩანს, შემდგომში რა ბედი ეწია ეთნიკური ოსების ამ 100 ოჯახს. სავარაუდოდ, ისინი ან მალევე ასიმილირდნენ ქართველთაგან, ან გავიდნენ საქართველოდან. XIII საუკუნის შუა ხანებში, მონღოლთა ხანის ბრძანებით, მეფე დავით VII-მ მიიღო მონღოლთა მოკავშირე ოსთა სამხედრო რაზმები და საცხოვრებლად დმანისი და ყინვანი მისცა. არც ამ სამხედრო რაზმების შემდგომი ბედი ცნობილი. ყოველ შემთხვევაში, არავითარი ოსური ეთნიკური ანკლავი ქართული წყაროებით ამ ქალაქებში არ ჩანს.

კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ისტორიული საქართველოს პროვინციაში – დვალეთში ოსების შემოსახლება ძირითადად განხორციელდა XVI საუკუნეში, XVII საუკუნეში კი დვალეთში დასრულდა ადგილობრივ ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის (ტერიტორიული ერთეულის) – დვალეების ასიმილაცია ოსების მიერ. მაგრამ, როგორც ბ. კალოევის მიერ ჩანერილი ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, დვალეთის ზოგიერთ ხეობაში, მაგალითად, ზახაში ორენოვნება დიდხანს იყო შემორჩენილი (კალოევი 1999). ზახელების უმეტესობამ ქართული ენა კარგად იცოდა. დასახლებული ავტორი ამას საქართველოსთან ხანგრძლივი ეთნოკულტურული კავშირებით ხსნის, აგრეთვე, ზახის ეკლესიებში ქართული სასულიერო პირების მოღვაწეობითა და მათ მიერ ქართულ ენაზე ქადაგებით. ეს მასალა პირდაპირ მიუთითებს არა ორ სხვადასხვა ეთნოსს შორის არსებულ ეთნოკულტურულ კონტაქტებზე, არამედ იმაზე, რომ დვალეები ქართველი მთიელები იყვნენ და მოსულმა ირანულენოვანმა ერთობამ მათი ასიმილაცია მოახდინა. ზახაში ქართული ეკლესიების არსებობა, ქართველი მღვდლების მოღვაწეობა და ქართულ ენაზე ქადაგებაც იმის დამადასტურებელია, რომ დვალეთი ქართული მხარე იყო თავისი ქრისტიანული რელიგიით. ქართველი მღვდლების მოღვაწეობა კიდევ ერთი დადასტურებაა იმ ფაქტისა, რომ ეს მხარე საქართველოს ეკლესიის ნიქოზის ეპარქია-



ში შედიოდა და არა ალანის ეპარქიაში, როგორც ახლა ზოგიერთი ოსი მეცნიერი წერს. იმავე ბ. კალოევის თავის ნაშრომებში იმის დამადასტურებელი მასალაც მოაქვს, რომ XVIII საუკუნის ბოლოსაც დვალეთის მკვიდრნი, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ჯარში ისევე იბრძოდნენ, როგორც სხვა მხარეების წარმომადგენლები. ოსების დვალეთში დასახლებამდე, ოსების მონოლის, თარეშის, ლაშქრობების გამო, დვალეების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა მხარეში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, რაჭა) განსახლდა. ადგილზე დარჩენილი დვალეები, ოსთა ეთნიკურ-ენობრივ გარემოში ამ უკანასკნელთა აქ ჯგუფური შემოსახლებისა და სწრაფი გამრავლების შედეგად ასიმილირებულ იქნენ. ქართველი მთიელი დვალეები იყვნენ წარმოშობით: ხადურები, ჩიფჩიურები, ბიგულეები, თვაურები/თავაურები, ჩოჩოურები (იგივე ჩოჩიშვილები), **თედელურები, ჯოჯიშვილები, ოქროპირიძეები** (ეს უკანასკნელი ოთხი გვარი საერთო წინაპრისაგან მომდინარეობდნენ და განსახლებული იყვნენ ნარას საზოგადოებაში), **ბელელურები, გუდიაურები, ბაგაურები, გერგაულეები, თაბაურები, ხერხეულიძეები, ქესაურები, ფარუხაულეები, კობერაულეები, დულიურები, ფოსურები, ფიდიურები, შალაურები, ფუხაურები, საურები, ხარშილაურები, ჯიჯიურები, ბიბილურები/ბიბილაშვილები¹, გოგალაურები, ბერიულეები, ბუტაურები**

1 „ძველი ერისთავთა“-ს თანახმად ბიბილურები დვალეთის „ბობოლეთაი“-ს თემის/საზოგადოების მკვიდრნი იყვნენ, რომლებიც აქ ამ დროს აღარ ცხოვრობდნენ

(„ძეგლი ერისთავთა“-ს მიხედვით „ბრუტაშვილი“), თაგაურები, ვეშაპურები, ჭავჭავიურები, შალაურები, ფაკაურები, ჯიჯიურები, გოგალაურები, ბერიულე-ბი, თუთარაულეები, ლაჭაურები, ხომიზურები, ჯაფარაულეები; აგრეთვე: ბიგანები (ბიგანიშვილები), ხაბარელები, ხეთერელები, ხოდელები, ხაჩიძეები (ადრინდელი ხაჩიურები), კასაბურები, ხიტურები, ხუტაურები, გერკეულეები, გელიშვილები, კეხოშვილები, გოგიჩაშვილები, თიბელაშვილები, ეფხოშვილები.... რაც შეეხება ნარ-მამისონის ქვაბულში (ანუ დვალეთში) მოსახლე ყველაზე დიდ ოსურ გვარს ხეთაგურს (ხეთაგურებს), მათი წინაპარი აქ ყაბარდოდან იყო მოსული და, ბუნებრივია, ქართულ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში გვარსახელიც-ურ სუფიქსით გაიფორმეს. შემდეგ ოსურ ეთნიკურ გარემოში ეს გვარიც გაოსდა.

ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე – დვალეთში ოსებმა ძალით რომ გაიკაფეს გზა, მათ აქ დასახლებას, თავდასხმები რომ უძღოდა წინ, კარგად ჩანს ფოლკლორული მონაცემებითაც. მხედველობაში გვაქვს ხალხური ლექსი „მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი“, რომელიც სწორედ დვალეთის მეზობელ, საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში – მთის რაჭაშია შექმნილი. ამიტომაც ამ ლექსის, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობა, ძალზე დიდია. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალხური ლექსით კარგად ჩანს, რომ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინცია – დვალეთი, ოსეთში არასდროს არ შედიოდა და დვალეთში ოსებმა დასახლება ბრძოლით შეძლეს:

**„მაღლა მთას მოდგა
უცხო ფრინველი,
თეთრი ფრთოსანი.
ჟღელეს ჩამოდგა
დიდი ლაშქარი,
დიდი ლაშქარი – ოსი და დვალი.
ომი შეიქნა ცისკრისა ჟამსა,
ცისკრისა ჟამსა, გამთენიასა:
ქნევა ხმლისა, ძვერა შუბისა.
ხმალი ორპირი სისხლში ცურავდა,
შუბის ნალენი ზეცას ცვიოდა,
მესამე დღესა ჩამოცვიოდა.
ვაჟკაცთ ყვირილით მიწა იძროდა,
სისხლისა ღვარსა კაცნი მოქონდა.
ჯაფარ გაიქცა, ვით რომ კაკაბი,
ოსი მისდევდა, ვით რომ არწივი.
ჯაფარ, ვერ ნახვალ
შინა მშვიდობით,
ცოლს ვერ მიუტან
ლაშქრულს ანბავსა,**

(შიდა ქართლის მთიანეთში იყვნენ გადასახლებული). დვალეთში მოსულ ოსთა ერთ-ერთი მეფის შვილებს დვალეები ბოხოლეთას „ქვეყანას“ უბოძებენ და ქართველ მთიელთა ტრადიციიდან გამომდინარე (ამონყვეტილის, სხვაგან წასულის მამულს, ადგილს ვინც მიიღებდა, გვარიც მათი უნდა მიეღო) ბიბილურის გვარს აძლევენ („სახელ-ვსდევით ბიბილურად“).

**ლაშქრულს ანბავსა,
ნითელ კაბასა,
სიტყვა გათავდა, ჯაფარ ნაიქცა,
ჯაფარ ნაიქცა სვეტი ოქროსი.
ომი გათავდა, ომი გათავდა,
აგერ მოდიან მონიფულები.
ჯაფარ მოაყვე:
თავი გოდრითა,
ტანი ლასტითა,
წვრილი წელები –
ხელკალათითა (ძველი..., 1911-1913: 115).**

ამ ხალხური ლექსის 15-ზე მეტი ვარიანტი არსებობს, უფრო სრულყოფილიც. შესაძლებელია ამ ლექსის თავდაპირველი ვარიანტის აღდგენა. მეცნიერთა მითითებით, თავისი აგებულებით ეს ლექსი საკმაოდ ძველია (ქურდიანი 1997: 176-178). დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ხალხურ ლექსში ასახულია დვალეთში შემოჭრილი ოსების ბრძოლა ადგილობრივ დვალეებთან. სამოსახლო ტერიტორიებს დვალეთში ოსები ბრძოლით მოიპოვებენ. ოსები დვალეებთან ბრძოლაში იმარჯვებენ. მრავალი დვალი დაიღუპა. გადარჩენილები კი მამა-პაპათა საცხოვრისიდან გაიქცნენ (და დასახლდნენ შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, რაჭაში, ზემო იმერეთში). დვალთა ერთ-ერთი ლიდერი ჯაფარი, დამარცხდა რა უთანასწორო ბრძოლაში, გაიქცა, „ვით კაკაბი“. გაქცეული ჯაფარი, რომელიც დვალეებს ასახიერებს, ოსებმა აკუნეს. რაც შეეხება იმას, რომ ეს ბრძოლა ნამდვილად მოხდა, კარგად ჩანს ხალხური ლექსიდან. ლექსში ნახსენები ორივე ტოპონიმი („მაღლა მთა და „ჟღელე“; სადაც ბრძოლა მოხდა) დვალეთშია. „მაღლა მთა“ ეს იგივე „მაღლა დვალეთია“. ასეთი გეოგრაფიული ერთეული ნახსენები აქვს იოანე ბაგრატიონს (ბაგრატიონი 1986, 79). „ჟღელე კი დვალეთის ექვსი ხეობიდან ერთ-ერთი ხეობაა, რომელიც გეოგრაფიულად მთიან რაჭასთან ახლოსაა (მთიანი რაჭიდან დვალეთის ჟღელეს ხეობაშია გადასასვლელი). ლექსის რამდენიმე ვარიანტში ნახსენებია ტოპონიმი „ქალაქა“. „ქალაქაც“ დვალეთის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი იყო. ლექსში ნახსენები „უცხო ფრინველი თეთრი ფრთოსანი“, რა თქმა უნდა, საომრად მოსული ოსები იყვნენ, რომლებიც დიდი ლაშქრით დაუპირისპირდნენ ადგილობრივ დვალეებს. ხალხური ლექსიდან ამკარაა, რომ ერთმანეთს უპირისპირდება ორი ერთმანეთისათვის უცხო ხალხი: ბრძოლით მოსული ოსები და ადგილობრივი, ქართველთა ტერიტორიულ-ლოკალური ჯგუფი – დვალეები. ამ ლექსით საფუძველი ეცლება ოსი ავტორების „მტკიცებას“, რომ დვალეები ოსები იყვნენ. ლექსში ასახული ბრძოლის შემდეგ მოხდა სწორედ მოსახლეობის ეთნიკური შეცვლა საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ უძველეს პროვინციაში – დვალეთში.

ოსური გადმოცემებიც ადასტურებენ, რომ ოსური ეთნოსი დვალეთში ბრძოლით არის მოსული. ადგილობრივ მოსახლეობას ისინი ებრძოდნენ, ამარცხებდნენ და ისე იკავებდნენ მათ საცხოვრებელ ადგილებს...

**ციცინო ხანიკა
შეამღგომის მზა**

(ამონარიდი რომანიდან)

შევედით პორტში. დაჩიმ მანქანა სადგომზე დააყენა. დამავლო ხელი და იქით გამიტაცა, სადაც ნაპირთან მიბმული უამრავი კატერი ტივტივებდა წყალზე. მათ შემხედვარეს წინასწარ დამესხარეტი. საერთოდ, ზღვის ავადმყოფობა მანუხებს და წყევლასავით თან მდევს ყველგან. როცა იახტაში ჩავმჯდარვარ, სიამოვნება არასდროს მიმილია, თვალდახუჭულს მიმგზავრია, ლებინების შიშით დათრგუნვილს. ერთხელ კატერიტაც გავისეირნეთ ახალგაზრდობაში, იმდენი ვარწყიე, კინალამ გადმომიბრუნდა გულმუცელი. ამას დაჩის ხომ ვერ მოვუყვებოდი, არც დრო მქონდა საამისოდ და არც ვითარება იყო შესაფერისი. ისევ ჩემი ვაჟკაცობისა და იღბლის იმედად უნდა დავრჩენილიყავი, იქნებ ამ ჯერზე გავმკლავდებოდი ამ საძაგელ სენს და თავი არ შემერცხვინა. მივედით ნაპირთან, დამავლო დაჩიმ ხელი, ბავშვივით ამიტაცა და პირდაპირ გადაალაჯა კატერში. ისე შემეშინდა, კისერზე შემოვაჭდე მკლავები.

– მეშინია, დაჩი!

დაჩიმ დამსვა და საჭეს მიუჯდა. – ხელები წელზე მომხვიე! – მიბრძანა. უსიტყვოდ დავემორჩილე.

კატერმა დაიღმუვლა და ისე გავარდა, შიშისგან თვალები დავხუჭე. კარგად მომხვიე ხელები! დამიყვირა, რადგან მოტორისა და წყლის ხმაში არაფერი ისმოდა.

ინსტინქტურად მივეკარი ზურგზე. მეგონა, ზღვა თავზე დამემხოზოდა. შიშისგან გულისრევეაც გადამავინწყდა. ვგრძნობდი დაჩის თბილ და მკვრივ სხეულს, მჭიდროდ ვიყავი ჩახვეული და სირცხვილის გრძნობაც არ მანუხებდა. მხოლოდ შიშს ვგრძნობდი და ერთდაერთი ხსნა დაჩის სხეული იყო. მესმოდა მხოლოდ ძრავის გუგუნის და გაპობილი წყლის შხუილი და ყურები მისკდებოდა. მერე თანდათან ვიგრძენი, რომ უფრო წყნარად მივექროდი და თვალები გავახილე. უკან მივიხედე, ზოლივით მოჩანდა ნაპირი.


– გთხოვ, დაჩი, მივბრუნდეთ უკან! – ჩავძახე მის კისერს.

– ჩემ ცხოვრებაში არ მიგრძენია თავი ამაზე უკეთესად, შენ? – ჩამომძახა იმან. როცა თავი მოიბრუნა საპასუხოდ, მისი ტურები თითქმის შეეხო ჩემს ყურს...

– გიჟი ხარ, დაჩი!

– უფრო მაგრად მომეხვიე, ახლა გიჩვენებ მე შენ სიგიჟეს! და ისევ გაგიჟდა კატერი.

ისე ჩავეკარი, რომ სახე ზურგზე მივასრისე. დროდადრო მეგონა, კატერი მალლა ამოდიოდა და წყლის ზედაპირზე მიფრინავდა. საოცარი იყო, მაგრამ თანდათან გამიარა შიშმა, თუმცა თვალს მაინც ვერ ვახელებდი თამამად, ვგრძნობდი, გული ამერეოდა. ღრმად ვისუნთქავდი ზღვის სველ, მარილიან ჰაერს და ღმერთს ვთხოვდი, ეს ერთი ეპატიებინა ჩემთვის და მეორედ აღარ ჩავჯდებოდი



მხატვარი: მარსიანი

კატერში, ოღონდ ახლა არ გადამერწყია თავზე ამ კაცისთვის. მერე თანდათან შეანელა სვლა, უფრო წყნარად მივექროდი და არც ისე საშინელი ხმაური იყო, ასე რომ, ხმადაბლა ნათქვამიც მივანვდინე დაჩის ყურს: – გთხოვ, დაჩი, საკმარისია, მივბრუნდეთ უკან...

– არ მოგეწონა, თავადის ქალო?

როგორმე გადაგიხდი სამაგიეროს, მიწაზე თუ დავდგი ფეხი...

– ჰო, თუ დადგი, კი. თუ წასვლას გადაიფიქრებ, გპირდები, ნაპირზე გაგიყვან, თუ არადა, უმჯობესია, ისევ ჩამეხუტო, თურქეთის რომელიმე პორტამდე არ იქნება გაჩერება.

– თურქეთში რა გვინდა?!

– მოგიტაცებ და თურქეთში გადაგიყვან.

– არ ვარ ხუმრობის ხასიათზე, გული მერევა... ჩემზე?

– არა, ზღვის ავადმყოფობა მჭირს.

– არა უშავს, წყალი აქ ბევრია, თუ რამე...

– დაჩი, გითხარი, ცუდად ვარმეთქი...

– დამპირდი, რომ არ წახვალ, თორემ არაფერი გამოვა.

– ჰო, კარგი, გპირდები!

დაჩიმ გეზი ნაპირისკენ აიღო. როცა თითქმის მივედით, თავი შემოაბრუნა და ყურში მითხრა:

– ელე, ხვალ მართლა არ წახვალ?

– აუცილებლად წავალ... ძლივს ამოვთქვი, რადაგან უკვე ყელში მომანვა ლებინება.

ახლავე მივაბრუნებ კატერს!

– აღარაფერი მითქვამს, ხელები უღონოდ ვუშვი და წყლისკენ გადავიხარე. დაჩიმ ხელი დამავლო.

– მოიცა, ელე, არ გადავარდე!

კატერი მიაყენა ნაპირთან. მე არაფრის თავი აღარ მქონდა, უკანასკნელი ძალით ვიგერიებდი – საზიზღარ მასას, სადაცაა რომ უნდა ამოჩქეფილიყო ჩემი პირიდან.

დაჩიმ დამავლო ხელი და ნაპირზე გადამიყვანა. ჩავჯექი. დაჩი სადღაც გაიქცა და ბოთლით

– წყალი მოარბენინა.

– მიდი, ნუ გრცხვენია, შემაგულიანა დაჩიმ. არა უშავს, აქ ეს არავის უკვირს.

– მართლა? – ძლივს ამოვილაპარაკე და ვიგრძენი, როგორ ჩაბრუნდა კუჭში მწარე და საძაგელი რამ, მილიონის ხათრით რომ არ გადავყლაპავდი სხვა დროს...

დაჩიმ წამომამყენა:

– ეს იყო სულ შენი ვაჟკაცობა, თავადის ქალო? ბოთლი უხეზად გამოვტაცე, ჯერ სახეზე შევისხი წყალი, მერე მოვსვი და ცოტა მოვსულიერდი.

– ელე, მაპატიე, მეგონა, მატყუებდი... – მონანიე კილოთი მითხრა. ვერ გავუძალიანდი, როცა ხელი მომხვია და მანქანისკენ წამიყვანა, თავბრუ ისევ მეხვეოდა და არეული ნაბიჯით მივდიოდი, უმისოდ წონასწორობას ვერ დავიცავდი და დავეცემოდი. ჩამსვა მანქანაში და გვერდით მომიჯდა.

– ელე, მაპატიებ? ხომ არ დამემდურები? – ისე შენუხებულმა მითხრა, გული მომიღბა.

მიმტევებლურად გავუღიმე. ისიც მაშინვე გამხიარულდა.

– ნეტავი, ჩემი თავადის ქალი სიტყვის პატრონია? იკითხა.

– თუ გახსოვს, ბოლოს რაც გითხარი... მე ჩემი ბოლო სიტყვის პატრონი ვარ.

დაჩიმ მანქანა დაქოქა. ერთხანს ჩუმად მივქროდი.

– მაინცდამაინც ხვალ უნდა ნახვიდე? – ჩავარდნილი ხმით იკითხა მერე.

– ვნახოთ... ალბათ, ხვალ ვერ შევძლებ... დღეს ზედმეტად ვარ დაღლილი ფიზიკურად და ემოციურად...

– ესე იგი, კიდევ ერთი დღე გვაქვს წინ... – თქვა დაფიქრებით.

– რას მთავაზობ, ხვალ მყინვარწვერს ხომ არ დავიპყრობთ?

– არა, მთამსვლელობა არ მიყვარს. სანაპიროზე შევხვდეთ ერთმანეთს. ბავშვებიანად მოვალ ხუთ საათზე. მანამდე მეც არ მცალია. კიდევ ერთი საღამო გავატაროთ ერთად, იქნებ ბავშვებმა გადმოგძალონ...

– დასამშვიდობებლად ნამდვილად მოვალ.

დაჩიმ მანქანა მოაბრუნა, გადმოხტა და ხელი შემამშველა. ცოტაზე გამომყვა. თვალი გავაპარე იქით, სადაც მეზობლის კაცები ყოველთვის ისხდნენ ნარდის სათამაშოდ. ყველა აქეთ იყო შემობრუნებული, გაჩერებული კადრით ერთ წერტილში გაშეშებული. გამახსენდა ორი საათის წინ

მოსმენილი სიტყვები: აღტაცებული შეძახილი, წაქეზებული შეძახილი და პროგნოზი: „კარგ ჩიტს დაიჭერ...“ უნებლიეთ გამელიმა.

– ყავაზე არ შემიპატიჟებდი? – მკითხა უცებ დაჩიმ.

– ა?! შევჩქეფდი.

– უკაცრავად... შენ ხომ სტუმარი ხარ. იქნებ ისევ ჩავსხდეთ და ყავახანაში დავლიოთ ფინჯანი ყავა?

– გეყოფა, დაჩი, ნადი, გთხოვ...

– მაპატიე დღევანდელი დღე... ნახვამდის.

– ნახვამდის, დაჩი...

დაჩი წავიდა. ნეტა, თუ მიხვდა, რომ ამ სახლში ვარ სტუმრად? დღეს არ იყო, ჭიშკარსა და ჩემ შორის რომ ჩადგა? უთუოდ მიხვდა, მაგრამ არაფერი მითხრა. რა სულელი ვარ, ნეტა, რას ვეთამაშები... თუ მართლა იცნობს ნინუცას და რამე იცის მასზე... ან ისეთი რა უნდა იცოდეს...

ქალს რომ საყვარელი ჰყავს ან ჰყავდა, დღევანდელ დღეს ვის უკვირს. როგორც თვითონ ნინუცა ამბობს, ქუჩაში არ დამდგარა უკანასკნელი მეძავით... არც ის გაამხელდა სახალხოდ, რაღაც ისეთი რომ ჩაიღინა, ზედმეტად საძრახი საქციელი... ასე რომ, უაზრობაა იმისი დამალვა, მისი სტუმარი რომ ვარ.

აღარ ვბრაზობდი დაჩიზე, თუმცა ვგრძნობდი, რომ ზღვარს უსაშველოდ გადავაბიჯე... მაინც ვემორჩილებოდი და ისევ დავთანხმდი ხვალინდელ შეხვედრაზე... ფიქრის თავი აღარ მქონდა. ნინუცას წამლებში საძინებელი აბი მოვძებნე, დავლიე და დავნექი, თუმცა დაღამებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო.

დილით ნინუცამ როგორც კი მომიკაკუნა, მაშინვე წამოვნიე თავი.

– ელე, ცოცხალი ხარ?

– კი.

– აბა, გამილე კარი.

ავდექი, გავუღე და ისევ შევწექი.

– ისეთი რა მოხდა გუმინ, სად იყავი და რას აკეთებდი, რომ მთელი ღამე მკვდარით გეძინა? დაღამებული არც იყო, რომ მოვედი. კარი კინალამ ჩამოვიღე, მაგრამ ვერ გაგაღვიძე.

– ძილის წამალი დავლიე.

– რატომ, გაგიჟდი? ისედაც ქათამივით გძინავს სულ, წამალი რად დაგჭირდა?

– ფიქრი არ მინდოდა.

– რაღაც ხდება და მიმალავ... თვალეზე გეტყობა, ჩალურჯებული გაქვს უბეები. მითხარი, შენ და შენი იდუმალი რაინდი რას აკეთებდით მთელი დღე?

– ერთად არ ვწოლილვართ, ეს თუ გაინტერესებს.

– სახეზე ვინც შემოგხედავს ახლა, სხვა რა უნდა იფიქროს.

– შენ სხვას მაინც არაფერს ფიქრობ.

– ბოლოს და ბოლოს, არ გამაცნობ? სინდისი არ განუხებს?

– სინდისი რატომ უნდა მანუხებდეს?
 – არაფერს მიყვები. იცი, რომ ცნობისმოყვარეობისგან სული მძვრება და არაფრად მაგდებ.

– ნინუც, ხვალ მივდივარ, ახლა არ გემშვიდობები, ამ სალამოს ვნახავთ ერთმანეთს.

– მეტი არაფერი გაქვს სათქმელი?

– ისეთი არაფერი, თუმცა შეგვიძლია, ამ სალამოს ვისაუბროთ... შენ ჩემთვის არ გცალია. არ გეგონოს, რომ გული მწყდება, უშენოდაც დავათვალიერე ბათუმი. კატერიტაც გავისეირნე, პიკნიკიც კი მოვანყვეთ ბუნებაში. კიდევ ბევრი საინტერესო შემოთავაზება აქვს ჩემს „იდუმალ რაინდს“, მაგრამ, სამწუხაროდ, მშობლიური ქალაქი მიხმობს.

– ელე, მართლა რა ჩამორჩენილი და დაკომპლექსებული გოგო ხარ?! რა მიგარბენინებს, ასეთი კაცი რომ გვერდით მყავდეს, პატრონი არ მოუყვდა ყველაფერს? ვიგრიანდები გემოზე! როგორც ვატყობ, კარგი შესახედავიც უნდა იყოს და საინტერესო პიროვნებაც, ისე, შენ ვის გაუყადრებდი თავს. ჩემმა ნათლიმამამ ენა გადაყლაპა, დამუნჯდა! ბათუმში ჭიანჭველაც არ დადის ისეთი, მისი ნომერი რომ არ იცოდეს ბათუმ, ასეთი კაცის ვინაობა გამოეპარება?

– მებუტება ბიჭი! მე კი ცნობისნადილი მკლავს, ისე როგორ ნახვალ, რომ ვერაფერი გავიგო?

– დანყნარდი, ნეტა შენი ცნობისმოყვარეობის მეტი ჯავრი არ მქონდეს.

– ხომ არ შეგიყვარდა... შვილს ვფიცავ, შენ კარგი არ გჭირს... ნინუცა არ ვიყო, თუ წინათგრძნობა მლალატობდეს: არ მითხრა ახლა, ისეთი არაფერი ხდება, მხოლოდ მეგობრები ვართო!

– კარგი, რა, ნინუცა, სამსახურში არ გაგვიანდება?

– მე კი მაგვიანდება, მაგრამ შენ სად გეჩქარება, ნეტავი. დარჩი ბოლომდე, ჯერ კიდევ ხომ გაქვს შევებულების დღეები. კარგად გამოიპრანჭე და შეხვდი, აუცილებლად დაგიჩვენებს... შენზე მეტი მესმის ამ საკითხში. ახლა მოსვენებას არ მოგცემს, თუ მართლა „შილკიანი“ კაცია... მიდი, იგრიალე, ვინ გყავს დამშლელი!

ნინუცა მხიარული ლილინით გავიდა. შუადღეზე ავდექი. არ ვიცოდი, საიდან დამეწყო, საერთოდ, რა უნდა მექნა დღეს... ხუთი საათისთვის გამოსამშვიდობებელი შეხვედრა მქონდა დანიშნული... მანამდე როგორღაც გავიყვანდი დროს. პირველ რიგში, ყავა მოვიმზადე, ფინჯნით ხელში აივანზე გავედი და სავარძელში ჩავჯექი. თითქოს ბუნებამაც დაკარგა ის განუმეორებელი სილამაზე, რაც ამ აივნიდან ჩანდა დღემდე... გრილი, უმზეო, რალაცნაირად სევდიანი და უფერული დღე იყო. სურვილი არაფრისა მქონდა. ვიჯექი მოდუნებული და სრულიად ძალაგამოცლილი... მოგვიანებით, დაახლოებით ოთხი საათისთვის, ჩანთა ჩავალაგე და კედელთან მივაგორე. მერე ჩავიცვი სადად და პრაქტიკულად. სახლიდან რომ გავედი, გვარიანად ციოდა უკვე, ქარიც უბერავდა. ნამდვილად არ იდგა შესაფერისი ამინდი სანაპიროზე შეხვედრისთვის. იქნებ სადმე უფრო

მყუდრო ადგილზე შევხვედროდით, ასეთ ამინდში ბავშვები გაცივდებიან მეთქი, გავიფიქრე და ტელეფონი მოვიმარჯვე, რომ დაჩისთვის დამერეკა და ეს მეთქვა. მაგრამ დაჩიმ თვითონ დამასწრო დარეკვა.

– სად ხარ, ელე? დაჩის აღელვებული ხმა ჰქონდა.

– ეს ესაა, გადმოფუხვით ტრასიდან, მინდოდა...

– ელე, გაიქეცი, გთხოვ, ბავშვები გამოპარვია დედაჩემს, ალბათ სანაპიროზე წავიდნენ. მეც ახლავე მოვალ!

ტელეფონი ჯიბეში ჩავიდე და ფეხს ავუჩქარე. ეს კუდრაჭები! სხვაგან სად წავიდოდნენ, ნეტა, გზაში არაფერი მოიწიონ... მივრბოდი და აქეთ-იქით ვიხედებოდი. აი, მივატანე კიდევ. არავინ ჩანდა ზღვის ნაპირას. ზღვა ძლიერად ღელავდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მეღბარ ჭელიძე

ბალაკტიონი რუსულად

СИНИЕ КОНИ

Как метельный снег, нездешней мглой стелящийся млечной,
 Взор слепил тот берег вечный, обаянн лучом закатным!
 Не нашёл земли искомой я, обещанной искони, Ничего, - что б было - кроме немоты зияний хладных.

В немоте зияний хладных, в мгле - слепой и непроглядной
 Лишь - тоска и безотрадность длят в себе свой сон утробный.
 Взор – не вспыхнет твой огнивом, В прорве стынешь ты могильной,
 Стынешь в прорве ты могильной и ничто души не тронет.

Как костлявый лес – на лицах, с мглой зияющей в глазницах,
 Дней постылых вереница, мчит, несясь в безумном плясе.
 С сонных марев - из трясин их, Вихрь коней моих иссиних,
 Всех сметёт в край, где ни зги нет! Здесь починут все во прахе!

Бег минут - всё неминучей, но меня сие – не мучит,
 И шелка простынь горячой влагой слёзной не залиты.
 Нет - страстей и мук - и тени, рой исчез ночных видений,
 Как глаголенье смятенных душ во пламени молитвы.

Как пожар неукращенный, как судьбы колёс вращенье
 Волн, в веках не смолкших, тщеньем, Кони носятся и рыщут!

Нет - цветов, на ветви рдевших, нет - ни грёз и снов
утешных!

Ждёт тебя приют лишь вечный впредь – в сырой
земле кладбища!

Кто средь всех - узнает лик твой, Кто - по имени
окликнет?

Чей покой прервёшь ты криком, Кто - услышит и
поверит?

От кого - ждать утешенья, Здесь – в извивах бездн и
щелях,

Как загадки без решенья, спят безмолвные химеры.

Луч – в снегах рассыпав бисер, лишь в преддверьи
озарит всех,

Впредь - лишь сонм бездушных чисел – зыбит даль
пустынь беззвездных.

Дней костлявый лес – на лицах, с мглой зияющей в
глазницах,

Непрерывной вереницей, всё течёт, - теряясь в
безднах.

В беснованьи ль выюг нездешних, и на дне - и в высях
млечных,

В щелях меж пространств извечных, в мгле – вне
памяти - вне сути,

Как пожар неукращенный, как судьбы колёс вращенье
Волн, в веках не смолкших, тщеньем, Кони яростно
несутся.

1915

ЭФЕМЕРА

На всех ристалищах тщеты, коней иссиня-мглистых
Бег - эфемерней, чем их грив порыв в бреду галопов.
Века рекой текут – но я крещён был первоистин
Водой - тех, первых Ниагар, слепой волной потопа.

Я сир - единственный в себе. На небесах начертан
Мой путь - кровавый цвет порфир для новых
Карфагенов.

Мне - нет судьбы иной - нестись, нестись в порыве
тщетном,

Безумен бег моих коней - Горит у рта их пена.

Окликнув именем - за мной - в хаос души разъятой
Несётся ветер! Искать себя - терять - терзать упрямо...
Где гроздь поздние лозы сплелись с крестом распятыя,
Бессмертной магии венцом - надгробный встанет
мрамор!

О, Скольких караванов путь растянется неблизкий
В песках - глас вопиющий как простёршись в небо
это.

Не#39;т - в крови#39; моей и капли кро#39;ви -
негрузинской,

Нет#39;; - и ниточки во мне нерва - не поэта!

Встревожит зависть сколько глаз и сколько гнёзд
осиных,

Прекрасной смутностью пленясь, там - у невидной
грани,

Где на ристалище коней – ретивей бег иссиних,

Где на ристалище стихов – державней – интегралы!

Вдали уже призывы труб всё громче и гневливей.

С грозой сшибается гроза, Свод - треснет затверделый,

Сгорают в пламени греха, в всеплавящем горниле,

Последних поисков души печальные пределы.

В ночах неистовств и страстей, на грани срывов
нервных,

Заворожённая луной, боль извращая в нежность,

Душа всё чертит контур свой, - пусть мнимый,
эфемерный

Душа всё ищет берег свой, как берега#39; -
безбрежность.

Что значит - пальм далёких ряд чертой над этой
шаткой?

Вперёд! Тоске высокой рад, я предвкушаю чудо -

Загадку равную себе - без смысла и разгадки:

Чтоб с четырёх сторон - ветра, спасенья - ниоткуда.

Пустых я звуков не терпел - ни препинанья знаков

Не чтил, когда ущербный мир весь язвами изглодан.

Остынув, отступил туман от стен сновидных замков,

Туда - смятенная душа стремится безысходно.

Пусть обернётся адом - рай, что-ж, я упьюсь им вволю
И там, где нет цветенья роз и страсть - холодна,
бесплотна,

Я - скал тяжёлым каблуком - упрусь в замёрзший
полюс

Когда отторгнутся ветра, грозя небесным сводам.

Наследник – щедрою рукой - осыплю из горстей я

Сюжетами убийств и мечтой - запретней страсти.

Брошусь –

в разрывы времени, кляня и не надеясь, Чтобы
воздвигнуть памятник, им - тёмным но прекрасным.

Приблизится - меридиан начальный – глянь в
просторы:

Ищу себе погибели и презираю старость,

Смешается прошедшее с опавшею листвою,

Приобретая осени присущую янтарность.

Мне быть - немим свидетелем игры иль смертной
схватки:

Пусть солнц сменяет оргию - лун магия. Кромешный,

Безличный Хаос - движется - в пожаре как останки,

Пред тенью - обгоревшего в огне тоски нездешней.

Останется пусть тайна, как благодать купели,
Пусть эфемерой правится над мною суд вершимый,
Вперёд - за край ристалища! Вперёд - за все пределы!
Вперёд - вперед иссиние - галопом одержимым!

1922

СНОВА ЭФЕМЕРА

Что же - колеблет стан кипариса?
Шелест тихий едва лишь заметен...
Ветра - не видно, ветра - не видно,
Но верхи все же клонятся в ветре.

Быть бессонной тоски отголоском
В немоте тесных стен -
Дар и кара:
Высока она и – оттого лишь
В век из века ломится чинара.

И поэт - он чинаре подобен,
Высота для него - казнь и пытка ,
Нет, не лавры сулит и алоэ –
Яд завистников, коих – с избытком.
Он - велик вопреки! И во имя -

Звон развязан всех звонниц на свете:
Ветра- не видно, ветра - не видно,
Но верхи всё же клонятся в ветре.
.....
Вот Верлен - за абсента стаканом:
Сны зеркалятся в смутном грядущем.
Но – внезапный порыв: ураганом
Вдруг врывается женщина в душу!

Демоническим пламенем рыжим
Все - души охватив - закоулки,
Сгложет, огонь как – кварталы Парижа,
Чувства... мыслей обрывки... и звуки.

Бедный Лелиан – ангел сей падший,
По притонам ютился ... прибудный...
Понесут гроб друзья.
Средь скорбящих –
Женщин, горем убитых, не будет.

О, любовь есть - морская лишь пена!
Наделили бы прошлое властью,
Что бы высечь надгробных на стенах:
"Его жизнь - была сгублена страстью!"
.....
Вот и - мэтр Паганини! Маэстро
Винный кубок осушит!
Восторга
Предвкушенье пройдет оркестром,
От расстроенных струнных - к валторнам.



Над предплечьем
пристроит он скрипку,
Взмах смычка - росчерк огненных крылий -
И дворцы
из созвучий воздвигнув,
Искушает - явь
плачем Валькирий

Об одной лишь - струне!
В перстнях пальцы
Дам, столь призрачных, - сумраком скрытых.
Он, как струны, заставит рыдать их,
Томных глаз увлажнив хризолиты.

Им в угоду, кто – розами тешит,
Духу власть своеволия позволит.
Мог - в гримёрной, в узорах он трещин
Видеть в зеркале – тщетность юдоли?!
.....
Душит город когда дым отбросов,
Верхарн – нового времени Данте,
Чугунной хваткой сдвинет колёса
Маховик разгоняя их в такте.

И раскрутятся в хрипе оглохлом,
Дым их рёбра раскосые скроет.
Верхарн! Слышен безумный их хохот
Что ж отныне наш ход остановит?

Впредь - железо вопиет – к ответу
Призывая за братоубийство,
Час возмездия близок и – этот
Непреклонен итог и неистов.

Слеп – железа мятеж! Тех - задушит,
Кто их создал и душу вдохнул в них.
Верхарн – первый! В чугунном аду же
Скрежет ржавчиной съест богохульный.
.....
И Достоевский... пыткой стократной

В дымке - смутной как в сне... В дымке смутной...
Призрак видит опять - смертной казни,
Ждёт в безмолвии... ежеминутно

Палача в своей келье... Есть нечто
Глубже этого... Сущего область,
Что останется скрытой навечно...
Мне – таким его видится образ.

Когда тень – оттенит его профиль,
Он лишь вздрогнет... пощады - не кланчит.
Смертных суд - не пугает, напротив -
Но – что есть смерть! Кто – душу оплачет!

С эшафота... с высот – непрерывно
В даль уставится взор напряжённый -
Я – таким его образ запомнил.
Ветра – не видно... Ветра – не видно...

1922

НОВОГОДНЯЯ ЭФЕМЕРА

В недрах ночи послышится где-то
Запах нежный, глазами раскосый.
Из - разверзшейся тьмы лютым ветром
Смутный призрак авто – вдруг забросит.
Тени в страхе под фарами вздрогнут,
Разлетятся с дороги проезжей.
Снова прошлое требует долг мой:
Розы, взоры
мимознейших женщин!
Но не выцветет и не помнется
Ткань мечты, не морщинится время,
Чтоб другой Делярош или Моцарт
Опьянили меня - менестреля.
Чтобы радость тянулась и длилась
В откровенности простоволосой.
Flor extra fina, flor extra fina,
Музы'ка и вина, дивные розы.
И расплакалась клавиша - где-то
В глубине, в самом сердце рояля,
Когда пламя большого концерта
Весь театр, как пожаром, объяло.
О, немало ресниц и немало
Взоров ловит мой взгляд безразличный,
В смутных ложах и сумерках зала в сумраке
Скрылась ты, моя Беатриче.
Сердце брошено суднышком утлым
В море чувств и неясных волнений,
И всплывет со дна
клавиатуры
Слезной клавиши благоговенье.
Если б мог - я тебя позабыл бы,
Если б мог - где-нибудь потерялся,
Но пришита ты прочною рифмой

К сердцу острой иглой ассонанса.
Раб я
шума в партере и кресел,
И кулис или роз этих в вазах,
Смеха легкого женщин прелестных,
Шей высоких, сережек алмазных.
Век дендизма! Но, впрочем, до завтра!
Спущен занавес, гости уходят.
И пустое пространство театра
Ломит сыростью и непогодой.
Отражало то зеркало плечи
И волос укрощенье заколкой.

Слуга сумерек
гасит уж свечи
И ключами гремя - дверь закроет.
Может быть - был последним сей праздник!
О душа, мне в наследство досталось:
Небеса – с их сияньем Версальским -
И луна и фонтанов хрустальность,
В стеклах – облако – в фраке пингвинном,
И восторгов сверкающих - россыпь,
Flor extra fina, flor extra fina,
Музы'ка, вина, и ... дивные розы!..

1922

ВЕТЕР

Ветр - шумит, ветер – шумит, ветер – шумит.
листьев сонмы уносятся с ветром.
Гнёт деревья в дугу, клонит ниц...
Где же - ты, где же - ты, где - ты?
Снова – дождь, или - снег, – дождь и снег ...
Не обрящу тебя я вовек.
Твой я образ в смиренности храню
Хоть - во мгле, хоть - у тьмы на краю.
Даль небес сеет грусть в вечный мир
Ветр - шумит, ветер – шумит, ветер – шумит.

[1922-1923]

ЧЕМ ДАЛЬШЕ ТЫ

Чем - дальше ты, тем – сладостней порыв!
В тебе люблю я лик мечты смятенной,
Нетронутой – как первый луч зари,
Недосягаемой – как предел Эдема.
И если вдруг, окажется, что ты
Не та, кем мыслил - велика ли жалость?!
Душе больной угодно, что б мечты
Ты ангелом снизшедшим ей являлась.
И пусть - сгорю - в пылающем огне
Всевластной и необъяснимой страсти,
Лишь верить бы – в любви священный бред,
В души - истосковавшейся - праздник!

1927

ЕГИПЕТСКИЕ КЛАДБИЩА

Он восстанет из мглы саркофага.
 Ночь - безшумнее шага.
 Синий шелк шелестящего мрака.
 Орхидеи роняя над Нилом,
 Стон - в песках истомится безкрайних.
 Тщится он, чтоб - тоска не остыла,
 Что б душа – не смешалась с песками.
 Он – Рамзес, знавший славу монархов,
 Ныне - прах лишь и тлен...
 В вневременьи -
 Он , не может увы, быть – не прахом,
 Лицедействовать иль - лицемерить.
 Сонм столетий – в зрачках канет мумии:
 И - зори века, и - ветры безумий...

1925

ОНА

Тканый иней серебряных нитей,
 В мгле наитий, ложится на стёкла,
 Изнемоглою бледнея финифтью,
 Что б размыть то, что полночь исторгла.
 Я забыл уже муки всевластной
 И напрасных томлений подробность,
 Из забвенья всплывет в одночасье
 Синеглазый - тоски моей образ.
 О приблизься, возьми мои руки
 На поруки. Луны притяженьем,
 В тишине -
 чувств рождаются
 выюги.
 это явь – или сна продолженье?

1915

ОСИНЫ

Всякий раз, когда ветер осилит,
 И тоска одолеет на старость,
 Всей седою листвою осины
 Вшелестят, наклонившись как парус.
 Шелест этот мой разум уносит
 В дымку сказки, далёкой, желанной -
 В мглу, где - россыпь ромашек и розы
 В смутном зеркале воспоминаний.
 Как же было давно все, и было
 Все ли так, и на самом ли деле?
 Все рассеялось в дымке, забылось,
 Затерялось, уйдя в этот шелест.
 О, судьба и ветра моей жизни
 Мимо, прочь уносили мой парус,
 И не вспомнить, зачем разошлись мы,
 И - когда? Что затем с нами случилось?
 Все что в прошлом - случилось не с нами...
 Это было лишь сказкой прелестной.
 О, нас юности венчала цветами.
 Я , был пажем твоим , Ты - принцессой.

1915

როსტომ შაჰუზია

ანი, როგორი პრეზიდენტი გვყავდა!

ზეალმტაც საქმეთა წინამძღოლი
 „... ცხოვრება მართლა მოსაწყენია თუ ადამიანი
 არ იწვის... ზეალმტაცის ამბებისთვის...“
 კ. გამსახურდია

მე-20 საუკუნის 70—იან წლებში, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა...

სკოლისა და აფხაზეთის რომანტიკული ჰაერეთიდან ანაზღადად აღმოვჩნდი დედათბილისის ბობოქარ, გრანდიოზულ სამყაროში... ლიტერატურისა და კერძოდ, პოეზიისადმი ჩემი მარად გაუხუნარი ტრფიალი, სათავეს იღებს მამა—პაპის ოჯახური სინამდვილიდან, სადაც პოეზია, ლექსი თავყვანისცემით მკვიდრობდა მუდამ. უმეტესწილად სტუდენტობისას და შემდგომ წლებშიც, ვესწრებოდი პოეზიის საღამოებს, იქნებოდა ეს უნივერსიტეტში, მწერალთა კავშირსა თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

მოხდა ისე, რომ მწერალთა კავშირში ერთ—ერთი ამგვარი შეხვედრისას, გავიცანი მწერალი ედიშერ გიორგაძე. ჩვენი ნაცნობობა თანდათან გადაიზარდა გულითად მეგობრობაში, რომელიც გრძელდებოდა ამ ღირსმოსაგონებელი, უნიჭიერესი პუბლიცისტის, პოლიგლოტის, მთარგმნელისა და ესსეისტის ტრაგიკულ აღსასრულამდე...

მახსოვს ერთხელ, მწერალთა კავშირში ცნობილ მწერალთან შეხვედრის შემდეგ, ღვინობისთვის უწყინარ საღამოს, მე და ედიშერი აღმოვჩნდით სასტუმრო “თბილისის” პირველ სართულზე განთავსებულ სახინკლეში. ის იყო ხინკალი მოგვართვეს და ლუდიც დავაჭაშნიკეთ, რომ უეცრად ედიშერი მეკითხება:— “როსტომ, ფოსტალიონად იმუშავებ?” თავდაპირველად ხუმრობა მეგონა და გამეღიმა. მაგრამ ედიშერი სერიოზული ტონით მეუბნება,— ძმობას გეფიცები, არ გეხუმრები, მიპასუხეო. აბა, რა გიპასუხო, ჩემო ედიშერ, კაცი უნივერსიტეტის პრესტიჟულ ფაკულტეტზე ვსწავლობ და შენ კიდევ ფოსტალიონობას მთავაზობ—მეთქი. კარგი, კარგი, ახლა ნავიდეთ ერთ ჩემს მეგობართან და იქ გავაგრძელოთ ჩვენი საუბარიო. ამ დიალოგიდან გავიდა ორმოციოდე წუთი და ჩვენ უკვე პირისპირ ვსაუბრობდით ზვიად გამსახურდიასთან, ზღაპრული კოლხური კომპის შემოგარენში.

თბილისში მაშინ ლეგენდები დადიოდა სწორე—პოვარ კონსტანტინე გამსახურდიასა და მის არაორდინარულ ვაჟიშვილზე—ზვიად გამსახურდიაზე, საქართველოს ფარგლებს გარეთ სახელქებულ დისიდენტზე...

ეს კაცი არის ჩემი მეგობარი—როსტომ შამუგია, ღირსეული კაცია, შეგიძლია ენდო მას ისე, როგორც მე მენდობიო—მცირე შესავლის შემდეგ ნარუდგინა ჩემი თავი ედიშერმა ბატონ ზვიადს, რომელიც საკმაოდ დიდხანს, ხმაამოულებლივ უსმენდა ედიშერს. ბოლოს ზვიადმა ედიშერს უთხრა: შენ გიცნობ და გენდობი კიდევაც... დანარჩენი კი ვნახოთო. ასე შედგა ლეგენდარულ კოლხურ კომპოზი ჩემი პირველი “კურთხევა”, როგორც ედიშერი იტყოდა, “ფოსტალიონად”... იმავე საღამოს ბ—ნმა ზვიადმა და ედიშერმა ამიხსნეს სამოქმედო გეგმა, თუ სად, როგორ და რა ვითარებაში მომიწევდა გავრცელება ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით გამოცემული არალეგალური ჟურნალისა. თან ამიხსნეს, რომ ეს ყველაფერი დიდ რისკთან იყო წილნაყარი. მე მცირე განსჯის შემდეგ დავყაბულდი იმ დროს მართლაც სამიმ, მაგრამ პატივსაღებ საქმეში მონაწილეობის მიღებაზე. მათ ისიც მითხრეს, რომ ჩემ გარდა კიდევ ჰყავდათ “ფოსტალიონები”. ასეთ ვითარებაში გავიცანი თავდაპირველად ბ—ნი ზვიად გამსახურდიას, რომელთან ურთიერთობა მიწევდა შემდგომ წლებშიც, მეტ—ნაკლები ინტენსიურობით...

... იმ ხანებში დასაბუთებლად მზადდებოდა პირველი ქართული თეოლოგიური ჟურნალი—საღვთისმეტყველო კრებული”, ედიშერ გიორგაძის რედაქტორობით, ხოლო სარედაქციო კოლეგიის მშვენივას სხვებთან ერთად, წარმოადგენდა მრავალმხრივი ნიჭიერებით ჩენილი, დიდად განსწავლული მეცნიერი ზვიად გამსახურდია, რომელმაც ლომის წილი გაიღო ხსენებული ჟურნალის გამოცემის საქმეში. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრები ედიშერის თავკაცობით, დღე და ღამეს ასწორებდნენ, რომ დროულად გამოეცათ ჟურნალი. მასალათა შერჩევა— დახვეწა მიმდინარეობდა უმთავრესად ედიშერის ბინაში, სადაც ხშირად შევსწრებოვარ ამგვარ ფაქტს: მთელი დღის თავაულებელი მუშაობისგან ქანცგამოლეული სარედაქციო კოლეგიის წევრები შუალამისას, აქა—იქ წამოწვებოდნენ ხოლმე დასაძინებლად, რათა დილაადრიან, კვლავ განეგრძოთ დაწყებული საქმიანობა. მხოლოდ ზვიად გამსახურდია იყო გამონაკლისი, რომელიც ღამეებს ათევედა მასალების დასამუშავებლად. დილით, როცა სხვები ის იყო, მუშაობას უნდა შესდგომოდნენ, რომ ღამენათვე ზვიადს, უზარმაზარი მასალა ჰქონდა დამუშავებული და სათანადო კომენტარებითურთ, პირდაპირ დასაბუთებლად გამზადებული. ყველას გვიკვირდა მისი თავდაუზოგავი საქმიანობა, რასაც ხშირად ხაზგასმით აღნიშნავდა ხოლმე სილამაზით და სათნოებით შემკული, ედიშერის მეუღლე—ბელა დემეტრაძე, ხშირსტუმრიანი ჯვალაბის ღირსშესაფერი და მარადხალისიანი მასპინძელი...

იღვა 1986 წელი. ერთ მშვენიერ დღეს, დამირეკა საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის ლიტერატურის სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ—თანამშრომელმა, ჩემმა მეგობარმა, ნოშრევან ჯიშკარიანმა და მითხრა: შაბათს, 12 საათზე, აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა შეხვედრას აწყობს აკაკი ბაქრაძესთან, სადაც მოხდება მისი მონოგრაფიის—ლია ქავჭავაძის” განხილვა. დავესწროთ, საინტერესო იქნებაო. რასაკვირველია, დავყაბულდი და დანიშნულ დროს მე და ნოშრევანი უკვე ვისხედით ბიბლიოთეკის საკმაოდ შეთხელებულ დარბაზში. ბ—ნი აკაკი ბაქრაძე იჯდა სტუმრისთვის განკუთვნილ ალაგას, მისი ოპონენტის, მწერლის და ღვანლმოსილი მეცნიერის, პროფესორ აკაკი განერელიას მოლოდინში. ათიოდე წუთის დაგვიანებით შემობრძანდა დარბაზში მწერალი აკაკი განერელია, ჩვენდა გასაოცრად, ზვიად გამსახურდიას თანხლებით. ჩვენდა გასაოცრად—მეთქი, იმიტომ ვწერ, რომ ხალხი შეცბა დარბაზში ზვიადის გამოჩენით, რადგანაც იმ ხანებში, იგი, გასაგებ მიზეზთა გამო, საზოგადოებაში იშვიათად ჩნდებოდა... აღნიშნული მონოგრაფიის განხილვამ ჩვეულებისამებრ, ნორმალურად ჩაიარა. როგორც ყოველთვის, ახლაც შთამბეჭდავი და კეთილსასურველი იყო პროფესორ აკაკი განერელიას მოსაზრებანი განსახილველი ნიგნისადმი. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია ზვიად გამსახურდიას მიერ გამოთქმულმა კრიტიკულმა შეფასებამ, სადაც წარმოჩნდა ზ. გამსახურდიას ფართო გონსანიერი... შეხვედრის დასასრულს, მე და ნოშრევან ჯიშკარიანმა დავპატიჟეთ ბ—ნი ზვიადი და სხვა სტუმრებიც, მაგრამ მათ საჩქარო საქმეები მოიმიზეზეს და თბილად დაგვემშვიდობნენ...

დიდი ხანდადაყოვნებებით, საკმაოდ იშვიათად, მაგრამ მაინც, განგების წყალობით, მქონდა პატივი, თვალი მედევნებინა ზვიად გამსახურდიასთვის უშუალოდ მუშაობის პროცესში, ხან ედიშერ გიორგაძის სახლში, ხანაც—ლეგენდური გრაციის, მხატვრული კითხვის უებრო ოსტატის, დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდიას დისშვილის—თათია ხაინდრავას ოჯახში, სადაც ხელოვნებაზე, უფრორე ლიტერატურასა და კერძოდ, პოეზიაზე მსჯელობისას, ხშირად დილის ბარჩხალა მზეს შეეგვეგებოვართ ღამენათვენი...

ამგვარი მარად სახსოვარი, სასიამოვნო შტუდები ბატონი ზვიადის, მერაბ კოსტავას, ედიშერ გიორგაძის, განუმეორებელი თათიასა და მისი უნიჭიერესი ქალიშვილის, პირმშვენიერი მირანდას მონაწილეობით, ერთ—ერთი ძალუმი ფაქტორი გახდა ჩემი ცხოვრების წესისა და გონსანიერის მკვიდრად გამოქანდაკებაში... საკვირველი და შესაშური იყო ბატონი ზვიადის მუშაობის სტილი. როდესაც პრობ-

ლემურ საკითხზე მუშაობდა, ის ეძლეოდა სრულ თავდავინწყებას. იმ დროს იგი ასკეტივით ცხოვრობდა, არც ჭამა-სმა ახსოვდა, არც დასვენება. შეეძლო მთელი კვირა ემუშავა ასეთი დატვირთვით. უდავოა, რომ ამგვარ ზენოლას უძლებს მარტოოდენ ჯანსაღი და ნაწრთობი სხეული. ამ მხრივ, იგი, როგორც იტყვიან, ქუდბედიანი კაცი იყო. სულკურთხეული დიდოსტატი კონსტანტინე ბავშვობიდანვე წვრილნიდა მას ზეაღმტაც საქმეთა სათავგადაცოდ, როგორც სულიერ-ზნეობრივად, ასევე ფიზიკურადაც; ცნობილია, რომ ზვიად გამსახურდიამ ამ მხრივაც, სპარტანული სკოლა გაიარა ჭაბუკობის ხანაში... ეს ყველაფერი კარგად შეერწყა მის საოცარ ფიზიკურსა თუ სულიერ მონაცემებს...

...ადრინი გაზაფხულის საღამო იყო. უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსში საქმიანი დღის შემდგომ, მე და ჩემმა მეგობარმა, პოეტმა თემურ ჩალაბაშვილმა გადავწყვიტეთ შეგვევლო მთელ ქალაქში ქებულ, მართლაც რომანტიკულ და კოლორიტულ კაფე “ფრანციაში”, რომელიც მდებარეობდა უნივერსიტეტის მე-5 კორპუსის მოპირდაპირე მხარეს. “ფრანციაში” შესვლისთანავე დავსხედით კუთხეში თავისუფალ მაგიდასთან, შევარჩიეთ სასურველი ნამცხვრები და საუცხოო ხილ-კენკრის წვენებიც დავაგემოვნეთ, თან საუბარში დრო გადიოდა. უცებ, სად იყო და სად არა, დარბაზში შემოვიდა ათლექტურად აღნაგვი, მაღალი და მეტად იმპოზანტური მამაკაცი, რომლის ქანდაკივით ტორსს და ხიბლითმოსილ ჰაბიტუსს ძლიერ უხდებოდა იმ ხანებში უაღრესად მოდური, ლურჯი ფერის კოსტიუმი, ე.წ. „საპროკურორო“, პიჯაკს შიგნით თეთრი პერანგით და კოსტიუმის ფერთან მისადაგებული ჰალსტუხით... იქ მყოფნი შეჰყურებდნენ მას და თვალს ვერ აცილებდნენ. მე და ჩემმა მეგობარმა გადავწყვიტეთ ჩვენს მაგიდასთან ადგილის შეთავაზება, მაგრამ მანამ ვეტყოდით, მან მოასწრო თავისუფალ ადგილას მოკალათება. დაჯდა თუ არა, ეგრევე ამოიღო საქალაქდღან თაბახის დასტა და შეუდგა კითხვას. ეს კაცი იყო ზვიად გამსახურდია, ჩვენი ძველი, მაგრამ დიდი ხნის უნახავი მეგობარი. ვაცალოთ მუშაობა და მერე მოვიკითხოთო-მითხრა თემურმა. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ერთბაშად შეწყვიტა კითხვა, თაბახის ფურცლები ჩაალაგა ტყავის თხელ საქალაქდღეში და სივრცეს მიაპყრო მზერა. ანაზღაურადა, იმ მომენტში, მომეჩვენა, რომ მარმარილოს იერდაკრული მისი სახე ღვთაებრივი შარავანდედით იყო გასხივოსნებული...

ყოველივე ეს კი დამთრგუნველად მოქმედებდა ჩვენზე.

გავიდა ათიოდე წუთი... ვერ მოვითმინეთ მე და თემურმა, მივედით მის მაგიდასთან და მივესალმეთ. ის კი პასუხის სანაცვლოდ, იგივე პოზას ინარჩუნებ-



და სივრცეს მიმზერილი, თითქოსდა, მარტომყოფი მთელ დარბაზში, ირგვლივ ვერავის ამჩნევდა... ჩვენ მონუსხულნი შევეყურებდით ამ უჩვეულო სანახაობას. როდის-როდის, ზენამოიჭრა, საჩქაროდ დაავლო საქალაქდღეს ხელი და ვაჟკაციური ნაბიჯებით გავიდა დარბაზიდან... “ეჰ,

ეტყობა, ისევე იღებები მოქალაქე-თქვა თემურ ჩალაბაშვილმა და, ცოტა არ იყოს, გაოგნებულვებმა დავტოვეთ კეთილსასურველი “ფრანციის” შემოგარენი...

მე ხშირად მაგონდება „ფრანციაში“ იმ საღამოს ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრის ეპიზოდი და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იმ წუთებში, როდესაც ჩვენ მას შევსცქეროდით უჩვეულოდ გარინდებულს, ყუჩადქმნილს, მისი გონსანიერის ვეება ქურაში უთუოდ ინრობობდა შედეგები:

„საქართველოს სულიერი მისსია“, „დიღებმა კაცობრიობის წინაშე“, „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ და სხვანი მრავალნი... და რაც ყველა შედეგზე უფრო აღმატებულად გახლავთ, ზვიად გამსახურდია, უსათუოდ, ამგვარ სიტუაციებში აგვირისტებდა და აჩუქებდა თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს მომავალ ხელთუქმნელ ტაძარს... აბა, რალა გასაკვირია, რომ ამგვარი ტიტანური აზრებით დაყურსულ მოყმეს, ვერ შეემჩნია ჩვეულებრივი ეპიკურელნი, უბრალო მოკვდავნი, იმ საღამოს, იმ კოლორიტულ “ფრანციაში”...

შემდგომ წლებში ჩემს წარმოსახვაში ხშირად აღმიდგენია კაფე “ფრანციაში” აღწერილი საღამო და საოცარი ნეტარება დაუფლებია ჩემს სულსა და გონებას. მსგავსი გამაოგნებელი რამ, იშვიათად მინახავს ცხოვრებაში. ამ წუთებშიც, თითქოს ცხა-

დღევ, კვლავ დამიდგა თვალწინ “ფრანციაში” ნანახი ეპიზოდი და ვეება სიამოვნებამ დაივანა გულში... ფუნჯის ან კალმის დიდოსტატი, რომ შესწრებოდა იმ იმპოზანტურ სცენას, კიდევ ერთი საკვირველი ქმნილებით გაამდიდრებდა საკაცობრიო ხელოვნების უჭკნობ შედეგებს... დასანანია, რომ ჩემი მწირი ნიჭიერების გამო, უფრო შთამბეჭდავად ვერ ვახერხებ “ფრანციაში” განცდილი სანუკველი ნუთების ხორცშესხმას...

მოხდა ისე, რომ 1990 წლის მაისიდან საცხოვრებლად გადავედი აფხაზეთში. იმ პერიოდში გაცხოველებული მზადება მიდიოდა იმავე წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის. როგორც ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი, ვალდებული ვიყავი, აფხაზეთში საცხოვრებლად გადასვლის საკითხი შემეთანხმებინა ეროვნული მოძრაობის თავკაცისათვის.

ამ მიზნით დავრეკე კოლხურ კოშკში. ბედად, თავად ბატონი ზვიადი შემხვდა. ვთხოვე, აუცილებელ საქმესთან დაკავშირებით მიმიღეთ-მეთქი. მობრძანდი, თუ ახლავე შეგიძლიაო. მეც უცბად ტაქსით ავირბინე და კოლხური კოშკის ალაყაფზე პატარა ღილაკს დავაჭირე თითი. თვითონ შემომეგება და შემიძღვა საუცხოო გარემოში. რალაც მასალაზე ვმუშაობ, ცოტა დამრჩა, ბარემ დავასრულებ და მერე ვისაუბროთო. თან მანიშნა დაბრძანდიო. თვითონ კი წერდა ნახევარ საათს თავაულებლივ. მერე უცებ შეწყვიტა წერა, ავტოკალამი დადო თაბახზე და ჯიქურ მომმართა: “აბა, გისმენ, რისთვის გარჯილხარ?” მე მას მოვახსენე იმ აუცილებელ გარემოებათა შესახებ, რაც განაპირობებდა აფხაზეთში ჩემს გადასვლას საცხოვრებლად. როცა სათქმელი გავასრულე, სიჩუმე ჩამოდგა ოთახში. პაუზის შემდეგ მასპინძელი მეუბნება საკმაოდ არასასიამოვნო ტონით: “შე კაი კაცო, ხომ ხედავ, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გვაქვს კაცობრიობის ისტორიაში უბოროტეს იმპერიასთან წამოწყებული და რალა ახლა მოგინდა აყრა-დაყრა; დაიცადე, კარს არის მომდგარი ოქტომბრის არჩევნები, იქნებ გავიმარჯვოთ კიდევ და მერე სადაც გსურდეს იქ იცხოვრე, განა ვინმე დაგიშლის?” მე დამატებით მოვახსენე მას სხვა, მეტნაკლებად მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ და თან დავუმატე- ხომ ფაქტია, რომ მე სხვა გამოსავალი არ გამაჩნია-მეთქი. “კარგი, კარგი, რაკილა არ იშლი, ჩახვალ თუ არა გალში, დაუკავშირდი ჩვენი მოძრაობის წარმომადგენლებს... შენ იცი, აბა, გისურვებ წარმატებებს”- მითხრა კოლხური კოშკის რაინდმა და დავემშვიდობეთ ერთმანეთს...

ამ შეხვედრიდან მცირედი დროის გასვლისა და 28 ოქტომბრის არჩევნებამდე ორი თვით ადრე, გალის რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელობას თბილი-


სიდან დაურეკა “მრავალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს” პასუხისმგებელმა პირმა და მოახსენა ბ-ნი ზვიადის კატეგორიული მოთხოვნა-რაიონის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ამ სტრიქონების ავტორის შეყვანის შესახებ. მართალია, ჩემი პერსონა მიუღებელი იყო გალის რაიონის კომუნისტური ნომენკლატურისათვის, მაგრამ ზვიად გამსახურდიას მაღალი და უხინჯო ავტორიტეტის წინაშე უსუსურნი აღმოჩნდნენ ისინი და ამგვარად აღმოვჩნდი გალის რაიონის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის საპატიო თანამდებობაზე. ამ შემთხვევაში, ჩემთვის დიდწილად ღირებული იყო ის ფაქტი, რომ იმხელა საქვეყნო საქმეებით დახუნძლულმა მამულიშვილმა, იმ ჟამთა ორომტრიალში, გაიხსენა აფხაზეთში საცხოვრებლად გადასული კაცი და მეტად საჭირო დროს ეროვნული საქმის ერთგულ კაცად მიიჩნია იგი. რალა თქმა უნდა, ბ-ნი ზვიადის ამგვარი ჟესტი ჩემდამი, იყო ასკეცად მასტიმულირებული იმ ფრიად საპასუხისმგებლო ვითარებაში... თავში ვთქვი და გავიმეორებ-ზვიად გამსახურდია იყო არაორდინარული პიროვნება... მრავალი რამ დაწერილა მისი ღვანლის თაობაზე ქართველი ერის წინაშე. მომავალში უსათუოდ მეტი დაინერება, სადაც ზვიად გამსახურდია მკაფიოდ წარმოჩნდება თავისი სიდიადით-როგორც მეცნიერი, მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, მეიგავე, მკვლევარი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, დისიდენტი, ჰუმანისტი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ღრმადმორწმუნე მართმადიდებელი და ზოგადად, მრავალმხრივი ფენომენი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საერო ასპარეზზე მკვიდრობის პირველივე ნუთებიდან, ზ. გამსახურდიამ მილიონობით ადამიანს გაულვივ-გაულვიდა და აღუნთო ჟამთა ქართველების მეოხებით, მათ გულეებში მინავლებული რწმენა, სიყვარული, სათნოება თუ მოკრძალება ღმერთისადმი. ეს პატივსაღები მისიაც უპირატესად აისახება პირუთენელი მემატინის დიდრონ მონოგრაფიაში...

დასასრულ, ამ მცირედი მოგონების მიწურულს, უალრესი მოკრძალებითა და თაყვანისცემით უსამანო მაღლიერებას წარმოვთქვამ ღმერთისადმი, რომლის წყალობითაც, საკმაო ხანდაზმებით, მაგრამ მაინც, ხანდახან მრგებია პატივი, ამ ღირსსაცნობ ერისკაცთან ახლომახლო მყოფობისა, რა დროსაც მრავალი რამ მისწავლია მისგან...

იგი ხომ ის მაღლცხებული მოძღვარი და რაინდი იყო, რომელშიც სიყრმიდანვე საოცარი სისავსით ამოიკვირტა და განსხეულდა სვესვიანი მოღვაწის, მონამისა და ერის ბომონს ტარიგად შენაწირი ქართველი მოყმის, ჰარმონიული ყოფა და ტრაგიკული აღსასრული...

მურმან ლეხანიძე

მარსიანი



გალაკტიონი მობრძანდა,
უცნობ პოეტებს შესცინა,
მარბლის ქუჩით მობრძანდა
და ახლა ბაღში მოჩანდა
წვერმოშვებული ჯეჯილად.

მოვლილი ჰქონდა ზღვისპირი,
წელს ზღვისას წერდა მეტწილად,
ხელთ თვისი უნაბისფერი
მეხუთე ტომი ეჭირა.

მეხუთე ტომი ეჭირა,
რომელსაც წლები შესწირა,
რომელიც ტიტანიური
ტანჯვით სამშობლოს შესწირა.

სასახლის ბაღში მჯდომარემ
ერთხანს სათვალე ამშრალა.
მერე ის შუქთამთოვარე
სამეფო წიგნი გაშალა...

ნეტავი იმას რა მოჰკლავს,
ნეტავი იმას რა უჭირს,
„ჩემს პეტრეს ანდა ივანეს!“-
ვისაც მაგ წიგნზე წაუნერს.

1968

სამი წიგნი

ლექსი ძარღვებში დამშლის,
ძარღვებშიც ლექსი მიძევს,
ვკითხულობ სამადაშვილს,
კორნაპელს, ქადაგიძეს...
წყურვილს სიზმარში ფრენის
ეს სამი წიგნი მიკლავს,
„ფერისცვალება ფენიქს“,
და „ქვიშის გალაქტიკა“ ...
ო, რა ტროპებით იმკობს
სხეულ-ტანს ეს ლირიკა,
კვლავ და კვლავ ჩავცქერ ნიკოს,
გიორგისა და იკას.
ოჰ, პოეზიის ჯადოვ,
ტყვედქმნილს მიშველე პოეტს,
უუაღრესად გმადლობ,
ხსნა რომ კვლავ შენში ვპოვე!
ეს სამი წიგნი მუდამ
სასთუმალს მიძევს წამლად,
ძარღვებში დაიბუდა
მათგან მოგვრილმა აღმა
სნეულს მალამო დამდო,
გულს ვარდად გადამიკრა,
უუძლავრესად გმადლობთ:
ნიკო, გიორგი, იკა!
ლექსი ოცნებებს აშლის,
ლექსი სასთუმლად მიძევს,
ვკითხულობ სამადაშვილს,
კორნაპელს, ქადაგიძეს...

24.12.2020

ლიანა მატონიკა
მასიის მახვილი

(ამონარიდი ისტორიული რომანიდან)

ლაშას მიერ შეწყალებული მონღოლი სუბუდაის კარვისკენ მიიჩქაროდა.

მეთაური ფიქრებს მისცემოდა და ირგვლივ მიმოდოდა. ანგარიშობდა დახოცილ ჯვარს, არანისაკენ უსაფრთხოდ გასავლელ გზასა და მომდევნო ლაშქრობებს.

უეცრად ქართველთა მეფესთან გაგზავნილი მეომარი უვნებლად დაბრუნებული რომ იხილა, თვალებს არ დაუჯერა.

მაშინვე კარგად შეათვალიერა. ახალმისულს სხეულზე არც წამების კვალი ემჩნეოდა და მეტიც, ნაკანრიც კი არ ჰქონდა.

სუბუდაიმ ღირსეული წოდების კაცს ქართველი მეომრების თავები განზრახ გაატანა. ამგვარად სურდა ლაშას შეშინება და დამორჩილება, მაგრამ წამდვილად ვერ წარმოიდგენდა, რომ ქართველი გვირგვინოსანი მონღოლს უკან უვნებლად გამოუშვებდა.

„მისი მეომრების მოჭრილი თავები გავუგზავნე! ნუთუ იმის ძალა ეყო, თავად აღარ დაეღვარა სისხლი?“ - ფიქრობდა ლაშას საქციელით აღფრთოვანებული სუბუდაი და გულში ჩასახულ წინააღმდეგობრივ განცდას სახელს ვერ უძებნიდა.

ისეთ გამოცდილ სამხედრო სტრატეგს, როგორც სუბუდაი იყო, სისასტიკესთან ერთად ერთი რამ ახასიათებდა: დიდ პატივს სცემდა ღირსეულ მოწინააღმდეგეებს.

ვისაც ეს თვისება გააჩნია, ის მართლაც დიდბუნებოვანი ადამიანია.



მონღოლმა წინამძღოლის წინაშე დაიჩოქა.

- წამოდექი და ყველაფერი სწრაფად მიამბე! -საჩქაროდ უბრძანა.

- როგორც მთხოვეთ, თავები სასახლეში მივიტანე, -დაიწყო ჯერ ისევ აფორიაქებულმა მხედარმა-შიგნით რომ შევედი, საოცარი სანახაობა დამხვდა: ურიცხვი ძვირფასეულობა, ათასნაირი სამშვენისი, ენით აუწერელი ქსოვილები და სხვა მრავალი. მათ მეფეს, როგორც გავიგე, ლაშა-გიორგი რქმევია. მას კიდევ რამდენიმე კაცი ახლდა და..

- მამ ქართველთა მეფეს ლაშა-გიორგი ჰქვია? - უნებურად წამოიძახა სუბუდაიმ.

- დიახ ბატონო, ეგრე გავიგონე. მეფემ შემომხედა და როცა ნახა, უიარაღო ვიყავი, თავისიანებს უბრძანა გავეთავისუფლებინე, -სულმოუთქმელად ყვებოდა მონღოლი-მეც მასთან მივედი და თქვენი ბრძანებისამებრ თავები ძირს დავყარე, თან გამომწვევად ვუმზერდი. არაფერი უთქვამს. მცირე ხანს თავისი მეომრების მოკვეთილ თავებს დაჟინებით უყურებ-

და. შემდეგ ერთ-ერთი იმათაგანი მეცა და ხმალი მომიღერა. მეფემ მაშინვე შეაჩერა, თან რალაც უთხრა თავიანთ ენაზე. ჩემკენ რომ წამოვიდა, უკვე მზად ვიყავი სიკვდილისათვის, მაგრამ ხელში ეს ნივთი ჩამიღო და უკან გამომიშვა,-მონღოლმა ჯვარი მეთაურს გაუნოდა-თან თქვენი სახელი ასხენა.

- უნდოდა ჩემთვის გადმოგეცა? ეს რა არის? იქნებ ხაფანგია? ან სანამლავი აცხია ზედ, ვინ იცის,- ეჭვიანად ჩაილაპარაკა

- თქვენ გამომგზავნეთ და ეტყობა მიხვდა, ორჯერ გამიმეორა სუბუდაიო. მეც რაღა მექნა? მეფის ბრძანებას დავმორჩილდი და წამოვედი. ახლაც არ მჯერა აქამდე უვნებელმა როგორ მოვალნიე!- აღელვებულ მონღოლს უნებლიეთ ენა დაება, გამოცდილი სარდლის დაძაბულმა და ამავდროულად შემფასებლურმა მზერამ აათრთოლა. უსასტიკესი მონღოლური წესის თანახმად მოლალატეებს ულაპარაკოდ ხოცავდნენ, ამიტომ ტყვედ ჩავარდნილები მოწინააღმდეგეს არასდროს ნებდებოდნენ. სარდლის დავალებამ დესპანად აქცია, მაგრამ უკანდაბრუნებულს რა ხვედრი ელოდა, ამას ომებში გამობრძმდილი სუბუდაი ერთპიროვნულად წყვეტდა. ბედი თუ უმტყუნებდა, თავისიანის ხელით განგმირული გალევდა სანუთროს. სუბუდაის ქორული მზერა რას უქადდა, ბოლომდე ვერ მიმხვდარიყო და გაურკვევლობამ ააფორიაქა. სარდალმა თითქოს მისი ფარული მღელვარების მიზეზი ამოიცნო, მჭრელი მზერა უცბად მოაშორა, უკანმობრუნებული დესპანი დაითხოვა და განმარტოვდა.

სუბუდაი ჯვარს ხელში ატრიალებდა და კარგად სინჯავდა.

ყველაზე მეტად ლაშა-გიორგის საქციელმა გააკვირვა. ნუთუ კაცს შეეძლო ამხელა დიდ-

სულოვნება გამოეჩინა მაშინაც კი, თუ ასეთ ცუდ ვითარებაში აღმოჩნდებოდა? მისი სახსოვარი ქრისტიანთა უცნაური ღმერთის აუხსნელ ბუნებაზე მიანიშნებდა. სუბუდაი მარტივი წესით ცხოვრობდა: მტერს კლავდა და მოკეთეს სწყალობდა, რის გამოც ქართველთა გვირგვინოსნის გაუგებარმა ქმედებამ ერთიანად შეძრა და უკიდურესად დაძაბა. ლაშას, როგორც გულადი მებრძოლის სახელი სმენოდა, მას შიშს ვერავინ დააბრალებდა, მეფემ მტერ-მოყვრის გარჩევა კარგად იცოდა და უცებ, დესპანს თავისი დახოცილი მეომრების სანაცვლოდ თავი კი არ წააგდებინა, უცნობი ნივთი მასთან საჩუქრად გააატანა. მრავალმგამოვლილ სუბუდაის მსგავსი გამონვევა პირველად შეემთხვა. ჯვარი, რომელსაც მანამ არასდროს შეხებოდა, აბურღულ ფიქრებს უმძაფრებდა და საგონებელში აგდებდა.

სუბუდაის წინა ბრძოლისას მეფე არ შეხვედრია და ახლა, რატომღაც ძალიან მოუნდა და ლაშას ხილვა და მისი ძალის გამოცდა. საშინლად მოუნდა ქართველთა მეფის თვალეში ჩახედვა და იმ ამოუხსნელი საიდუმლოს გაგება, რამაც ასე დააინტერესა.

ფარული პატივისცემით განიმსჭვალა გვირგვინოსნის მიმართ, თუმცა ხმამაღლა არავისთან არაფერი გაუმჟღავნებია. ფარულმა ჩანაფიქრმა მის არსებაში ფესვი უსიტყვოდ გაიდგა.

მეორე დღეს ერთ-ერთი ტყვედჩავარდნილი ქართველი მონღოლ „განსწავლულს“ მიაბარა.


ამრიგად სურდა ტყვეს მათი ენა ესწავლა და იმ ნივთის მნიშვნელობაზე დაწვრილებით მოეთხრო, რომელიც მეომარმა ქართველთა გვირგვინოსნისგან სახსოვრად გადასცა.

მარსიანი

“ვეფხისტყაოსანი“

დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ დავნერე „ვეფხისტყაოსნზე“ ერთი წერილი ჟურნალ „განთიადში“ (სადაც მაშინ ვმუშაობდი) გამოვაქვეყნე. ახლა არც „განთიადის“ ის ნომერი მაქვს (არც მახსოვს, რომელ ნომერში და რომელ წელს გამოვაქვეყნე). არც ხელნაწერი შემომრჩა. ჩემი მაშინდელი მოსაზრებებიდან ზოგიერთის განმეორება მომიხდება აქ, რადგან არა მგონია იმ ჩემს მაშინდელ წერილს რაიმე ზეგავლენა მოეხდინოს „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარებსა და გამომცემლებზე, რომლებიც რატომღაც ვერ ელევინან ე.წ. „არარუსთველური“ სტროფების ტექსტიდან თვითნებურად ამოღებას, იმის მიუხედავად, რომ ეს სტროფები ზოგჯერ ჭეშმარიტად მაღალმხატვრულიცაა და ამავე დროს, ნამდვილად რუსთაველის სტილშია შესრულებული; გარდა ამისა, არაერთი სხვა მოსაზრებაც მაქვს, რომლებიც ზოგჯერ ემთხვევა „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევართა მოსაზრებებს, ზოგჯერ - არა. მინდა უსისტემოდ (და არა ერთ რომელიმე პრობლემაზე კონცენტრირებით) ვთქვა ყველაფერი, რასაც ამჯერად „ვეფხისტყაოსთან“ დაკავშირებით ვფიქრობ. დიდი იმედი არა მაქვს, რომ მკვლევარები, ტექსტის დამდგენ - დამზუსტებლები ჩემს მოსაზრებებს გაიზიარებენ, მაგრამ მაინც ვცდი ჩემსას. „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებთან დაკავშირებითაც მინდა ჩემი აზრის გამოთქმა და რა ვიცი, კიდევ რა გამახსენდება.

რით დავიწყო? ვთქვათ, იმ დღემდე დაუდგენელი საკითხით, თუ რისი ტყავი ეცვა ტარიელს? მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ ჯიქის ტყავი ეცვა და არა ვეფხვისა. ჩვენში ხშირად ერევათ ერთმანეთში ხალებიანი ჯიქი და ზოლებიანი ვეფხვი ანუ ჯიქსაც ვეფხვად მოიხსენიებენ. მაგალითად, აპოკალიფსში აღწერილი მხეცი, რომელსაც ქართული თარგმანის მიხედვით ვეფხვის ტანი, ლომის პირი და დათვის ფეხები აქვს, თურმე ავაზა (ან ჯიქი) ყოფილა, ანუ ხალებიანი და არა ზოლებიანი მხეცი კატისებრთა ოჯახისა; აქვე ბარემ ისიც აღვნიშნოთ, რომ სახელწოდება „ავაზაც“ ფრიად დამაბნეველია: ზოგნი ჯიქს (ლეოპარდს) მოიხსენიებენ ავაზად, ზოგნი - გეპარდს: ზოგსაც ჰგონია, რომ ავაზა მხოლოდ შავი პანტერაა. სინამდვილეში შავი პანტერა იგივე ჯიქი (ლეოპარდი) გახლავთ, ოღონდ მელანიზმის (შავი პიგმენტის სიჭარბის) გამო არის შავი, სხვა მხრივ იგი ჯიქისგან არ განსხვავდება ანუ სხვა სახეობა არ გახლავთ; ხოლო თუ რუსთაველს ვენდობით და მის მიერ თავ-თავიანთად გილას ნახსენებ ლომს, ვეფხვს, ჯიქსა და ავაზას ერთმანეთისგან გავარჩევთ, ვგონებ უფრო მივუახლოვდებით ჭეშმარიტებას. იქნებ წმინდა წერილის მთარგმნელები, როგორც გარესამყაროსა და ბუნებისადმი ინდიფერენტულად განწყობილი სასულიერო პირები, მართლა ვერ არჩევდნენ ერთმანეთისაგან ზომით ლომისოდენა, ზოლებიან ვეფხვსა და მასზე დაახლოებით სამჯერ მომცრო ხალებიან



ჯიქს (ან ავაზას), მაგრამ რუსთაველი, ვფიქრობ, ამაში არ შეცდებოდა. მას უთუოდ საკუთარი თვალთვლით ეყოლებოდა ნანახი ლომიც, ვეფხვიც, ჯიქიც (ანუ ლეოპარდი) და ავაზაც (ანუ გეპარდი): გავიხსენოთ, პოემის ერთ ადგილას ტარიელი და მეფე ფარსადანი რომ სანადიროდ ემზადებიან. ტარიელი იგონებს - „დამხვდა ჯარი ავაზისა!“ ანუ განვრთნილი ავაზებით ნადირობას აპირებენ (სანადიროდ მიჰყავთ აგრეთვე ძაღლები, ქორები და შავარდნები). აქ ნახსენები ავაზა იგივე ცხოველია, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიდოსტატის მარჯვენაში“ ჰყავს გამოყვანილი: ეს არის გეპარდი (და არა ლეოპარდი ანუ ჯიქი); ეს ცხოველი კატისებრთა ოჯახს ეკუთვნის, იგი ყველაზე სწრაფი გახლავთ ხმელეთის ბინადარ ოთხფეხთა შორის და მას ძველად სანადიროდ იყენებდნენ, ხოლო ლომს, ვეფხვსა და ჯიქს ამგვარი მიზნით არ წვრთნიდნენ, რადგანაც ეს ცხოველები მსხვერპლს ჩასაფრებით, მიპარვით და შემდეგ რამდენიმე ნახტომის გაკეთებით იჭერენ, იმის გამო, რომ ხანგრძლივი სირბილი არ შეუძლიათ. ხოლო ავაზა (გეპარდი), მათგან განსხვავებით, თავისი უჩვეულო სისწრაფის გამო ჩაუსაფრებლად, პირდაპირი დადევნებით იჭერს ნადირს და ამდენად მისი გამოყენება ნადირობაში ისევე მოსახერხებელია, როგორც მწვერალის ძაღლისა.

„იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა ჯიქია“ - ამბობს რუსთაველი თამარ მეფის შესახებ პოემის პროლოგში. პავლე ინგოროყვას თავის „რუსთვე-

ლიანაში“ რამდენჯერმე აქვს განმეორებული, რომ „ჯიქი“ არის „გაბრაზებული ვეფხვი“. არ ვიცი, ძველად საქართველოში ამ სიტყვას („ჯიქს“) მართლა ამგვარი გაგებით ხმარობდნენ? მაშინ კითხვა იბადება, როდის შემდეგ დაერქვა „ჯიქი“ ხალხიან ლეოპარდს, ხოლო „ვეფხვი“ - ზოლებიან ტიგრს? როდიდან განასხვავებს ერთმანეთისაგან ეს ორი სახეობა? არ ვიცი. იქნებ ვინმემ იცის? რაღაც მეფეება...

მაინც რატომ ჰგონია მკვლევართ ერთ ნაწილს, რომ ტარიელს არა ზოლებიანი ვეფხვის, არამედ ხალხიანი ჯიქის (ან ავაზის) ტყავი აცვია? მათი თქმით, მითებში ცნობილ გმირებს ძველი მხატვრები მეტწილ შემთხვევებში ხალხიანი ტყავით შემოსილად ხატავენ. სიმბოლურად ხალხიანი ტყავი ვარსკვლავიანი ცის თუ სამყაროს მრავლობითობის აღმნიშვნელი ყოფილა. თუმცა, როგორც ზვიად გამსახურდია წერს „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებაში“, არის შემთხვევები, როცა მხატვრები ზოლებიანი ვეფხვის ტყავით მოსავენ გმირებს, რადგანაც ზოლებიანი ტყავიც იმავე სიმბოლოს გამომხატველი ყოფილა. მაგრამ მკვლევართა ერთ ნაწილს (მათ შორის ზ. გამსახურდიასაც) მიაჩნია, რომ ტარიელს ხალხიანი ტყავი აცვია, რადგან მხატვრების უმეტესობა უპირატესობას ხალხიან ტყავს აძლევდა (ალბათ იმიტომ, რომ ვიზუალურად ხალხიანი ტყავი უფრო ჰგავს ვარსკვლავიან ცას, ვიდრე ზოლებიანი). მე კი ამგვარი თვალსაზრისი მცდარი მგონია და ვეთანხმები მკვლევართა მეორე ნაწილს, რომლებიც თვლიან, რომ ტარიელს ზოლებიანი ვეფხვის ტყავი აცვია. ამის საფუძველს მაძლევს, ჯერ ერთი, პოემაში სხვადასხვა ადგილას ჯიქისა და ავაზის ხსენება ავტორის მიერ და მეორეც, ის გარემოება, რომ ლომის ტოლი ზომით მხოლოდ ზოლებიანი ვეფხვია, ხოლო ჯიქი და ავაზა თითქმის სამჯერ მომცრონი არიან. ამდენად, ლომთან დასაპირისპირებლად ზოლებიანი ვეფხვი უფრო შესაფერია: „ვეფხისტყაოსანს“ ხომ თავისი საკაცობრიო ღირებულების გარდა თავისი ვიწრო დანიშნულებაც ჰქონდა რუსთაველისა და თამარის ეპოქაში - ქალის გამეფება უნდა გაემართლებინა, რადგანაც საქართველოს ისტორიაში მანამდე ამის პრეცედენტი არ ყოფილა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ - თინათინის გამეფებისას ნათქვამი ეს ფრაზა, რასაკვირველია, თამარის გამეფების გასამართლებლად დასჭირდა ავტორს.

პოემაში მამაკაცი გმირების შექებისას, ჩვეულებრივ, გამოიყენება ეპითეტი-კლიშე „ლომი“, ხოლო ტარიელს თავისი სატრფო ნესტან-დარეჯანი „ვეფხად“ ესახება და ამიტომ ატარებს ვეფხვის ტყავისაგან შეკერილ სამოსს. ნესტანის, ისევე, როგორც თინათინის, პროტოტიპი კი თამარ მეფეა, რომელიც მამამ, მეფე გიორგი მესამემ თავის ტახტზე დასვა და ამით მამაკაც მეფეებთან გაატოლა; ლომის ტოლი კი მხოლოდ ვეფხვია და არა ჯიქი ან ავაზა; ასე რომ, „ვეფხისტყაოსნის“ „ვეფხვი“

სწორედ ზოლებიანი ვეფხვი (ტიგრი) უნდა იყოს და არა ხალხიანი ჯიქი (ლეოპარდი) ან ავაზა (გეპარდი). არ უნდა შეგვაცდინოს იმ გარემოებამ, რომ პოეტი თამარზე ამბობს: „უწყალო ვითა ჯიქია“ (ჯიქი მართლაც გამოირჩევა დაუნდობლობით), ხოლო ნესტანი ერთგან ვეფხვის გარდა ავაზასთანაც არის შედარებული: „ვეფხვი - ავაზა პირქუშად ზის, წყრომა ვერ ვუგრძენითა“ (რაკი ვეფხვსაც და ავაზასაც ჭრელი ტყავი აქვთ, ამიტომ პოეტი ამგვარ შედარებას ვიზუალური მსგავსების გამო მიმართავს); მხატვრული შედარება ერთია, ხოლო „სახედ მისად დასახვა“- მეორე; ასე რომ, საერთოდ „ლომებად“ შერაცხული ტარიელი და ავთანდილი ზოგჯერ ვეფხვთანაც არიან შედარებული: ტარიელზე ნათქვამია: „ვითა ვეფხვსა წავარნა და ქვაბი აქვსო სახლად მენად“, ხოლო ავთანდილზე - „მისთა მჭვრეტთა დაუსახეს ვეფხვსა ტოტი, ლომსა თათი“ ან კიდევ „სპათა სპასპეტი ჩაუქი, ვითა ვეფხვი და ლომია“ (აქ ავთანდილის ძალმოსილებაა ხაზგასმული, ლომის დარად ძლიერი კი სწორედ ვეფხვია). სხვათა შორის, მახსენდება ერთი მკვლევარის შენიშვნა, რომელიც ეხება ზემოთ მოტანილ სტრიქონს „მისთა მჭვრეტთა დაუსახეს ვეფხვსა ტოტი, ლომსა-თათი“: ეს შენიშვნა ლომისა და ვეფხვის ვიზუალური განსხვავებისგან გამომდინარე მცდარობას ეფუძნება; მკვლევარი მცოდნე კაცის კოლოთი აცხადებს-პოეტმა იმიტომ განასხვავა ერთმანეთისგან ვეფხვის ტოტი და ლომის თათი, რომ ლომს სხეულის წინა ნაწილი უფრო დიდი აქვსო. ზოოლოგიური თვალსაზრისით ეს არის დილეტანტური, მცდარი შთაბეჭდილება: მოგეხსენებათ, ხვად ლომს თავ-მკერდი, მხრები და ზოგჯერ მუცლის ქვედა ნაწილს კი ფაფრით აქვს შემოსილი. ამიტომ მისი სხეულის წინა ნაწილი უფრო დიდი ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია. თუ ძუ ლომს დაეკვირდებით (რომელსაც ფაფარი არ აქვს), დავინახავთ, რომ მისი სხეულის პროპორციები დიდად არ განსხვავდება ვეფხვის სხეულის პროპორციებისაგან. თანაც აქ ხომ ტოტზე და თათზეა ლაპარაკი და მკვლევარის მთავარი შეცდომა ისაა, რომ მას რატომღაც „თათი“ წინა კიდური ჰგონია, „ტოტი“ კი ალბათ უკანა კიდური; სინამდვილეში „თათი“ არის ფეხის (წინასიც და უკანასაც) ის ნაწილი, რომლითაც ცხოველი სიარულისას მიწას ეყრდნობა, „ტოტი“ კი საერთოდ კიდურზე ითქმის-თათის ჩათვლით და მის ზემოთაც (სახსრამდე); მკვლევარს არ გახსენებია, რომ ლომმა და ვეფხვმა „თათით ტოტი ერთმანეთს ჰკრეს...“. ვნახოთ, ვაჟა-ფშაველა როგორი გაგებით ხმარობს სიტყვა „ტოტს“: პოემაში „მეფლისი ლომისა“ არის სტრიქონი „ლომმა გადუსო მელიას ძლიერი ტოტი თავზედა!“ . აქ, როგორც ვხედავთ, ტოტი თათიანად იგულისხმება - მელიას თავს ხომ სწორედ თათი შეეხებოდა; ასევე, პოემაში „დაჭრილი ვეფხვი“ ვკითხულობთ: „ნადირმა იცნო თვარელი მონადირისა წესზედა, მივიდა მასთან კოჭლობით, ტოტი დაადო ფეხზედა“. აქაც „ტოტი“

წინა თათს ნიშნავს, რომელიც ვეფხვს დაზიანებული, სიპი ქვისაგან გაჭრილი აქვს და მონადირე თვარელი მას ჭრილობას მოუშუშებს.

ერთგან კიდევ ავთანდილი ვეფხვთან არის შედარებული, ოღონდ ამჯერად ხაზგასმულია მისი სიფხიზლე და სისწრაფე; „ჩაიცვა ტანსა აბჯარი ქცევითა ვეფხებრ მკრჩხალითა“.

ყველა ეს მაგალითი იმისათვის მოვიყვანეთ, რომ ხაზი გაგვესვა ერთი გარემოებისათვის: რაკი გამორიცხულია, რომ რუსთაველს ნანახი არ ჰყოლოდა ზოლიანი ვეფხვი, რომელიც თავისი ზომითაც და შესაბამისად, ძალითაც ლომის ტოლფარდია, იგი, ჩემი აზრით, არავითარ შემთხვევაში ამ ცხოველს გვერდს არ აუვლიდა, რაკი ქალის გამეფებისა და, ამდენად, მამაკაც მეფეებთან მისი გატოლების გასამართლებლად ხელსაყრელი უკეთესი სახე - სიმბოლო არ არსებობს.

ცოტა რამ მინდა ვთქვა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზეც. უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩიმ ტარიელი ხალებიანი ჯიქის (თუ ავაზის) ტყავით შემოსილი დახატა, ალბათ ევროპული ტრადიციის გავლენით, ხოლო ქართველმა მხატვრებმა - ირაკლი თოიძემ, ლადო გუდიაშვილმა და სერგო ქობულაძემ ზოლებიანი ვეფხვის ტყავი ჩააცვეს პოემის მთავარ გმირს. ლადო გუდიაშვილი დიდი მხატვარია, მაგრამ მე პირადად არ მომწონს მის მიერ ზედმეტად მანერულ სტილში შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ გრაფიკული ილუსტრაციები. უპირატესობას ირაკლი თოიძის და, განსაკუთრებით, სერგო ქობულაძის ილუსტრაციებს ვანიჭებ. თუმცა ქობულაძის ნახატების მიმართ ორიოდ შენიშვნა მაინც მაქვს. ბრწყინვალეა და დახატული წყლის პირას მტირალი ტარიელი, მაგრამ მის გვერდით რატომღაც არ ჩანს შავი ცხენი, ფრიდონისაგან ნაჩუქარი, რომელიც ზებუნებრივი სისწრაფით გამოირჩევა და განუყრელად თან ახლავს ვეფხვის ტყავით მოსილ გმირს; ასევე მხატვრული თვალსაზრისით ბრწყინვალეა ტარიელის მიერ ლომ - ვეფხვის დახოცვის დინამიური სცენა, ოღონდ აქ დახატული ლომი მეტად მომცრო ტანისა ჩანს, დაახლოებით ჩვენებური მეცხვარული ნაგაზისოდენა; ძალაუნებურად იფიქრებ, რომ ასეთი ლომის მოკვლას, თანაც ამოდენა ბასრი მახვილით ტარიელი კი არა, ჩვეულებრივი კაციც კი შეძლებდა (ვეფხვზე არაფერს ვამბობ, რადგან იგი ძუ გახლავთ, ხოლო ვეფხვებსა და ლომებში ძუები მნიშვნელოვნად მომცრო ტანისანი არიან ხვადებზე)...მართალია, ტარიელი ზეადამიანური ძალის მქონე გმირია და, რა თქმა უნდა, ტანახოვანიც იქნებოდა, მაგრამ არც იმდენად დიდი ტანისა, რომ ლომი მასთან შედარებით ასე პატარა გამოჩენილიყო - ხვადი ლომი ორასიდან ორასორმოცდაათ კილოგრამამდე (ზოგჯერ მეტსაც) იწონის და სიგრძეში (კუდის ჩათვლით) ორმეტრნახევარს აღემატება; ილუსტრატორს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს ეს გარემოება - ლომი ასე ადვილად მოსაკლავი არ უნდა ჩანდეს, რადგან ამით ძალაუნებურად ტარიელის ძლევა მოსილების განცდაც კნინდება...რუსთ-

ველური ჰიპერბოლის თანახმად ტარიელს ხუთი წლის ასაკშიც კი „ჭირად არ უწნდა“ ლომის მოკვლა, მაგრამ ჰიპერბოლა სხვაა და რეალობა - სხვა: მაგალითად, მთლად პირდაპირ ხომ არ შეიძლება გავიგოთ, რომ ტარიელისა და ასმათის დანაგლეჯ თმას „ტევრი გაეხშირა“ ან ის, რომ ნესტანი ღამით მზესავით ანათებს.

ახლა იმ საჭირობოტო საკითხს შევეხოთ, წერილის დასაწყისში რომ ვახსენე - მკვლევარების მიერ საეჭვოდ მიჩნეული სტროფებისაგან ტექსტის „განმენდას“. იგივე ლომ - ვეფხვის დახოცვის ეპიზოდი გამოგვადგება ამ მიზნით. აქ მოგვიხდება სამი სტროფის ამონერა პოემიდან, რათა მკითხველს უფრო თვალსაჩინოდ ვაუწყოთ სათქმელი:

1. „იმა ქედსა გარდავადეგ, შამბნი ისი მომეარნეს, ერთი ლომი, ერთი ვეფხი შეკრბეს, ერთად შეიყარნეს, ჰგვანდეს რათმე მოყვარულთა, მათი ნახვა გამეხარნეს, მათ რა უყვეს ერთმანერთსა, გამიკვირდეს, შემეზარნეს.“

2. ქედსა გარდავადეგ, ლომ-ვეფხი მოვიდეს ორგნით რებულნი, სახედ ვამსგავსე მიჯნურთა, ცეცხლნი დამევესეს დებულნი, შეიყარნეს და შეიბნეს, იბრძოდეს გამნარებულნი, ლომი სდევს, ვეფხი მიურბის, იყვენს არ ჩემგან ქებულნი.

3. პირველ ამოდ ილალობნეს, მერმე მედგრად წაიკიდნეს: თვითო ტოტი ერთმანეთსა ჰკრეს, სიკვდილსა არ დაჰრიდნეს: გამოჰრიდნა ვეფხმან - გული დედამცა გამოჰრიდნეს! ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამშვიდნეს“.

ამ სტროფთაგან მეორეს რუსთაველურობას საეჭვოდ მიიჩნევენ პოემის კომენტატორები და ზოგ გამოცემაში არც კი შეაქვთ, აქაოდა, მასში იგივე ინფორმაციაა გადმოცემული, რაც წინა და მომდევნო სტროფებშიაო, არადა, მხატვრულად ბრწყინვალე სტროფია, პირნიმინდად რუსთაველურ სტილში შესრულებული. რას ერჩიან, აშავებს რამეს? თუ ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის გარდა სხვა არაფერია აქ ჩვენთვის, მკითხველებისათვის ღირებული? აბა დავაკვირდეთ: როგორც მუსიკაში ხდება (ცალკეული თემის განმეორება-განვრცობა და ვარიაციული დამუშავება, ისევეა აქაც და შესანიშნავი მხატვრული ეფექტია მიღწეული: არ ვამბობ, რომ ავტორმა ეს საგანგებოდ, წინასწარგამიზნულად გააკეთა, როგორც, ვთქვათ, გალაკტიონი ახდენს მუსიკალური სონატის ფორმის იმიტირებას თავის ზოგიერთ ლექსში („გრიგალი“, „დომინო“, „კოსმიური ორკესტრი“ და ა.შ.). უფრო ის მგონია, რომ პოემაზე მუშაობისას რუსთაველი ყოველთვის ერთმანეთის მიყოლებით (სიუჟეტის განვითარების შესაბამისად) კი არ წერდა ცალკეულ სტროფებს, არამედ ხანდახან წინა სტროფზე ადრე მომდევნოს დამუშავებდა - უცებ მოსულე რითმა, მხატვრული სახე თუ სხვა რამ კომპონენტი ტექსტისა აიძულებდა „წინ გადამხტარიყო“... ამ სამი სტროფიდან იქნებ არეულ-დარეულად ხან ერთზე, ხან მეორეზე, ხან მესამეზე მუშაობდა და ძალაუნებურად თემა განავრცო იმაზე მეტად, ვიდრე ეს სიუჟეტური ინფორმაციის გადმოცემას ესაჭიროებოდა, შემდეგ

კი ვეღარ შეელია ამ თვალსაზრისით „ზედმეტ“ სტროფს და უნებურად მიიღო შესანიშნავი მუსიკალური ეფექტი; და კითხვას ვსვამ: მაინც რა კრიტერიუმი გვაქვს მომარჯვებული სახელმძღვანელო პრინციპად, რომ ამგვარ მარგალიტებს ამოვადებთ ხოლმე ტექსტიდან? „შაჰნამეს“ დასაწყისი, კარგა ვრცელი ტექსტი თურმე ფირდოუსის კი არა, დაყიყის დაწერილი ყოფილა, მაგრამ ამის გამო, რამდენადაც ვიცი, ის არ ჩამოუცილებიათ ფირდოუსის გრანდიოზული ეპოსისათვის: მთავარია თვით ნაწარმოები, მისი მხატვრულ - შინაარსობრივი ღირებულება და არა ის, თუ ვისი დაწერილია ეს ნაწარმოები ან მისი რომელიმე ნაწილი.

სხვა მაგალითიც ვნახოთ: ფირდონისაკენ მიმავალი ავთანდილი გზად მიიმღერის და მისი ხმის სიტკბოსაგან ირგვლივ ყოველი არსი - სულიერი თუ უსულო - ინუსხება. თურმე აქაც საეჭვო ყოფილა ბოლო სტროფი და ზოგ გამოცემაში არ შეაქვთ. ვერაფრით გამიგია, რას ერჩიან ამ მშვენიერ სტროფს, რომელსაც „არარუსთველორობისაც“ არაფერი სცხია ჩემი აზრით:

„მოვიდიან შესამკობად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი, ტყით ნადირნი, წყალშით თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი, ინდო - არაბ - საბურძნეთით, მაშრიყით და მალრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი“.

და ამ დროს ტექსტში მართლაც არის სწორედაც რომ არარუსთველოური, შეცვლილი, დამახინჯებული სიტყვები, რომელთაც რატომღაც გვერდს უვლიან, ვერ (თუ არ) ამჩნევენ რუსთველოლოგები: არათუ ეხებიან, არამედ არც კი აღნიშნავენ მათ საეჭვოობას.

აქ მიინდა რუსთველოური რითმებზე ვთქვა ზოგი რამ, გარითმვის რუსთველისეულ ნუსზე თუ სისტემაზე, რომელსაც პოეტი უმკაცრესი პედანტურობით იცავს. ამ ფაქტორს აუცილებლად სჭირდება განსაკუთრებული ყურადღება ტექსტის დადგენის დროს. რუსთველოლოგები ხშირად მიმართავენ კონიექტურებს ანუ საეჭვო სიტყვების (თუ სიტყვის ნაწილის) სხვაგვარ ნაკითხვას, რაც, მათი მიხედვრით უნდა ყოფილიყო რუსთველისეულ დედანში. ამიტომ გასაკვირია, რომ ზოგან ტექსტში გვხვდება ისეთი რითმა, რომელსაც რუსთველი არავითარ შემთხვევაში არ იხმარდა. ვნახოთ მაგალითი:

„ფატმან მისსა შევენებასა მეტის - მეტად ჰკვირებოდა, მან პასუხი არა გასცა, თავის წინა ღიმდებოდა: „მეეტიყვების არ მიცნობსო, ეგრე ვითა ყივნდებოდა! თუმცა რასმე იფერებდა, მეტი არა გაჰვიდოდა.“

ეს „გაჰვიდოდა“ არ არის რუსთველის კუთვნილება, ამას სრული კატეგორიულობით ვაცხადებ: სტროფში გვაქვს ოთხმარცვლიანი ზედაქტილური (ანუ სამმარცვლიან დაქტილურზე მეტი მარცვლის მქონე) რითმა: პირველ, მეორე და მესამე სტრიქონში ეს ოთხმარცვლიანობა (ი-ე-ო-ა) დაცულია, მეოთხე სტრიქონში კი მხოლოდ ბოლო ორი მარცვლია წინა სტრიქონების ბოლო ორი მარცვლის ინდენტური

(ო-ა). გარდა ამისა, ზემოთა სამ სტრიქონში ბოლო სამი მარცვლის ასოებიც ზუსტად ერთნაირია („დე-ბოდა“), რაც მეოთხე სტრიქონშიც იმავეს მოითხოვს (მელოდიურობის პრინციპიდან გამომდინარე), აქ კი მხოლოდ ბოლო სამი ასო („ოდა“) არის ზემოთა სტრიქონების ბოლო სამი ასოს იდენტური.

რუსთველოური გარითმვის სისტემისათვის ამ ბოლო სტროფში „გაჰვიდოდა“-ს რითმად გამოიყენება ყურისმომჭრელი ნონსენსია და მიკვირს, რუსთველოლოგები ამ შემთხვევაში აუცილებელ კონიექტურას რატომ არ მიმართავენ? პოემის სასკოლო გამოცემაში ამ სტრიქონების აზრი ასეა განმარტებული - ავთანდილს ფატმანის იმედი არა ჰქონდა, რომ კვლავ ვაჭრის როლი ეთამაშა მის წინაშე; კი მაგრამ, ამ „გაჰვიდოდა“-ს მაგივრად რომ „სჭირდებოდა“ შეეტანათ ტექსტში, განა ეს აზრი დაირღვეოდა? „სჭირდებოდა“ ფორმითაც და შინაარსითაც იმგვარი სარიტმო სიტყვაა, რომელიც აუცილებლად სჭირდება ამ სტროფს! არც რუსთველოლოგი ვარ, არც ძველქართული ენის სპეციალისტი, მაგრამ ჩემთვის პოემის ტექსტის დადგენაში მონაწილეობის ნება რომ დაერთოთ, სწორედ ამგვარ ცვლილებას შევიტანდი მასში.

რუსთველი იმდენად პედანტური სიმკაცრით იცავს გარითმვის საკუთარ წესს, რომ თავის მთავარ გმირს, ტარიელს ორგან სახელსაც კი „უმახინჯებს“ რითმის გამო; აი ვნახოთ მაგალითები:

„მოენერა:“ რამაზ მეფე ნიგნსა გინერ ტარიერსა“.

აქ სხვა სტრიქონებში სარიტმო სიტყვებია „მონანერსა“, „ერსა“ და „შემნიერსა“. რაკი სამივე სიტყვა მთავრდება ერთნაირი ასოებით („ერსა“). ამიტომ „ტარიელსა“-სა ნაცვლად პოეტი წერს „ტარიერსა“-ს.

„ერთმანცა არა იცოდა, ვერა ცნეს ტარიერისა“.

აქ სარიტმო სიტყვებია „მტერისა“, „წვერისა“ და „მტვერისა“. რაკი სამივე სიტყვა ერთნაირი ასოებით ბოლოვდება („ერისა“) აქაც გმირის სახელის სწორი დაწერილობა ფორმალისტურ მოთხოვნას „ენიება“ და „ტარიელისა“-ს ნაცვლად გვაქვს „ტარიერისა“. ყოველივე აქედან გამომდინარე, მე მაეჭვებს ერთი აფორიზმად ქცეული სტრიქონი პოემისა-“ იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია“. ეს არის სტროფის ბოლო, მეოთხე სტრიქონი, წინა სამი სტრიქონის რითმები კი ასეთია- „ძნელია“, „ხელია“, „მრთელია“ ანუ სამივე სტრიქონში ბოლო ოთხი ასო ერთმანეთის იდენტურია („ელია“), რაც ბოლო სტრიქონშიც მოითხოვს ამ იდენტურობის დაცვას. ასე რომ, ბოლო სტრიქონში სარიტმო სიტყვად „მტერია“-ს გამოყენება რუსთველოური გარითმვის წესიდან გადახვევაა (თუმცა კი ამით სტროფის მელოდიური ჟღერადობა თითქმის არ ზარალდება); მაგრამ რა სიტყვა შეიძლებოდა ყოფილიყო აქ „მტერია“-ს ნაცვლად ავტორისეულ დედანში? იქნებ „მკლველია“? არ ვიცი, აქ კომპენტიურობას ნამდვილად ვერ დავიჩემებ.

342 სტროფში საეჭვოა სიტყვა „წინა-მდგომელთა“ რუსთველური იყოს, რადგანაც დანარჩენი სართიმო სიტყვებია „დაუშვრობელთა“, „მფლობელთა“ და „მშობელთა“ ანუ სამივე სიტყვა ერთმანეთის იდენტური ასოებით („ობელთა“) ბოლოვდება, რაც, მოეთხე სტრიქონშიც იმავეც ასოებით დაბოლოებას მოიხსოვს. აქ „წინა-მდგომელთა“-ს ნაცვლად ხომ არ იქნებოდა „წინა-მსწრობელთა“? ამით სტროფის აზრი არ ირღვევა - წინამდგომელმა ხასებმა (დიდებულებმა) გამოიყვანეს მამაზე მგლოვიარე ტარიელი ფარსადან მეფის თხოვნით: „წინა-მსწრობელი“ შეიძლება „წინამდგომელი“-ის ანალოგიური შინაარსის სიტყვად მივიჩნიოთ მოცემულ შემთხვევაში.

1301 სტროფში სართიმო სიტყვებია „მტირალი“, „ვის, ალი“, „გასაგმირალი“, „გამომჭვირვალის“. სასკოლო გამოცემაში განმარტებულია, რომ „მისმანვე ცრემლმა დაუვისის, ვის ედებოდა ვის, ალი“ ნიშნავს - ნესტანს თავისივე ცრემლები უქრობდა ალს, რომელიც ედებოდა, და აქ სიტყვა „ვის“ განმეორებით ნახმარია აზრის გაძლიერების მიზნით; მე ვფიქრობ სიტყვა „ვის“ გადამწერის მიერ შეცდომითაა განმეორებული, რადგანაც ასო „ს“ არღვევს რუსთველური გართიმვის წესს: დანარჩენ სამ სართიმო სიტყვაში დამაბოლოებელი ასოების იდენტურობა („ირალი“) მოითხოვს ასეთივე დაბოლოებას სტრიქონში „მისმანვე ცრემლმა დაუვისის, ვის ედებოდა ვის, ალი“. ვფიქრობ, აქ შეიძლება და ყოფილიყო არა „ვის, ალი“, არამედ „ვირ ალი“. „ვირ“ ნიშნავს „ვიდრე“-ს. ამით ტაეპის აზრი არ ირღვევა: ნესტანს ვიდრე ალი ედებოდა, მისივე ცრემლები უქრობდა ამ ალს.

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგი გამოცემის მიხედვით ეპილოგში არის ასეთი სტრიქონი „ესე ამბავი გავლესე მე მათად საკამათებლად“. აქ დანარჩენ სამ სტრიქონში გვაქვს რითმები „სარებლად“, „მარებლად“, „გამახარებლად“ ანუ სართიმო სიტყვებში ბოლო ასოების იდენტურობას („არებლად“) აღარ შეესაბამება დაბოლოება სიტყვისა „საკამათებლად“. სხვა გამოცემებში არის „სახუმარებლად“ ან „მოსახმარებლად“, რაც რუსთველური გართიმვის წესს შეესაბამება და ამდენად მისაღებიცაა; თუმცა მე პირადად არ მესმის „სახუმარებლად“, რა შინაარსის მქონეა. უფრო გასაგებია „მოსახმარებლად“, რაც ნიშნავს, რომ პოეტმა მეფეთათვის წასაკითხად, გამოსაყენებლად გალექსა ეს ამბავი.

ზოგ გამოცემაში არის „ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“, ზოგში კი „ხონელსა“-ს ნაცვლად გვაქვს „ხომელსა“, რაც უფრო სწორი გახლავთ რუსთველური გართიმვის წესის მიხედვით, რადგან ამ სტროფში დანარჩენი სტრიქონების სართიმო სიტყვებია „რომელსა“, „დაუშვრომელსა“, „მეუშრომელსა“ ანუ სტრიქონები ბოლოვდება ერთნაირი ასოებით („ომელსა“).

„ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგს ზოგნი „არარუსთველურად“, სხვა პიროვნების მიერ დაწერილად თვლიან იმის გამო, რომ აქ არის ასეთი სტრიქონი „ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველისად ამი-

სა“ ანუ ვინმე მესხი მელექსე (და არა თვითონ რუსთველი) ამას რუსთველისათვის ვწერო. მაგრამ თუ ასეა, მაშინ იქვე, მეორე სტროფში რომ ამბობს „ესე ამბავი გავლექსე“-ო, ეს რაღას ნიშნავს? რატომ არ უნდა გვჯეროდეს, რომ თვითონ რუსთველი უწოდებს თავისთავს „ვინმე მესხ მელექსე“-ს?

არის კიდევ სხვაგვარი წაკითხვა: „მე რუსთავისა დამისა“. სიტყვა „დამი“ თურმე დასახლებას, „დაბას“ ნიშნავს, ანუ ვითომ ეს „მესხი მელექსე“ სავარაუდოდ რუსთავის დასახლებიდან იყო, მაგრამ რატომ არ შეიძლება ასე იყოს - „მე რუსთველისა დამისა“ ანუ პიროვნება „რუსთველის დამს“ (რუსთველთა დამს) ეკუთვნოდეს? ვითომ არაბუნებრივად უღერს? არა მგონია.

„ვეფხისტყაოსნის“ მკვლევართათვის არაერთგზის შეუნიშნავთ, რომ ურიგო არ იქნებოდა, პოემის ტექსტის დადგენისას საქმეში ჩაერთოთ პოეტებიც, რომელთაც გაცილებით მახვილი მხატვრული ინტუიცია აქვთ, როგორც ლექსის თხზვის პრაქტიკოსებს და ზოგ შემთხვევაში შეუძლიათ ტექსტის უფრო სწორი წაკითხვა შემოგვთავაზონ, ვიდრე ეს ფილოლოგ-მეცნიერთ ხელენიფებათ. თუმცა პოეტსაც გააჩნია: მას რუსთაველის მსგავსი თეთიკა უნდა ჰქონდეს, რუსთველური სალექსო ტექნოლოგიის „შიგნიდან დანახვა“ უნდა შეეძლოს, ანუ, ასე ვთქვათ, „რუსთაველად გარდასახვა“ ხელენიფებოდეს, საერთოდ რუსთველისეული სამყარო მის მიერ ღრმად გაათავისებული უნდა იყოს იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ „მსგავსი შეიცნობს მსგავსს“. თავის დროზე რომ რუსთველოლოგებს გალაკტიონი ჩაერთოთ ამ საქმეში, ალბათ ძალზე უპრიანი იქნებოდა: გალაკტიონი თავისი ესთეტიკური ხედვით, თავისი პოეტიკით ყველა სხვა პოეტზე ახლოს დგას რუსთაველთან, მისი პოეზიის მუსიკალურობა და მელოდიურობა, მისი უმდიდრესი სალექსო ტექნოლოგია სწორედაც რომ რუსთველური ტიპის გახლავთ; ამ ყველაფერს დავუმატოთ გალაკტიონის უაღრესი დაინტერესება რუსთაველის ფენომენით - მისი ბრწყინვალე ლექსები რუსთაველის თემაზე („პოემა ვეფხისტყაოსნისა“, „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ და ა.შ.), რუსთაველთან გაჯიბრება ეპიკური პოემით („მშვიდობის წიგნი“), საერთოდ, მისი რაღაც „საბედისწერო“ შეპყრობილობა, ასე ვთქვათ, „რუსთველიზმით“- დიას, ეს ყველაფერი ამტკიცებს, რაოდენ ღრმად გაშინაგანებული ჰქონდა უდიდეს ქართველ ლირიკოსს უდიდესი ქართველი ეპიკოსის სამყარო...

თუმცა ახლა რაღა დროსია რუსთაველის ტექსტის დადგენაში გალაკტიონის ჩართვაზე ლაპარაკი, უბრალოდ, სიტყვას მოჰყვა...

„ვეფხისტყაოსნის“ თემა ამოუნურავია და სხვა დროს იქნებ კიდევ გამიჩნდეს ახალი მოსაზრებანი, ამჯერად კი აქ დავსვამ წერტილს.

პასტანგ პასტაჰი²

პატრიარქ ტიხონის ანათემა პოლპევიკებს

„სპეციალურად „ისინდისათვის“

გთავაზობთ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, ტიხონის ცნობილ მიმართვას მღვდელმთავართა, მღვდელმსახურთა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგულ შვილთა მიმართ, რომელმაც მაშინდელ მძიმე და ქაოტურ ვითარებაში, ისევე როგორც საბჭოთა რუსეთის შემდგომ წლებში, დიდი რეზონანსი გამოიწვია.

უნმინდესი პატრიარქის ტიხონის ეპისტოლე (უღმერთოთა ანათემა), 1918 წლის 19 იანვრისა წყალობითა ღვთისათა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ღვთისგან კურთხეულ მღვდელმთავრებს, მღვდელმსახურებს და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგულ შვილებს „რომელმან მისცა თავი თ სი ცოდვათა ჩუენთათ ს, რა თა განმარინნეს ჩუენ სოფლისა ამის ბოროტისაგან ნებითა ღმრთისა და მამისა ჩუენისა თა“ (გალ. 1,4) მძიმე ჟამი დაუდგა ქრისტეს წმინდა მართლმადიდებელ ეკლესიას რუსეთის მიწაზე:

ქრისტეს ჭეშმარიტებას დაუწყეს დევნა მისმა აშკარა და ფარულმა მტრებმა, რათა სანაცვლოდ ქრისტეს სიყვარულისა, დათესონ თესლი სიძულვილისა, ბოროტებისა და ძმათა შორის სისხლის ღვრისა.

მივიწყებულია და გაქეპილი ქრისტეს მცნებანი, მოყვასის სიყვარულს რომ გვასწავლის ნიადაგ: ჩვენამდე ყოველდღიურად მოდის ცნობები, თუ რარიგ შემადრწუნებელ და მხეცურ თავდასხმებს უწყობენ მტარვალნი უდანაშაულო და მათ შორის ლოგინზე მიჯაჭვულ ადამიანებს, რომელთაც მხოლოდ იმაში თუ მიუძღვით ბრალი, რომ პატიოსნად აღასრულებენ საკუთარ ვალს სამშობლოს წინაშე და ძალებს არ იშურებენ ხალხის საკეთილდღეოდ. და განა ყოველივე ეს ღამის ბნელ საფარველქვეშ ხდება მხოლოდ? დაუფარავად, დღისით, მზისით, ჯერარგაგონილის უტიფრობითა და დაუნდობელის სიმკაცრით სჩადიან მტარვალნი თავის ავთა საქმეთ ჩვენი სამშობლოს თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელში: დედაქალაქებშიც და შორეულ კუთხეებშიც (პეტროგრადში, ირკუტსკში, სევასტოპოლში და სხვ.).

ყველაფერი ეს ღრმა მწუხარებით აღავსებს ჩვენს გულს და გვაიძულებს, მოციქულის მრისხანე სიტყვით გავაფრთხილოთ ადამიანის მოდგმის ეს მტარვალები: „და რომელნი იგი ცოდვიდენ, წინაშე ყოველთა სა ამხილე, რა თა სხუათა მათ ემინოდეს.“ (1 ტიმ.5,20). მოეგეთ გონს, უგუნურნო, შეწყვიტეთ სისხლიანი ძალადობანი. ყოველივე, რასაც თქვენ სჩადიხართ, არა მარტო საქმეა სასტიკებისა, იგი ჭეშმარიტად სატანური საქმეა, რისთვისაც ცეცხლ-



სა და გენიას მიიღებთ მომავალს ცხოვრებაში, ან კი, ამა სოფლად, თაობათა საუკუნო წყევას.

ღვთისაგან მონიჭებული უფლებებით, გიკრძალავთ ქრისტეს საიდუმლოთა ზიარებას და გადაგცემთ ანათემას, თუ ჯერ კიდევ ატარებთ ქრისტიანის სახელს და თუნდაც დაბადებით ეკუთვნით მართლმადიდებელ ეკლესიას.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარი აფიცებს ყოველთა ქრისტესმოყვარე შვილთა თვისთა, არავითარი ურთიერთობა არ იქონიონ ამ მტარვალებთან. „ხოლო გარეშენი იგი ღმერთმან განიკითხნეს; და მოსპოთ უკეთური იგი შორის თქუნესა.“ (1 კორ. 5,13).

ქრისტეს წმინდა ეკლესია სასტიკ დევნას განიცდის: კურთხეული საიდუმლო, რომელიც განანათლებს ადამიანის ამქვეყნიად მოვლინებას, ან ქრისტიანული ოჯახის ღვთივეკურთხეული ცოლქმრული კავშირი, ღიად გამოაცხადეს უსარგებლოდ და ზედმეტად; წმინდა ტაძრები ან ჭურვების გამოყენებით დაანგრეს (მოსკოვის კრემლის წმინდა ტაძრები), ან გაძარცვეს და ნაბილნეს (მაცხოვრის საყამნო პეტერბურგში);

მორწმუნე ადამიანთათვის სათაყვანო წმინდა ადგილები (როგორცაა ალექსანდრე ნეველისა და პოჩაევის ლავრები) ხელში ჩაიგდეს ბნელეთის უღმერთო მოციქულებმა და სახალხო ავლადიდებად გამოაცხადეს; მართლმადიდებელი ეკლესიების სკოლები, რომლებიც მღვდელმსახურებს და სარწმუნოების მქადაგებლებს ამზადებდნენ, მოშალეს და ურწმუნოების სასწავლებლებად და უზნეობის კერებადაც კი აქციეს.

მართლმადიდებელ ეკლესია-მონასტრებს ქონებას ართმევენ იმ საბაბით, რომ ეს სახალხო სა-

კუთრებაა, თუმცა ამის არავითარი უფლება არა აქვთ და არც ხალხის კანონიერ უფლებებს უწევენ ანგარიშს... და ბოლოს, ხელისუფლება, რომელიც რუსეთს სამართლისა და სიმართლის, თავისუფლებისა და წესრიგის დამკვიდრებას ჰპირდებოდა, აღვირახსნილ თვითნებობას და ძალადობას იჩენს ყველასა და ყველაფრის, მათ შორის, წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. სად აქვს საზღვარი ქრისტეს ეკლესიის ასეთ აბუჩად აგდებას? როგორ და რითი უნდა შევაჩეროთ მტერთა ეს გაშმაგებული თავდასხმები?

მოგიწოდებთ ყველას, მორწმუნენო და ეკლესიის ერთგულნო შვილნო: აღსდექით დღეს ასე შეურაცხყოფილი და შევიწროებული თქვენი წმინდა დედა ეკლესიის დასაცავად.

ეკლესიის მტრები მბრძანებლობენ წმინდა ეკლესიაზე და მის საკუთრებას იარაღის ძალით ეუფლებიან, თქვენ კი წინ აღუდექით თქვენი რწმენის ძალით, თქვენი მრისხანე საერთო-სახალხო აღშფოთებით, რომელიც შეაჩერებს უგუნურთ და დაანახვებს მათ, რომ არა აქვთ უფლება, თავს უწოდონ სახალხო კეთილდღეობის დამცველები და ახალი ცხოვრების მშენებლები ხალხის ნების გათვალისწინებით, სინამდვილეში კი პირდაპირ ხალხის სულის დასათრგუნად იღწვიან. და თუ საჭირო გახდა ნამება ქრისტეს საქმისათვის, მოგიწოდებთ თქვენ, ეკლესიის საყვარელნო შვილნო, ტანჯვა შეიმსუბუქეთ წმინდა მოციქულის სიტყვებით: „ვინ განმამორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესსა: ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ სიყმილმან, შიშლოებამან ანუ ურვამან ანუ მახვილმან?“ (რომ. 8,35). თქვენ კი, ძმანო მღვდელმსახურნო, მოგიწოდებთ, წუთითაც არ შეანელოთ თქვენი სულიერი მოღვაწეობა, მხურვალედ მოუწოდეთ თქვენს სულიერ შვილთ, აღსდგნენ მართლმადიდებელი ეკლესიის შელახული უფლებების დასაცავად, დაუყოვნებლივ განამტკიცეთ მათთან სულიერი კავშირნი, მოუწოდეთ, რომ საჭიროების გამო კი არა, კეთილი ნებით ჩადგნენ სულიერ მეზობლთა რიგებში, და გარეშე ძალებს წინაღუდგნენ წმინდა სულიერი სიმხნევიით; და ჩვენ მტკიცედ ვიმედოვნებთ, რომ ეკლესიის მტრები განადგურდებიან და გაცამტვერდებიან ძალითა ქრისტეს ჯვრისათა, რამეთუ მაცხოვარი, რომელმან ჯვარი იტვირთა, გვეუბნება: „და ამას კლდესა ზედა აღვამენო ეკლესია ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას.“ (მათ. 16, 18).

ტიხონი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი. 1918 წლის 19 იანვარი.

წყარო: ეპისტოლე უწმინდესი ტიხონისა, სრულიად რუსეთის პატრიარქისა. უფრნალი „ბოგოსლოვსკი ვესტნიკ“, მოსკოვის სასულიერო აკადემიის გამოცემა. სერგიევ პოსადი, „ი. ი. ივანოვის სტამბა“. 1918. ტომი 1, იანვარ-თებერვალი. გვ. 74-76.

P. S. ერთ დროს რუსეთის პატრიარქს, ტიხონს, ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ წლებში ბინაზე პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, რაც იმას ნიშნავდა,

რომ სახლიდან გასვლის უფლება არ ჰქონდა. იგი იმხანად მოსკოვში დონის მონასტერში ცხოვრობდა, მონასტერის წმიდა შესასვლელის თავზე, მასთან ერთად განუყრელად ცხოვრობდა მისი კელენიკი (მღვდელმთავრის მსახური), რომელიც დიდის ერთგულებით და სიყვარულით ემსახურებოდა. კელენიკი ხუთშაბათობით მშობლებთან და ძმასთან მოსკოვში მიდიოდა. ასე რომ, დილის ხუთშაბათიდან პარასკევ დილამდე პატრიარქი ტიხონი მარტო იყო და ეს ყველამ იცოდა. ერთხელ ხუთშაბათს ღამით პატრიარქის ბინის კარზე კაკუნი გაისმა. კარი გაიღო და უცბად ჩოჩქოლი ატყდა. ჩოჩქოლს ვაის დაძახება მოჰყვა, ხმაურზე პატრიარქი სანთლით ხელში შესასვლელში გამოვიდა. რა მოხდა, ვინ არის? იმ ღამეს სინათლეს გამოართული იყო და რას ხედავს - თავგახეთქილი კელენიკი იატაკზე აგდია და სისხლისაგან იცლება. ეს იყო ერთადერთი ხუთშაბათი, როდესაც კელენიკი მოსკოვში არ წავიდა, რადგან შეუძლოდ იყო. პატრიარქმა მწარედ დაიტირა კელენიკი. „მინის ქვეშ ერთად ვიქნებით, როგორც ძმები. მან ხომ სასიკვდილო დარტყმა მიიღო, რომელიც ჩემთვის იყო განკუთვნილი.“ პატრიარქმა კელენიკი დაასაფლავა იმ ადგილის მახლობლად, რომელიც თავისი საფლავისათვის ჰქონდა განკუთვნილი.

გარდაცვალების შემდეგ პატრიარქიც, როგორც დაიბარა, კელენიკის გვერდით დაკრძალეს, მათ საფლავებს კი ეკლესიის კედელი ჰყოფს. პატრიარქი ეკლესიაში განისვენებს, ხოლო კელენიკი მონასტრის ეზოში, კედელთან. როგორც ამბობენ, კელენიკი ძალზედ კეთილი და მშვიდი ადამიანი ყოფილა. ვინ იცის, შეიძლება სიცოცხლის ბოლო წუთებში პავლე მოციქულის სიტყვები გაიხსენა: „ნუთუ სიკეთე სიკვდილად გამიხდა? არავითარ შემთხვევაში, მაგრამ ცოდვა ამიტომ აღმოჩნდა ცოდვად, რომ კეთილის მეშვეობით მოაქვს ჩემდა სიკვდილი, რათა იყოს ცოდვა ზედმეტად ცოდვილი მცნების მეშვეობით.“ როდესაც პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ წერილში გვასწავლის: „და მუდამ სხეულში ვატარებთ უფალ იესოს სიკვდილს, რათა იესოს სიცოცხლეს ჩვენს სხეულში გამოჩინდეს, ვინაიდან ჩვენ, ცოცხლები, მუდამ ვეძლევი სიკვდილს იესოსათვის, რათა იესოს სიცოცხლეს ჩვენს მოკვდავ ხორცში გამოჩინდეს. ამიტომ ჩვენში სიკვდილი მოქმედებს, ხოლო თქვენში - სიცოცხლე. როცა უყურებთ არა ხილულს, არამედ უხილავს, ვინაიდან ხილული დროებითია, ხოლო უხილავი - საუკუნო.“ საუკუნო უხილავი ქრისტეს სიცოცხლეს - და ჩვენიც მასთან ერთად.

ამინ.

ბოლოთქმა

გაჭიანურებულმა პირველმა მსოფლიო ომმა რუსეთის ეკონომიკის დაცემა, ხალხის ცხოვრების დონის დაქვეითება და სოციალური მოძრაობის ახალი აღმავლობა გამოიწვია. მთავრობამ იგრძნო სოციალური აფეთქების საშიშროება, „მშვიერი

კუჭის რევოლუციის“ მოახლოება და შესაბამისი ღონისძიებები გაატარა დადაბული სიტუაციის განსამუხტავად. რუსეთში ჩამოყალიბდა ერობებისა და ქალაქთა კავშირები. 1915 წელს ჩატარდა

ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა.

შედგომში ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესასრულებლად პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ სამეურნეო ნგრევისა და სიძვირის ზრდის ტენდენცია ვერ აღმოიფხვრა.

ბურჟუაზიულმა პარტიებმა სახელმწიფო სათათბიროში ჩამოაყალიბეს „პროგრესული

ბლოკი“, რომელმაც მიზნად დაისახა ე. წ. „ნდობის“ მინისტრთა კომიტეტის შექმნა.

ბურჟუაზია დიდ პრეტენზიებს თითქოს არ აცხადებდა. იმპერატორისაგან მოითხოვდა მხოლოდ ძალაუფლების მისთვის გაზიარებას. ოპოზიციას მიაჩნდა მინისტრთა საბჭოში რამდენიმე ადგილის მიღება... „პროგრესული ბლოკის“ წევრებმა მოითხოვეს აგრეთვე ფაქტობრივად უკვე ჩამოყალიბებული ერთობათა და ქალაქთა კავშირის არსებობის დაკანონება.

„პროგრესული ბლოკის“ მხარდაჭერამ ერობათა და ქალაქთა კავშირის ძალა და გამბედაობა შემატა. 1916 წლის 14 სექტემბერს ამ ორივე კავშირის გაერთიანებულმა ყრილობამ მოითხოვა, სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ბურჟუაზიის წარმომადგენლების დამკვეთა, სახელმწიფო სათათბიროს (პარლამენტის) წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის ჩამოყალიბება.

ნიკოლოზ მეორე არჩევანის წინაშე დადგა: ან გაეგრძელებინა ომი და მოახლოებულ რევოლუციასაც გამკლავებოდა, ან სეპარატისტული ზავი დაედო გერმანიასთან, ამით დაენწყნარებინა ომით დაღლილი ხალხი და ჯარისკაცები.

1916 წლის ბოლოს მეფემ ნაბიჯი გადადგა სეპარატისტული ზავისაკენ, რამაც ანტანტის და რუსეთის ბურჟუაზიის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მალე ნიკოლოზ მეორემ ხელი მოაწერა ბრძანებას სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის შეჩერების შესახებ.

ამის საპასუხოდ „პროგრესულმა ბლოკმა“, რომელსაც ინგლის-საფრანგეთის ხელისუფალთა მხარდაჭერა ამხნევებდა, მიზნად დაისახა სასახლის გადატრიალების გზით მეფის შეცვლა (ნიკოლოზ მეორის გადაყენება, ტახტზე მიხილ მეორის აყვანა) და ახალი მთავრობის შექმნა. მაგრამ ვერც ნიკოლოზ მეორემ მოასწრო თავისი გეგმის შესრულება და ვერც პროგრესულმა ბლოკმა. ვიდრე ზედაფენების ურთიერთსაინააღმდეგო შეთქმულებები რეალობად იქცეოდა, პეტროგრადში გადამწყვეტი მოვლენები განვითარდა. 1917 წლის 25 თებერვალს დედაქალაქის „მშრომელთა და პროგრესულად განწყობილი სხვა ფენების“ პოლიტიკური გაფიცვა-დემონსტრაციამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. რევოლუციის მხარეზე გადავიდა პეტროგრადის გარნიზონის 66 ათასი ჯარისკაცი. ამ ამბით თავზარდაცემული ნიკოლოზ მეორე ტახ-

ტიდან ნებაყოფლობით გადადგა. დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

1917 წლის 1 მარტს პეტროგრადის საბჭომ (რომლის თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე იყო) დაადგინა, რომ სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის ნება-სურვილზე მიენდო მთავრობის ჩამოყალიბება.

ჩამოყალიბდა რუსეთის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა, მაგრამ მან სიტუაციის სრული კონტროლი ვერ შეძლო. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებმაც შეინარჩუნეს ძალაუფლება. რამდენიმე ხნით თითქოს დაკანონდა ორხელისუფლებიანობა.

ზედაფენები მხოლოდ მთავრობას აღიარებდნენ, ქვედაფენები ძირითადად საბჭოებს უჭერდნენ მხარს.

1917 წლის ნოემბერი.

1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკურმა პარტიამ ფართო აგიტაცია-პროპაგანდა გააჩაღა სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის მოწვევისათვის, რადგან მხოლოდ მშრომელი რუსეთის ამ წარმომადგენლობით კრებას შეეძლო, მისი აზრით, გამოეცხადებინა და დაეკანონებინა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის გარეკვა, მთელი ძალაუფლების მუშათა საბჭოების ხელში გადასვლა. რუსეთის იმპერიაში წარმოიქმნა მზარდი სასურსათო კრიზისი და ხალხის ცხოვრების დონის დაქვეითება ბოლშევიკების ნისქვილზე ასხამდა წყალს, მუშებმა დაიწყეს ბურჟუაზიის დატყვეობა, წარმოებისა და განაწილების სფეროში აქტიური ჩარევა, მუშური კონტროლის ორგანოების შექმნა, მაგრამ ლენინს ესეც არ მიაჩნდა საკმარისად.

მისი აზრით, აუცილებელი იყო ბანკების, სინდიკატების და სხვა მონოპოლისტურ გაერთიანებათა ნაციონალიზაცია, მსხვილ მემამულეთა ექსპროპრიაცია და მიწის გლეხთა რევოლუციური კომიტეტების განკარგულებაში გადაცემა. ბოლშევიკების ლიდერები არწმუნებდნენ „მშრომელ მასას“, რომ მისი ინტერესები მოითხოვდა „...სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას.“

1917 წლის ოქტომბრის ბოლოს რუსეთის სოციალურ ძალთა და პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგობა სამოქალაქო ომში გადაიზარდა... მრავალპარტიული დემოკრატიისაგან გამოთიშულმა ბოლშევიკებმა დაამხეს დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა და უკანონოდ დაეუფლნენ ხელისუფლებას. პეტროგრადში ბოლშევიკური გადატრიალება განხორციელდა. სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა დროებითი მთავრობა დამხობილად გამოაცხადა. ხელისუფლება ხელში აიღო მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ. 1917 წლის 25 ოქტომბერს ბოლშევიკური გადატრიალება რუსეთის იმპერიის თითქმის ყველა პოლიტიკურმა ძალამ და დასავლეთის სახელმწიფოების უმრავლესობამ ძალაუფლების უზურპაციად და კანონსაინააღმდეგო ქმედებად შეაფასა, ხოლო მოგვიანებით, ვლადიმერ ლენინის მითითებით, 1918 წლის 5 იანვარს დამ-

ფუძნებელი კრების უფლებამოსილების ძალით შეჩერება რუსეთის ყველა პოლიტიკურმა ძალამ (მემარჯვენეებმაც და მემარცხენეებმაც) ბოლშევიზმი კანონგარეშედ (ბოლშევიკური პარტიის მთავრობა თვითმარქვიად) გამოაცხადა - პოლიტიკური რეჟიმის არალეგიტიმურობის გამო. ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების უზურპაციას და მათ მიერ გაჩაღებულ სამოქალაქო ომს დღეს უარყოფითად აფასებს (რადგან საბჭოთა რუსეთი დე-იურედ არ იყო ცნობილი) მსოფლიოს ცივილიზებული სამყარო, დასავლეთის ქვეყნების მსოფლიო საერთაშორისო თანამეგობრობა, მსოფლიოს ყველა კეთილი ნების

(არატოტალიტარულად მოაზროვნე) ადამიანი.

ვლადიმერ ულიანოვ-ლენინის მიერ შექმნილმა სახალხო კომისართა საბჭომ, ნითელი ბოლშევიკური ტერორის მეშვეობით, ორიოდ თვეში თავისი უგვანი ძალაუფლება რუსეთის დიდ ნაწილზე გაავრცელა. პეტროგრადში გამართულმა საბჭოების მეორე ყრილობამ, რომელზეც უმრავლესობას ბოლშევიკები და მემარცხენე ესერები წარმოდგენდნენ, შექმნა ახალი მთავრობა - სახალხო კომისართა საბჭო. საბჭოს შემადგენლობა: ვლადიმერ ულიანოვ-ლენინი - თავმჯდომარე; ალექსი რიკოვი - შინაგან საქმეთა კომისარი; ლევ ტროცკი - საგარეო საქმეთა კომისარი;

იოსებ ჯულაშვილი (სტალინი) - ეროვნებათა საქმეების კომისარი; ვლადიმერ მილიუტინი - მონათმოქმედების კომისარი;

ალექსანდრე შლიაპნიკოვი - შრომის კომისარი; ვიქტორ ნოგინი - ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეთა კომისარი;

ანატოლი ლუნაჩარსკი - სახალხო განათლების კომისარი; ივან სკვორცოვ-სტეპანოვი - ფინანსთა კომისარი; გიორგი ოპოკოვი - იუსტიციის კომისარი; ივან ტეოდოროვიჩი - სასურსათო საქმეთა კომისარი; ნიკოლაი გლებოვ-ავილოვი - ფოსტა-ტელეგრაფის კომისარი; სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარიატი;

ვლადიმერ ანტონოვ-ოვსეენკო, ნიკოლაი კრილენკო და პავლე დიბენკო.

„რუსეთმა ვერ შეძლო შერიგება მთავრობასა და საზოგადოებრივ ძალებს შორის, მტრობა, მრისხანება და ქვეყნის განსაცდელი შინაგან მთლიანობას დამრღვევ ძალად გადაიქცა. თითოეულს ცალკე სურს მტრის დაძლევა, რომ აქტივი შემდეგში თავის

გავლენისა და ბატონობის იარაღად გაიხადოს...

იმის ნაცვლად, რომ ორივე მხარე დათმობის გზას დადგომოდა და შეერთებულის ძალ-ღონით ცდილიყო რუსეთის მტრის დამარცხებას, მთავრობა და საზოგადოებრივი ძალები ერთმანეთს ებრძვიან. ეს ბრძოლა, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მწვავედება.

მილიუკოვის პირით რუსეთის საზოგადოებამ რუსეთის მთავრობას აშკარად საშინელი ბრალდებანი წაუყენა და გადაჭრით მოითხოვა, რომ მთავრობა გამოჰყოლოდა საზოგადოებას და თავის

მოქმედებაში საზოგადოებრივ ძალებს დაყრდნობოდა.“ - წერდა 1917 წელს იმჟამინდელი პრესა.

ახლა ჩვენს განსახილველ საკითხს დავუბრუნდეთ:

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ 1917 წლის დეკემბრიდან ბოლშევიკებმა გაახშირეს ეკლესიის შენობათა, ტაძართა, მონასტერთა ხელში ჩაგდება.

1918 წლის იანვარში მოხდა სინოდის ტიპოგრაფიის კონფისკაცია; 13 იანვარს გამოიტანეს დადგენილება ალექსანდრე ნეველის ლავრის კონფისკაციის შესახებ. 19 იანვარს ნითელარმიელთა რაზმი თავს დაესხა ლავრას, მოხუცებული დეკანოზი პეტრე სკიპეტროვი, რომელმაც ნითელარმიელებს მოუწოდა, არ წაეზილნათ სინმინდეები, მოკლეს, ხოლო

პეტროგრადის მიტროპოლიტი ბენიამინი და მისი მოადგილე ეპისკოპოსი პროკოფი დააპატიმრეს. ამის საპასუხოდ იმავე დღეს 1918 წლის 19 იანვარს პატრიარქმა ტიხონმა გამოაქვეყნა თავისი ცნობილი ეპისტოლე ბოლშევიკური ხელისუფლების ანათემაზე გადაცემის შესახებ და მოუწოდა მორწმუნეებს, წინ აღდგომოდნენ ბოლშევიკების თავდასხმებს ტაძრებზე და მღვდელმსახურთა მკვლელობებს.

პატრიარქ ტიხონის ეპისტოლე მონონებულ იქნა საადგილმამულო საეკლესიო კრებაზე 1918 წლის 20 იანვარს. კრებამ შეიმუშავა ღონისძიებები ხელისუფლების მოქმედების წინააღმდეგ და ეკლესიის დასაცავად.

რუსეთის საზოგადოებრივ ცნობიერებაში თანდათან დამკვიდრდა შეხედულება, რომ ანათემაზე გადაცემული იყვნენ ბოლშევიკები, თუმცა ეს პირდაპირ არ იყო ნათქვამი. პატრიარქი გმობდა იმით, ვინც ილაშქრებდა ქრისტეს ჭეშმარიტების წინააღმდეგ აშკარად თუ ფარულად, რომლებიც ქრისტიანული საქმეების დათრგუნვას ცდილობდნენ, და ქრისტიანული სიყვარულის ნაცვლად ბოროტებას, სიძულვილს და ძმათამკვლელ ომს ინვედნენ; რომლებმაც დაივიწყეს და დაარღვიეს ქრისტეს მცნებანი მოყვასის სიყვარულის შესახებ.

ადრესატი უფრო ნათლად ჩანს სახალხო კომისართა საბჭოსადმი მიმართვაში 1918 წლის 13 (26) ოქტომბერს:

„რომელმან ალილოს მახვილი, მახვილითვე წარწყმდეს! (მათ. 26—52).

მაცხოვრის ამ ქადაგებით მოგმართავთ თქვენ, ჩვენი სამშობლოს ბედის დღევანდელ განმგებლებს, რომლებიც თავს „სახალხო“ კომისარებს უწოდებთ. მთელი წელია, რაც თქვენს ხელშია ხელისუფლება და ოქტომბრის რევოლუციის ზეიმისათვის ემზადებით, მაგრამ შეუბრალებლად დახოცილი ჩვენი თანამოძმეების დაღვრილი სისხლი ზეცა შეჰლადებს და ჩვენ გვაიძულებს, მწარე სიმართლე გითხრათ.

დასასრული შემდეგ ნომერში

ჯემალ ქირიას ხსოვნას

მარსიანი

ჩვენი ჯემალი

აღარა გვყავს ჩვენი ჯემალ ქირია- დიდებული მწერალი და დიდებული პიროვნება. რვა ათეული წელი ალბათ ცოტა არ არის, მაგრამ ჩვენთვის, ჯემალის მეგობრებისთვის, ვერაფერი ნუგეშია, რომ მან ამდენი იცოცხლა და ნაადრევად არ დაუტოვებია ეს სანუთრო. როცა ადამიანი გიყვარს, ძნელია გონების ხმას დაუჯერო და გული არ ჩაგწყდეს მისი ამქვეყნიდან წასვლის გამო...

ჯემალი ძალიან საყვარელი ადამიანი იყო- უბოროტო, თავმდაბალი, ამბიციურობას მოკლებული, ჩინებული მოსაუბრე; ინტელიგენტობა და კეთილშობილება, როგორც იტყვიან, სახეზე ეწერა. მისი მშვიდი, მკაფიო, მაგრამ რბილი ხმის კილო შესანიშნავ განწყობას გიქმნიდა- ენაწელიანი იყო, ყოველთვის რალაც საინტერესოს, მნიშვნელოვანს ეხებოდა მისი საუბარი და არასოდეს მოსაბეზრებელი არ ხდებოდა, მრავალთა სიტყვაუხვობისგან განსხვავებით.

ჯემალი ქუთაისში გავიცანი. იმხანად ჟურნალ "განთიადში" ვმუშაობდი. უკვე ნაკითხული მქონდა მისი მითოლოგიური რომანი: „მარადი მხედარი.“ ამ ნაწარმოებში სატანას გუჯმახანი ჰქვია სახელად. იგი მგელზე ამხედრებული დაჰქრის ტყე-ღრესა თუ სოფელში და ადამინებს თავისი ბოროტი ზეგავლენის ქვეშ აქცევს. რომანში არის ასეთი სცენა: გუჯმახანი და მისი მგელი ვახშობენ. გუჯმახანი ყანწს გადაწოდებს მგელს და ეუბნება: „გეშვი, ღვინი, ქუდმახვამი, სახელ ბჯოხო გუჯმახანი,“ რაც ქართულად ასე ითარგმნება: „შესვი, ღვინო, გადმომილოცე, სახელად მქვია გუჯმახანი“ (ეს სიტყვები ერთ-ერთი მეგრული სიმღერიდან არის აღებული). ამოვიჩემე ეს ფრაზა და საგანგებოდ ბურდლუნა კილოთი ხშირად ვიმეორებდი ჩემს მეგობარ რამაზ ბერეკაშვილთან ერთად; მასაც მოეწონა ეს იუმორისტული ბურდლუნი და დაიხსომა. და ერთხელ, ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ლამაზად თმაშექალარავებული სიმპატიური კაცი და ჩვენმა უფროსმა მეგობრებმა (ჟურნალის თანამშრომლებმა) ავთანდილ ყურაშვილმა და ზაალ ებანოიძემ გაგვაცნეს იგი-მწერალი ჯემალ ქირია გახლავთო. რამაზმა ხელი ჩამოართვა ჯემალს და ნაუბურდლუნა: „გეშვი, ღვინი, ქუდმახვამი, სახელ ბჯოხო გუჯმახანი“. გულლიად გაიღიმა ჯემალმა და თქვა: „ამით ეს კაცი მეუბნება, შენი რომანი ნაკითხული მაქვსო!“

იმ ხანებში ჯემალი დანიშნეს ზუგდიდში მწერალთა კავშირის მდივნად და ხანდახან, თბილისისაკენ მიმავალი შემოგვივილიდა ხოლმე

რედაქციაში. სვიათაშორის, იმხანად „განთიადში“ ჩემი რომანი „ანამაისი“ დაიბეჭდა. ჯემალმა ჟურნალში მთელი წლის მანძილზე დაბეჭდილი პროზის მიმოხილვა გააკეთა და ჩემს რომანს კარგი შეფასება მისცა. ხშირად ვერ ვნახულობდით ერთმანეთს, მაგრამ მაინც სწრაფად დავახლოვდით. შემდეგ წლები გავიდა, უკვე ოცამეერთე საუკუნის პირველ წლებში ნაირა გელაშვილთან, „კავკასიურ სახლში“ დავიწყე მუშაობა ჟურნალ „ალტერნატივის“ რედაქტორის მოადგილედ. ხელფასი მცირე იყო და მიჭირდა. ნაირას ინიციატივით ინტერნეტში დაიდო ინფორმაცია ჩემი პრობლემების შესახებ. მაინცდამაინც არავის გამოუდგია თავი, რომ სერიოზულად დამხმარებოდა. მაგრამ მოულოდნელად ამერიკიდან ასი დოლარი მოვიდა ჩემს სახელზე: თურმე ჯემალი იმხანად ამერიკაში იმყოფებოდა, გაიგო, რომ მიჭირდა და რაც შეეძლო, დამეხმარა. ხოლო ამერიკიდან როცა დაბრუნდა, ჩვენი მეგობრობა განახლდა და ჯემალი ცოტადენ დახმარებას მიწევდა, თან მეუბნებოდა: „კაცს რომ უჭირს, თევზი კი არა, ანკესი უნდა მისცე, რომ თვითონ შეძლოს თევზის დაჭერა, მაგრამ რა გიყო, მე ეს ანკესი არ მაქვსო“. შემდეგ ერთხანს ვაზისუბანში, თავის ბინაშიც მაცხოვრა (თვითონ ქალაქში გადმოსახლდა). ბოლო ხანებში ავადმყოფობდა და ვცდილობდი, აღარ შემეწუხებინა. შემდეგ კი მე სერიოზულად გავხდი ავად და წელიწადნახევარი ჩემს დასთან, ლეჩხუმში ვცხოვრობდი. და ამ დღეებში, უკვე თბილისში ჩამოსულმა ოპერაცია გავიკეთე. იკა ქადაგიძემ ტელეფონით შემატყობინა ჯემალის გარდაცვალება. ჩემი ფიზიკური მდგომარეობის გამო უკანასკნელ გზაზე ვეღარ ვაცილებ ჯემალს...

ჯემალ ქირია დიდი მწერალი გახლდათ და თითქოს გასაკვირია, რომ მისი ტალანტი ქართულმა კრიტიკამ ვერ შეამჩნია. რა თქმა უნდა, მეგობარმა მწერლებმა იცოდნენ მისი შემოქმედების ფასი, მაგრამ ჩვენს კლანურ საზოგადოებაში ეს არ კმარა: მხოლოდ ავტორიტეტული შემფასებლის ძალისხმევით შეიძლება მწერალი ფართოდ ცნობილი გახდეს. მე და იკა შეძლებისდაგვარად ვცდილობდით მისი შემოქმედების პოპულარიზებას, მაგრამ სასურველი შედეგი ვერჯერობით არ ჩანს. არა უშავს, დიდ ლიტერატურას არსად ეჩქარება, დღეს თუ არა, ხვალ-ზეგ მაინც დამკვიდრდება ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებაში აზრი, რომ ჯემალ ქირია ერთ-ერთი საუკეთესოა ქართველ რომანისტთა შორის...

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს, ჩემო ჯემალ!

20.10.2020.

იკა ქალაგიკა

„მარადი მხედრის“ ნოსტალგია

არსებობენ მწერლები, რომელთა ყალბ ნიჭიერებასა და დაუმსახურებელ აღზევებას დრო მიწასთან ასწორებს და არიან მწერლები, მასკულტურის რადიაციული ფონის საპირწონედ თავისთავადი ხელწერითა და ღრმაშინაარსიანი აზროვნებით რომ გამოირჩევიან, თუმცა კლანური ცრურწმენის გამოისობით მათი ჯეროვანი აღიარება-შეფასება გაუმართლებლად ფერხდება....

უფროსთაობელ თანამოკალმეთაგან ჯემალ ქირია სწორედაც ამ უჩვეულო დისტანცირებითა და არაკლანური მიდრეკილებით თვალშისაცემად გამოირჩეოდა, რაც მის მნიშვნელოვან რომანში“ მე როსინანტი“ ძალზე მასშტაბურად და კეთილსინდისიერადაა გადმოცემული. ვისაც სამწერლო ცხოვრების მრავალპლანიანი და რაც მთავარია, გაუყალბებელი სურათის აღქმა სწყურია, ჯემალ ქირიას ზემოთდასახელებულ ნაწარმოებს გვერდს ვერ აუვლის. ბობოქარი ბიოგრაფიის მქონე დაუდგრომელი და შესაშურად გონებაგამჭრიახი ბიჭის მძაფრი თავგადასავლების წყება, ძალაუნებურად ჰეკლბერი ფინის სახიფათო ცხოვრებასთან რომ ასოცირდება, მაძიებელი სულისკვეთებით გამორჩეულ მწერალს უჩვეულო გადაწყვეტილებების მისაღებად უბიძგებდა. ის არც ნიჭით, სტილითა და ცხოვრების წესით ჰგავდა „ჩალიჩა“ თანამოკალმეებს, რომლებიც უდიდეს ენერჯიას პირადი კეთილდღეობის, პრემიების მოხვეჭის აზარტსა და გავლენის მოპოვებას უწყვეტად ახმარდნენ. ამიტომ წარმატებული სტარტის მიუხედავად (იგი თავის დროზე „ცისკარსა“ და სხვა სერიოზულ ჟურნალებში იბეჭდებოდა) მარიფათიანი კოლეგების გვერდით გამორჩეული შემოქმედი დიდხანს ჩრდილში მოექცა. რომ არა მისი ამერიკული ოდისეა, სადაც სრულიად სხვა ტიპის მწერლურ სპეციფიკას გემო გაუგო და საკუთარი ხარჯით თერთმეტტომეული გამოსცა, რაც თანამედროვე პროზის სერიოზული შენაძენია, ესოდენ სოლიდურ მწერალს ვინძლო როდის გაიხსენებდნენ. აკი ხშირად უბოროტოდ ხუმრობდა, ამდენი კავშირისა და კლანის გადამკიდვე ცოცხლად დამარხულს ვგავარ, საუკუნეა არსად დავბეჭდილვარ და რადგან მლიქვნელობა არ მომდგამს და რედაქციებს კარს არ ვუტალახებ, არც არავის



ვაცოდებ ან ვაბეზრებ თავს, მხოლოდ ასაკოვან და წესიერ მკითხველებს თუ მოვაგონდებიო...

საუკუნის რა მოგხსენოთ, მე ბ-ნი ჯემალი პირადად ათი წლის წინ ჩვენმა ელვარე ტალანტმა, მარსიანმა გამაცნო, რომელიც მეგობარი მწერლის თერთმეტტომეულის ვრცელი, მაღალპროფესიული რეცენზიის ავტორი და მისი შემოქმედების საიმედო მხარდამჭერია. მარსიანის წინასიტყვაობა ნამდვილი გზამკვლევაა ჯემალ ქირიას ფასეული ნააზრების მასშტაბურობის ასაღსაქმელად და გასააზრებლად. მახსოვს როდესაც მისი ერთ-ერთი პირველი რომანი: „მარადი მხედარი“ წავიკითხე, (მარსიანი მას ერთ-ერთ საუკეთესო მითოლოგიურ რომანად სავსებით სამართლიანად ასახელებს), აღშფოთებულს აღმომხდა: - ასეთი ხალასი, მაღალი დონის მწერალი სამწერლო სივრციდან როგორ გამოტოვებს? საუბედუროდ, ლიტერატურული ჯუნგლების შერჩევითი გარემო ამგვარ კაზუსს ხშირად უშვებს და წლები და დიდი ძალისხმევაა საჭირო, ყველა ღირსეულ მწერალს დროთა განმავლობაში კუთვნილი პატივი მიაგო, რასაც სამწუხაროდ გავლენიანი კლანების მხრიდან მუდამ წინააღმდეგობივი რეაქცია ახლავს თან. ნომენკლატურის ნებინერ „კლასიკოსებს“ ნამდვილი მწერალი მუდამ თვალში ეჩხირებათ. ჯემალ ქირიას ვრცელი და მნიშვნელოვანი შემოქმედება, მათ სუროგატულ პროდუქციას რომ ააშკარავებდა, გვერდზე ამიტომ გასწიეს და სარედაქციო კარი პრაქტიკულად ჩაურაზეს. იმჟამად საპტორიარქოს რადიო“ივერიის“ ეთერით საავტორო ლიტერატურულ გადაცემებს ვუძღვებოდი. ჯემალ ქირიას სერიოზული შემოქმედების გაცნობისთანავე ავტორი სტუდიაში მოვიწვიე; ფრიად კოლორიტულ მოსაუბრეს მადლიერების გასაოცარ

უნარი აღმოაჩნდა, რაც მისი მხრიდან კეთილგანწყობილი კოლეგიალური ქმედებით არაერთგზის გამოვლინდა. ჯემალ ქირიამ ჩემი გახმაურებული კრიტიკულ-პუბლიცისტური წიგნები გულდასმით წაიკითხა, უმაღლესდ შეაფასა და 2010 წელს ქართული მწერლობის ჟანა დარკი საჯაროდ მიწოდა, რაც სამწერლო სივრცემ უმაღლეს აიტაცა. მაღალი იდეალებისკენ სწრაფვა მარადი მხედრის მსოფლალქმად ამიტომ დომინირებს, რაც აგრეთვე სხვა რომანებისა და მოთხრობების უცვლელი ქვაკუთხედეა. ამდენად, რომანტიკული სისუფთავე, რაც ფეხის ხმასა და უბამს მასკულტურას ბრმად ადევნებულ მის კოლეგებს დიდად არ ეჭაშნიკებოდათ, (ერთხელ უსაყვედურეს კიდეც, მსუყე ეროტიკას რატომ არ სწყალობდა!) მისი სტილია; ცალკე აღსანიშნავია ბ-ნი ჯემალის ღრმაშინაარსიანი და უაღრესად საყურადღებო, სქელტანიანი პუბლიცისტურ-კრიტიკული წიგნი, რომელშიც საჭირობოროტო სატკივარი სათანადოდაა გააზრებული და მწერლის მართებულ პოზიციაზე ნათლად მიუთითებს. ზოგადად როდესაც ჯემალ ქირიას პროზას კითხულობ, ხვდები, მწერალი ძირითად დროს თავისი ნამუშევრების დახვეწას ახმარდა, რაც უდაო პროფესიონალიზმის მაჩვენებელია. აქვე არ შემოძლია არ გავიხსენო მისი სიკეთე და გულისხმიერება მარსიანისადმი, რომელსაც არაერთხელ მატერიალურად დახმარებია; სანამ ავადმყოფობა გაუმძაფრდებოდა, (სახსრების ძლიერი ტკივილის გამო ბოლო დროს ხელჯოხით დაიარებოდა) მას კავკასიურ სახლში ხშირად აკითხავდა და ჩვენ შორის გამართულ ღრმაშინაარსიან ლიტერატურულ დიალოგებს ბოლო არ უჩანდა, რაც ძალზე სასიამოვნოდ მაგონდება. 2017 წელს, ჩვენთვის გარდამტეხი რომ გამოდგა, ვინაიდან ყველაზე მეტძოლი ჟურნალის გამოცემის იდეა აქ გაჟღერდა და საბედნიეროდ სწრაფად განხორციელდა, ბ-ნი ჯემალი ჯერ იყო და მირზა გელოვანის საიუბილეო საღამოს მომზადების წინ გამართულ შინაურულ შეკრებაზე შემოგვესწრო, სადაც მარსიანმა ოქრო ბიჭის გრაფიკული პორტრეტი დაგვახვედრა; ამ დროს „ისინდზე“ რომ ჩამოვარდა სიტყვა, ჩემი პროტესტის მიუხედავად (მაშინ ვერ წარმომედგინა სხვებისგან დაუხმარებლად მწირი ფინანსების ამარა სრულფასოვანი ჟურნალი ფიზიკურად როგორ უნდა გამოგვეცა) მან გამამხნევა და დამარწმუნა ამ მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს სათავეში

ჩავდგომოდი.- ეჭვიც არ მეპარება, შენ მართალ ჟურნალს გამოსცემ და ბევრ დაჩაგრულ მწერალს ჩრდილიდან გამოიყვან, შენ, ჟანა დ, არკი ხარ ჩვენი პატრონიო. თბილი ღიმილით დასძინა. გული საშინლად მწყდება, რომ სიცოცხლეში “ისინდისთვის“ მასალის გადმოგზავნა ვერ მოახერხა, არადა, რამდენჯერმე ვთხოვე, მივწერე კიდეც, მაგრამ ბოლო დროს გაუარესებული მდგომარეობის გამო მწერალმა ჩვენამდე ვეღარ მოაღწია...

სერიოზული რომანებისა და პუბლიცისტულ-კრიტიკის ავტორმა ბავშვებისთვის შესანიშნავი ზღაპრების წიგნი (თერთმეტომეულიდან) “ქალაქის ნავი“ გამოსცა, სადაც როგორც მზრუნველი ბაბუა და პატარების დაუღალავი ქომაგი ისე წარმოჩნდა. მე თუ მკითხავთ, ამგვარ ზღაპრებს ყველა ასაკის ადამიანი დიდი საიმოვნებით დააგემოვნებს თავისი უნივერსალობიდან გამომდინარე; ეჭვიც არ მეპარება, თბილი იუმორითა და მახვილგონიერებით გაჯერებულ შინაარსიან საკითხავს სკოლებში ბავშვები ხალისით ისწავლიდნენ, როგორც ჩემი უმცროსი შვილის შემთხვევაში მოხდა. როგორც კი მას ერთი ზღაპარი წაუკითხე, წიგნი გამომართვა და ერთი კვირის შემდეგ ყველაფერი ზეპირად ჩააბულბულა. წარმოიდგინეთ მწერლის სიხარული, როდესაც ჩემმა დიანამ მას ასეთი სიურპრიზი შესთავაზა და ავტორისგან პატარა და გონიერი მზეთუნახავის ქათინაური დაიმსახურა.

გუშინ, როდესაც გულდანყვევით ვთქვი, რომ ბატონი ჯემალი გარდაიცვალა, დიანამ უმაღლვრცელი, საყვარელი ზღაპარი გაიხსენა, ათი წლის წინ სიყვარულით რომ ისწავლა და საკუთარ გულში ბინა სამარადჟამოდ მიუჩინა. ეს მოწმობს, რომ ნამდვილი ხელოვნება არასდროს ბერდება, ის დროგამძლეა. მარადიული მხედრის ამაღლებული სწრაფვა იდეალებისკენ სხვა არაფერია თუ არა მოყვასს თავი სიყვარულითა და სიკეთით დაამახსოვროს და ეს იმდენად მაღალმხატვრულად განახორციელოს, წლებმა მის ნაზრევს ვერაფერი დააკლოს.

ჯემალ ქირიამ, როგორც საუკეთესო მწერალმა დროსთან დაზავება შეძლო და თავისი ვალი ქართული მწერლობის წინაშე პირნათლად მოიხადა...

19.10.2020.

ნოზრეპან თავეალიქა

ლექსები

აბანოს ჩიხი, ძველი უბანი
 რკინის ჭიშკარი, ეზო უნაბით
 აგურის კედელს მარჯვნივ მიჰყვება
 კიბე ხვეულად აღმა მდინარი.
 აივნის ბოლოს მყუდრო კარები
 ბედის ოტებით გადაკეტილი,
 ფანჯრებს აწყდება ვაზი გრეხილი
 ორი მტევანი ხელგანვდენილი...
 მზის სითბო აღნობს დაჩრდილულ ოთახს
 გაბზარულ მინით სხივთანარეკლი,
 მიმქრალ კედლებზე მუხის საათი
 ცხრის ნახევარზე შეჩერებული.
 იქ მუდამ სუფევს განმარტობით
 ის სიმყუდროვე მიტოვებული
 თბილი სიჩუმით ხელუხლებელი...

* * *

კაიშაური, კლდის ქიმზე ლოდი
 უფსკრულს ჩასცქერის გარინდებული,
 უთვალავ წელთა გარდახდა ჟამი
 დრომ შთანთქა შიში და მოლოდინი.
 სივრცედ იღვრება დრო იდუმალი
 უფსკრულს იზიდავს ლოდი შიშველი,
 ოცნება ჩუმი ბედის მსახვრალი
 წამს წვდება შორი წარმოსახვებით...
 გადნა ოცნების უტყვი ნაკადი
 სიზმრად ხილული ნაოცნებარი
 უძრავი სივრცე რჩება ეული
 მომავლის სარკულ მკრთალი ნათებით.
 უსაზღვრო ჟამით დადნა ლოდინი
 უფსკრულეთს ვარდნა და უკუნეთი...


* * *

**ა. დიურერის
 „მელანქოლია“**

შენი თვალების უსახო სარკე
 შორი ლოდინის მუდმივი სევდით
 ბნელი უფსკრული ქვესკნელთა ექო
 მარადისობის კარიბჭის მცველი-
მელანქოლია...

* * *

მძინარე ქალაქში
 მტკვრის აღმოსავლეთით
 ცივ მინისქვეშეთში
 უხილავ ბნელეთში
 ერთმანეთს განვშორდით
 შემთხვევის განგებით
 ქვესკნელთან შეხება
 მორჩილი დუმილით
 ნესტი და სიჩუმე
 მზაკვრული შავეთი
 დახშული სიცივე
 აქ როგორ აღმოვჩნდით?



კედლებთან უძრავად
 სფერული ბნელეთი
 დრო სხეულს შერწყმული
 სიბნელით შევშინდი
 ნელ-ნელა მშორდება...
 ბნელ წარმოსახვებში
 ხილულად ნაგრძობი
 სამყარო გრძნეული
 წებოვან ბნელეთში
 ნუთუ კვლავ ვერ განახავ
 სხეული ეშვება
 უძირო ბნელეთში
 გულის ყრუ ძგერაში
 წამი წამს მოგელი
 მგონია აქვე ხარ
 რომ აღარ გამოჩნდი
 უხილავ სივრცეში
 გამქრალი იმედი
 უძრავი ფორმები
 ჩამქრალი ლანდები
 ნუთი ნუთს მიჰყვება...
 ჩუ, ხომ არ მეძახი?
 ნატრული სხეული
 სურნელით ვიგრძენი
 ანაზღად შეხებით
 შევკრთი, შენც ხომ თრთიხარ,
 ღიმილით აივსო
 ხატული ქვაბული.
 მეტროში აღმოვჩნდით
 ერთმანეთს ჩაკრული...

* * *

ხმა იდუმალი
 მიუსაფარი
 ყოველისმთქმელი
 სიტყვა ეული
 ძონის ბაგიდან

ციურ ბგერებად
მიმზიდველობად
აჟღერებული
ხმა იდუმალი.

* * *

შენა ხარ ჩემი შორი ოცნება
უჩინო ჟამი,
შენა ხარ ჩემი სითბო, სიცივე,
ყინვა და ცეცხლი...
მზე და მთვარე ხარ ჩემს მანათობლად
ჩემი უფალი,
სიხარული ხარ დაუსაზღვრავი
მუდმივი დარდი,
შენა ხარ ჩემი თვალის სინათლე
გულის ნათელი
შენა ხარ ჩემი მუდმივი სწრაფვა
მიუწვდომელი,
ჩემი ბედი ხარ ამ ქვეყანაზე
ბრმად მოვლენილი
ლალი, ზურმუხტი, მარგალიტი,
ოქროს ზარნიში...

ვისრამიანის მიხედვით

* * *

უჟმურო უჟმურისაო
დღისა ღამისა მზისაო
კლდისაო ღრისაო ზღვისაო
ქვეშეთის ჯურღმულისაო
უჟმური კარსა მოადგა
თვალეები ჰქონდა წყლისაო
კბილეები გამოაჩინა
ალმასისა და ქვისაო
ბანჯგვლით ფეხები ეფარვის
მკლავები უძვლო რქისაო
მუცელი მქისეთ ბუყბუყებს
გველბაყაყით და ქვითაო
თმებში გველები ეხვევა
კისერზე ფერფლი კრთისაო
მკერდზე არწივის ბუმბული
ძუძუებს ფარავს ფრთითაო
ხელებში ცეცხლი უნთია
კლაკნილი ძეძვის წვითაო
ალი სახემდე უწვდება
ბოლად ჩრდილები დისაო
უცხო სიტყვებით ბუყბუყებს
უ ფუ მღრუ ყუჯო ნისაო
სიჩუმით კედელს ეკრობა
ჩნდება და ქრება მყისაო
გახედე ზეცას სამხრეთით
ცისფერი ცურავს ზღვისაო
ზედ აზლუდული ხილული
პატარავდება მყისაო
ზღრუბლზე ბლის ტოტი დააგდე
გვირილის გვირგვინითაო
გაჰქრება ჩამოგშორდება
მოჩვენებაა ზმისაო.

ადგილის დედა

მისაქციელის მოსახვევთან
კლდის პირად ლელვი,
ჩვეული ჩრდილი,
თეთრ ქვასთან სახლობს ადგილის დედა,
შორით მოსული,
უცხო ასული,
გარდასახული იდუმალ ხმებად.
უნაბის ფერი,
ნამის სურნელი,
თან წამოგყვება როგორც სიზმარი,
გაურკვეველი მუდმივი სევდა - ადგილის დედა...

* * *

ზვარი განათდა მთით დაჩრდილული
უფლისციხეში მოვიდა თოვლი.
აცურდა მთვარე პირმომცინარე,
შიშველ უნაბის ჩრდილით ფარული.
ბნელით ორმხრივად გადანაქარგი,
მზისით უხილავ ფერთა სიზმარში,

ჯადოქრის სარკულ მოჩვენებებით,
ჩვენება იშვა ათასფერადი,
იისფერ სხივთა გაცრილ ზოლებად
მოსირმულ ლურჯში წყლის საფირონი,
მტკვარი ოცნების გზით გაყოლილი
მიჯრით სამსახა მსახვრულ სიჩუმით,
ზოლად მოჰყვება მდინარის ნაპირს
თბილი ხმა, ცხადი, ექო სარკული.

* * *

გარეჯი- ნაცრისფერი აქატი
გარეჯი- ქარვისფერი ქანდაკი;
მთვარის ველი შორი გზით.
ცისარტყელას ციალი,
ოცნებების სამანი,
ეს ხომ მდინარებაა,
დაქარგული მზის მანით...
ფერთა მკრთალი ნათელი,
მინის კალთა ნაკეცი,
ეს ხომ სულის სარკეა,
გამჭვირვალე სარტყელით.
ზესკნელს გული გახსნილი,
მდუმარება ეული,
ეს ხომ სიზმართკარია,
ჩუმი ზარი გრძნეული.
ეს ხომ წყალქვეშეთია,
ქვესკნელს გრძნობით ნადული,
ეს ხომ ბროლის სარკეა,
ზღვის ფსკერს თრთოლვით ჩაკრული.
ვნებათ ბადე ნატყორცნი,
გაშლილ ველზე ღიმილით,
ეს ხომ დასაწყისია,
მთვარის ველი შორი გზით...

ნოვადი ბარათია

ეროვნული მოძრაობის დღიურებიდან

შესავლის მაგიერ

რა დამავინწყებს იმ დღეს, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზვიად გამსახურდიამ გამართა პირველი მიტინგი.

მართლაც, დანიშნულ დროს, დღის 2 საათზე, პირველი კორპუსის შესასვლელ კარებთან, კიბის თავზე, ჩამწკრივდნენ: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, ირაკლი შენგელაია, ირაკლი ბათიაშვილი... მათ უკან, განცალკავებით, დადგა ნოდარ ნათაძე.

მიუხედავად იმისა, რომ წინა დღეებში ინფორმაცია იყო გავრცელებული უნივერსიტეტში მიტინგის ჩატარებასთან დაკავშირებით, ხალხის სიმრავლე არ იგრძნობოდა. მომიტინგეთა წინ, კიბებთან, რამდენიმე ათეული კაცი თუ ვიდექით. ამკარად იგრძნობოდა, რომ ბევრი თავს არიდებდა ზვიადის მიტინგზე გამოჩენას.

ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, ბევრი, უნივერსიტეტის ეზოში, თითქოს სასაიროდ გამოსული, შემთხვევით მოხვედრილიყო მიტინგზე.

ყველაფერთან ერთად, იმ მიტინგიდან, მუყაოს ხელნაკეთი მიკროფონი შემორჩა ხსოვნას, რომლითაც სიტყვით გამოსულები გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს სთხოვდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში დახმარებას. არაერთხელ გაისმა იმ მეგაფონიდან ნატო, ნატოს შტაბი და ნატოს ჯარები.


ვიფიქრე: კარგად ყოფილა ამათი საქმე, ესენი ამ მუყაოს მიკროფონით ჩემამდე, ოც მეტრში, ძლივს აწვდნენ ხმას და დედამიწის მეორე ნახევარ სფეროს როგორ მიაწვდნენ-მეთქი.

მაგრამ, სულ მოკლე ხანში, კაცი, რომელიც მუყაოს მეგაფონით, ოც მეტრში მე ვერ მანვდენდა ხმას და დედამიწას მეორე ნახევარ სფეროს სთხოვდა დახმარებას, უკვე, უზენაეს საბჭოს მიკროფონიდან ამცნობდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

სამწუხაროდ, დიდხანს არ გასტანა ერის სიხარულმა.

1990 წლის მარტში, ეროვნულ ძალებს შორის, მოხდა საბედისწერო განხეთქილება. აზრი გაიყო ორად. ერთ ნაწილს, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, აუცილებლად მიაჩნდა, არსებული საბჭოთა კავშირის კანონებით, არჩევნების ჩატარება, ხოლო მეორე ნაწილს, გიორგი ჭანტურიას თაოსნობით - საბჭოთა ჯარების გაყვანა საქართველოდან.

ზვიად გამსახურდიამ ანტიეროვნული უწოდა ამ ძალებს, გაემიჯნა მათ და დაარსა პოლიტიკური ალიანსი „მრგვალი მაგიდა - თავისუფა-



ლი საქართველო“, რომლის მთავარი მიზანი იყო ჯერ დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება, შემდეგ კი, ამ რეფერენდუმზე დაყრდნობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის მიღება.

1990 წლის ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში „მრგვალი მაგიდა- თავისუფალი საქართველო“ ალიანსში არ შევიდა „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“. მისმა ლიდერმა გიორგი ჭანტურია ცალკე ჩამოაყალიბა „ეროვნული კონგრესი“ და ისე მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, რომელის შედეგებიც, „მრგვალი მაგიდის“ შედეგებთან შედარებით, სრულიად უსახური აღმოჩნდა.

გამსახურდიას პრეზიდენტად მოსვლის მერე კი ჭანტურიას ლოზუნგად იქცა გამსახურდიას გადადგომა.

სამწუხაროდ, ამ ლოზუნგს, თანდათან, შეუერთდა ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილი, რაც 1991-92 წლების სამხედრო გადატრიალებითა და 1993 წელს ზვიად გამსახურდიას ფიზიკური განადგურებით დამთავრდა.

გახედვა არ შემეძლო იმ რვეულებისკენ, სადაც ეს ჩანაწერები მეგულებოდა, მაგრამ ვძლივ საკუთარ თავს და გამოვიტანე სამზოვზე.

12. 11. 1988.

დიდი მიტინგი მოეწყო თბილისში. ხალხის ტალღა უნივერსიტეტიდან შიპოდრომისკენ დაიძრა, ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, სადაც მან დემაგოგები უწოდა მათ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს არ შეეძლო ეკონომიკური დამოუკიდებლობა. მოითხოვა ხუდონჰესის მშენებლო-

ბის შეჩერება. ასევე მოითხოვა აღმოსავლეთიდან მონოლილი - აზერბაიჯანული საკითხის გადაწყვეტა და მოლაპატრებად გამოეცხადებინათ მარნეულის, ბოლნისის, ყვარლის... ის ხელისუფალნი, რომლებმაც გაყიდეს ქართული მიწები. გაეკიცხათ ის ქართული ოჯახები, რომლებიც რუსულ სკოლებში ასწავლიან თავიანთ შვილებს.

თუ ერთ საათში არ მოვა ჩვენთან მთავრობის წარმომადგენელი, ჩვენ მივალთო მათთან.

15. 11. 1988.

10 ნოემბერს ჩატარდა მწერალთა კავშირის არჩევნები. ეს იყო პირველი შემთხვევა წამდვილი არჩევნების ჩატარებისა.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობაზე კენჭს იყრიდნენ: მუხრან მაჭავარიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო მიშველაძე და არჩილ სულაკაური. ყველაზე მეტი ხმა მოაგროვა მუხრანმა.

მწერალთა კავშირის მდივნებად გავიდნენ: ხუტა ბერულავა, გურამ ფანჯიკიძე და ენვერ ნიჟარაძე. ყველაზე მეტი ხმა გურამმა მიიღო.

არჩევნების შემდეგ შეიქმნა ეროვნული თუ სახალხო ფრონტის საინიციატივო ჯგუფი. შიშობდნენ ე რ ო ვ ნ უ ლ მ ა ხელი არ შეგვიშალოსო მოქმედებაში.

ვილაცამ დარბაზიდან წამოიძახა: მთავრობიდანაც შევიყვანოთო ვინმე საინიციატივო ჯგუფში.

დასახელებული იქნა ნუგზარ ფოფხაძის კანდიდატურა, რასაც დათანხმდა ყველა, მაგრამ დარბაზიდან გაისმა ვილაცის ხმა: მთავრობა თუ ჩვენთან იქნება ვის ვებრძოლოთო.

24. 11. 1988.

11 საათამდე მივედით მთავრობის სახლთან, მე და მეზობელი, რუსთაველის თეატრის მსახიობი, სოსო აბრამიშვილი. მიკროფონი ვერ მოიტანეს 1 საათამდე. გაიმართა მიტინგი. იყო ზღვა ხალხი.

დეპუტატები და ოფიციალური პირები არ გამოჩნდნენ. სიტყვით გამოვიდნენ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა“ და „IV დასის“ წარმომადგენლები. ეს იყო არნახული მიტინგი. ყველა გამომსვლელი ულოცავდა ხალხს ეროვნული შეგნების გამოღვიძებას.

- საბჭოთა იმპერია უნდა დაემხოს! - ასე დაასრულა თავისი გამოსვლა მერაბ კოსტავამ. ასეთი რამ პირველად მოვისმინე საჯაროდ.

ზვიადმა ხაზგასმით განაცხადა:

ჩვენ არ ვებრძვით სხვა ერის წარმომადგენლებს, ჩვენ არ ვებრძვით რუსებს, არამედ ვებრძვით რუსეთის იმპერიასო.

გუშინ უნივერსიტეტში, დიდი შეხვედრა რომ მიმდინარეობდა ინტელიგენციასა და ახალგაზრდობას შორის, მაშინ მთავრობის სახლიდან რესპუბლიკის დროშა ჩამოუგლეჯია ვილაცას, თან გაჰყვიროდა თურმე:

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოსო! ვერავინ გაიგი ვინ იყო იგი, ან როგორ მოიმოქმედა ეს, ასობით მილიციონერის თვალწინ.

ზვიად გამსახურდიამ ეს მოქმედება პროვოკაციად ჩათვალა და დასძინა: უარესიც მოხდება, მთავარია, ჩვენ ვიყოთ ფიზიკადო.

- სად არიან მწერლები? - წამოიძახა ვილაცამ ზღვა ხალხიდან.

- მწერლები მთანმინდაზე განისვენებენ, ჩვენ მწერლები არ გვყავს, მაგრამ არიან ახალგაზრდა მწერლები: ბადრი გუგუშვილი, შუკო ჯიქია, შერმადინ ქალდანი, რომლებიც ჩვენთან შიმშილობენო! - გასცა პასუხი მას მიტინგის წამყვანმა თემურ ქორიძემ.

შემდეგ ბადრი გუგუშვილი გამოვიდა სიტყვით და მწერლებზე დაიწყო საუბარი. კარგად არ ისმოდა ხმა, რაც კი გავიგე, მათზე კარგი არაფერი უთქვამს.

წაიკითხეს დეპუტები მოსული ამერიკიდან, საფრანგეთიდან... საიდანაც ულოცავდნენ ქართველ ერს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირველი ყრილობის გახსნას, რომელიც დღეს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ შიმშილობის გამოცხადებამ შეუშალა ხელი.

მიტინგს უერთდებოდნენ სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსული გულანთებული ქართველები, რომლებსაც ტაშის გრიალით ხვდებოდა ხალხი.

მიტინგი დამთავრდა თუ არა, მწერალთა კავშირში წავედი, მსურდა გამეგო, ამ მძიმე ნუთებში, რას აპირებდნენ მწერლები. იქ ხუტა ბერულავა, ენვერ ნიჟარაძე და რეზო დანელია დამხვდნენ. გავიგე, რომ მწერლები არაფერს არ აპირებდნენ.

დავბრუნდი სახლში, მაგრამ დიდხანს ვერ გავჩერდი შინ და ჩემს მეზობელ ემზარ მოროშიასთან ერთად, ისევ დავბრუნდი მიტინგზე. ღამის 12 საათი იყო, მოშიმშილეთა რიცხვი შვიდასამდე გაზრდილიყო. მოსწავლეებსაც გაეშალათ კარები. ამ სიცივეში საბნებში გახვეულიყვნენ, ზოგიც ადგილს ეძებდა ჩასანოლად. ყველგან სანთლები ენთო. არაჩვეულებივი სანახავი იყო ყველაფერი. მიტინგზე ითქვა, რომ ამ სახის შიმშილობა უპრეცედენტოა არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიო მასშტაბითო.

28. 11. 1988

მდგომარეობა უკიდურესად იძაბება. რადიო და ტელევიზია მოუწოდებს ყველას, რომ შეწყვიტონ შიმშილობა და დემონსტრაციები და დაიშალონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი სიმკაცრით მიღებული იქნება ზომები საზოგადოებრივი წერსრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ.

გუშინ მოშიმშილეებს სოლიდარობა გამოუცხადეს თბილისელმა სომხებმა და ქურთებმა.

წუხელ ტელევიზიით აჩვენეს 26 ნოემბრის სესიის ვიდეო ჩანაწერი. ესტონეთის მოთხოვნები დაიგმო.

დემონსტრანტებს შორის დადის თურმე შავებში ჩაცმული რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებიც თვითმკვლევლობით იმუქრებიან.

გუშინ ზვიადმა მიმართა მოშიმშილე გოგონებს, შეწყვიტონ შიმშილი, მაგრამ უშედეგოდ.

ტელევიზიით გამოდის ილია II:

ქრისტეს მიერ საყვარელნი დანო და ძმანო, თქვენ პირნათლად მოიხადეთ ვალი ერის წინაშე. ახლა თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. თქვენისთანა შვილები სამშობლოს სჭირდება, მოგმართავთ, შეწყვიტოთ შიმშილი დღესვე (მეშვიდე დღეა).

ჩვენ ამ დღეებში ეკლესიებში ვასრულებთ ლოცვებს თქვენი დღეგრძელობისა და საქართველოს მშვიდობისთვის. იმედია, შეისმენთ ჩვენს თხოვნას. ჩვენთან არს ღმერთი!

მომიტინგეებს ემატებიან რაიონებიდან და სხვადასხვა ქალაქებიდან. დღის მეორე ნახევარში ფსიქოზური მდგომარეობა შეიქმნა. რადიო და ტელევიზია კვლავ მოუწოდებს შეწყვიტონ შიმშილობა, ვერ გავიგე, რატომ, როცა დათქმულ დრომდე ერთი დღე დარჩა.

ღამის 11 საათზე გაიმართა მიტინგი. დათო ტურაშვილმა თქვა:

ჩვენ არ ვაპირებდით ამაღამ მიტინგის გამართვას, მაგრამ იძულებული გავხდით. ახლა ჩატარდა კინოს სახლში სახალხო ფრონტის სხდომა და იქიდან მოვლენ აქ ნიანგის ცრემლების საღვრელად. რატომ მაინცდამაინც ახლა გავახსენდით, სად იყვენ აქამდე. ახლა შეაწუხა სინდისმა, უნდა გამოისყიდონ დანაშაული ერის წინაშე. ისინი მოგვიწოდებენ შევწყვიტოთ შიმშილობა, ისევ მონურად ვიყოთ მორჩილნი და ის, რაც მოვუპოვეთ, დავკარგოთ.

მოშიმშილეთა რიცხვი შვიდასამდეა. 124 მოშიმშილე საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გაავრცელეს ინფორმაცია, რომ 13 ტანკი მოდიოდა ჩვენკენ, მაგრამ მანქანებით გზა გადაუკეციათ.

29. 11. 1988.

11 საათზე იყო დანიშნული მიტინგი. უამრავი ხალხი მოვიდა. ლენინის მოედნიდან რუსთაველის თეატრამდე გადავსებული იყო პროსპექტი. მიკროფონი არ ჰქონდათ, მეგაფონის ხმა კი ვერ სწვდებოდა შორს. ირინა სარიშვილის გამოსვლიდან: არც ერთხელ არ მოსულა ჩვენთან მთავრობიდან ვინმე, თუ ისინი არ სცნობენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, ჩვენც არ ვცნობთო მას.

წინ მიდევს ბოლო ორი დღის პრესა. ყოველი სტრიქონი მოსალოდნელი სამინელების მაუწყებელია. ყველა ავტორი მოუწოდებს ახალგაზრდობას სიმშვიდისა და გონიერულობისკენ. მოკლედ რომ ვთქვათ, მოუწოდებენ, შეწყვიტონ შიმშილობა.

ნოდარ ლომოურმა ტელეკრანიდან მოითხოვა ახალგაზრდების გზიდან ამცდენთა დასჯა, მაგრამ ყველაფერს წერტილი დაუსვა გორბაჩოვის მიმართვამ, რომელმაც სიყვარული გამოუცხადა ქართველ ახალგაზრდობას.

აკაკი ბაქრაძემ ზომიერებისკენ მოუწოდა ახალგაზრდებს, ეშინია, რომ არ განმეორდეს 1956 წელი. იგი მომხრეა შიმშილობის შეწყვეტისა.

წუხელ, ღამის სამ საათზე, ანჩისხატის ეკლესიას, მგალობელ ქალთა გუნდი, ღვთისმშობლის ხატით და ღვთისმშობლის საგალობლით, უვლიდა ირგვლივ.

საგანგებოდ გამოყოფილი პირები ღამისმთველებისთვის თბილ ტანსაცმლებს თხოულობენ. ერთმა კაცმა ძვირფასი ტყავის პალტო გაიძრო, მაგრამ უკან დაუბრუნეს - ერთი ღამე დარჩა და არ ღირსო ამის გაფუჭება. იმ კაცმა პალტო არაფრით არ დაიბრუნა. მაშინ ქალებმა ასეთ ხერხს მიმართეს - პალტო მის მეუღლის გაატანეს სახლში.

ერთ გასაშლელ ლოგინზე ერთი ქალი და 12-14 წლის ორი ბიჭი ინვა. დედას მარტო ვერ გამოეშვა შვილები.

ჯანსუღ ჩარკვიანს ერთმა მოშიმშილემ ასაკი დაუმალა - 15-ის ვარო, თურმე 13-ის ყოფილა.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა 29-ში მიტინგი ჩაატარეს, გამოლანძღეს პროფესორ-მასწავლებლები და იძულებული გახადეს, დღეს აქ მოსულიყვნენ დარაზმულად.

გორბაჩოვის მიმართვა ქართველი ახალგაზრდობისათვის 28-ში გამოუგზავნიათ, აქ 29-ში, 1 საათამდე არ წაუკითხავთ.

14. 12. 1988.

გუშინ მწერალთა კავშირში ვიყავი, სადაც შემთხვევით აღმოვჩნდი მიტინგზე. ზვიადისა და მერაბის მომხრეთა ჯგუფი იყო შეკრებილი. ბათუმში ჩატარებული მიტინგის შესახებ ავრცელებდნენ ინფორმაციას. ოთხი კაცი დაეჭირათ და მათ განთავისუფლებას ითხოვდნენ. ასევე ითხოვდნენ ენგურჰესის წყლისგან დაცლას, რადგან სეისმურ ზონაში აღმოჩნდაო.

ბათუმში მიტინგის თავკაცთა სურათები დაურიგებიათ ხალხში, რომ მოეკლათ ისინი.

მწერალთა კავშირიდან ტელევიზიისკენ გაემართნენ, რათა ბათუმის მიტინგის ჩანაწერი გადაეცათ სრულად.

საღამოს, ტელევიზორით, ბათუმის მიტინგის ჩანაწერი გადმოსცეს. ის ადგილი აჩვენეს, სადაც ზვიადი აჭარის ავტონომიის გაუქმებას მოთხოვდა. -აჭარლებს რად უნდათ ავტონომია, ისინი ქართველები არიანო და ქამალ ათა თურქსა და კრემლს დააბრალა ყველაფერი.

ასევე სიტყვით გამოვიდნენ მერაბ კოსტავა და ნოდარ იმნაძე.

მიტინგს კომენტარები გაუკეთეს და დაგმეს ნოდარ ლომოურმა და სხვებმა.

გაგრძელება იქნება.

იპა ქალაგიძე

პირადად კორონა

(პიესა ერთ მოქმედებად)
მოქმედი პირები:

- პოეტი,**
- მხატვარი,**
- კრიტიკოსი,**
- მათემატიკოსი,**
- მესანთლე**
- ფიზიკოსი**
- ძალადუქურნალისტები**

(ქუჩაში გამოსულ პოეტს შემთხვევით ნაცნობი მხატვარი შეხვდა).

პოეტი (ხალისიანად) ვივა ხელოვნებას! ძირს კორონა! ძლივს წელშიგამართული კაცი არ დავინახე! ის დროა, ერთობლივი ჰიმნი ძმურად შევთხზათ: შეაჩერეთ მწველი წყევლა, კორონა ვერ მოგვერევა! ერთად უნდა დავდგეთ ყველა, დელი დელა, დელი დელა! ან თანამედროვე ვერსია: დაეტიე სახლში შენთვის ჩინური ანბანია?! მიირთვი ღამურა, იქეცი გლამურად. წუნე ლიმონი, სოც ქსელში იომე. კიდევ გავაგრძელო?

მხატვარი (უკან იხევს, ხელებს ასავსავებს და დამფრთხალი ხმით ამბობს): შორს ჩემგან! ახლოს არ მომეკარო! ოინბაზური რითმებით ვერ მომჩანგლავ, დაუდგრომელო მესიტყვევ! იუდას ამბორს რა დამავინწყებს. შინ წყალი ამოგდის? აბა, ამ გაგანია ჟამიანობისას გარე-გარე არხეინად რას დაეხეტები?

პოეტი (ლიბლით) ჩემი შენ გითხარო, ამაზეა ნათქვამი. აღიარე, სასურსათო მაღაზიაში გასტრონომიულმა ხუმტურმა როგორ გამოგანანალა. ახლა ფუნჯის ჯადოქრობაზე არ გამიბა ლექცია; ან ვითომ საგაზაფხულო დარმა გარეთ ანგარიშშიუცემლად გამოგიტყუა და ა. შ. მაინც არ დაგიჯერებ.

(ამ დროს ანონილი კრიტიკოსი წამოქნევდა).

კრიტიკოსი (გამყინავი ხმით) პირბადის გარეშე გარეთ სიარულს როგორ ბედავთ?

პოეტი (გამომწვევად) ვაჰ, შენიშვნების ნიგნაკს ვახლავართ. ჯერ მამაპაპური გამარჯობა გეთქვა დალოცვილო, სანამ პილპილიან კრიტიკულ რეპლიკას გვტყორცნიდი. ცნობისთვის, განსაცდელის ჟამს ლმობიერება ყოველმხრივ ნებადართულია. თაგვისფერი პირბადე შენს პროფესიულ გამჭრიახობაზე უნიჭოდ გოდებს. მოკლედ, დღეს უპირბადოდ თუ წაგასწრეს, ეს ნიშნავს, გარეთ შიშველი დაიარები. მე კი მგონია, პირბადიანებს უნდა რცხვენოდეთ, მონებივით პირაკრულებს ძალღებვივით აქეთ-იქით რომ დაასეირნებენ.

კრიტიკოსი (მკაცრად) ექიმის რეკომენდაციის უგულვებლყოფა სახიფათოა.

პოეტი - ჰაჰა, ცრურწმენას კრიტიკოსის გულიც შეუშინებია! დრო გამოაჩენს, უწყინარი აიბოლიტები ღირსებას შეინარჩუნებენ თუ კაციჭამია ფულიხვეჭიებად გადაკეთდებიან! დრო გამოაჩენს-მეთქი, ასე რომ ჰიპოკრატეს მიმდევრების შეკვეთილ ანგლობას ბრმად ნუ ენდობი, კრიტიკოსო!

მხატვარი (აპლომბით) ჩვენში დარჩეს, ფრიად არაესთეტური პირბადე გიკეთია. ვირუსზე დიდი უბედურებაა, სამყარო იაფფასიანი პროდუქციით რომ გადაიტვირთა. დრო რომ მქონდეს, სიამოვნებით დაგეხმარებოდი, მაგრამ ოსტატი ხელს იოლად არ გაიფუჭებს.

პოეტი დასტურ! ამხანაგმა კრიტიკოსმა უპირბადოდ ჩაგვავლო და შიშვლები რატომ დანანნალებთო, ამაყად გვისაყვედურა. მე კი ამ მაღალფარდოვან მონოდებაზე ბედნავსი გრანელის მართალი სიტყვები მახსენდება, შალვა დადიანს რჩევის პასუხად რომ სტყორცნა: „ძვირფასო შალვა, არამცთუ კაცმა, - ბავშვმაც კი იცის ჭამა და ჩაცმა. შენ სილატაკეს არ იცნობ ალბათ, რომელიც არის პატარა ჯვარცმა!“ დედამინა ჯვარცმის წყეულ ადგილად იქცა, მან კი ეს როდის იწინასწარმეტყველა! ამიტომაც სიყალბით დაავადებულმა თანამედროვეებმა ალაღმართალი, ბავშვური გულის პოეტი უსინდისოდ შერისხეს...

მხატვარი (აღტაცებით) შენ გენაცვალე, ტერენტი! აუფ, რა ტალანტი დაილუპა. აქამდე მისი პორტრეტი როგორ არ დავხატე?!

კრიტიკოსი (იქედნურად) სამაგისოდ სად გეცალა. შენ მხოლოდ ცნობილებს ხატავ სარფიანად.

„პოეტის სიცილის ფონზე მხატვარი კრიტიკოსს სქელ დიპლომატს მოუქნევს, რომ ამ დროს კუთხიდან გამოსული მესანთლე გაჰყვირის“: – ბატონებო, ამ გაგანია კორონავირუსის დროს ერთმანეთს ნუ შეეხებით. ჯიბრზე პოლიციაც არსადაა, წინდაუხედაობისთვის რომ დაგაჯარიმოთ. ეს ჩემი სამშვიდობო ტერიტორიაა. ან სანთლები შეიძინეთ ან აქედან მიბრძანდით, საგანგებო მდგომარეობის დროს აურზაური აკრძალულია!

პოეტი (აღტაცებით) რაც დავიბადე, სულ საგანგებო მდგომარეობის გვერდით მივგრიალე, ბედი არ გინდა! ძმობილო, აი აზრის ლაკონური, თუმცა ზუსტი სიჭხადე! თანაც ეგოისტ ვეშაპებს დროულად ჩაუდექი შუაში. ერთი მხატვარია და თავს ბოსხად ასალებს, მეორე შეუვალი კრიტიკოსია და სანამ ქვეყნიერებას არ გააპამპულავებს, მანამ არ მოისვენებს. ამათ კორონა გუშინდელი კომმარი ჰგონიათ. სინამდვილე გაცილებით ულმობელია: ანმყოს დადევნებულ სულსწრაფ

მოდგმას მხედველობიდან მყოფადი გამორჩა, რისთვისაც ტექნიკურად ისჯება. მე რატომ გამრიეს ამ ცოდვისტრიალში, რატომ, ამაზე ვინ მიპასუხებს?!

მესანთლე (მომღბარი) თქვენ წინასწრამეტყველი ხართ?

პოეტი (იდუმალი იერით) თუ მოდურ მკითხავენს არ ჩავთვლით, მგოსნები უძველესი დროიდან ქურუმებად ინოდებოდნენ, თუმცა დღეს პოეტობას მჯღაბნელების ულევო ურდო ურცხვად იჩემებს. იქნებ ამ განუკითხაობის ასალაგმად გაჩნდა ეგ კორონა ვირუსი რათა თვითმარქვეებისგან დედამინა განმინდოს, ვინ იცის...

მხატვარი (ბუზღუნით) გაილექსა თავისებურად.

კრიტიკოსი (ბრაზით) სისხლი გამიშრო, მაგას ვერასდროს ვერაფერს ვუხერხებ. ყველა ჟანრიდან გააფთრებით მიტევს. პირბადეს იმიტომ არ ცნობს, პირის ღრუს დახურვა მეორედ მოსვლაზე უარესი უბედურება ჰგონია! ნეტავ იმ დღეს მოვესწრებოდე, ვინმე გააჩუმებდეს!

(ამასობაში პოეტი სანთლებს ყიდულობს)

პოეტი (გამომწვევად) შვიდი სანთელი ვის გაუუნანილო? ჩვენ ოთხნი ვართ.

კრიტიკოსი (მკაცრად) ეკლესიაში შესვლა აკრძალულია. აგერ ბატონი მათემატიკოსი გვიახლოვდება და ჩემი თუ არ გჯერათ, მას დაეკითხეთ. ამ საკითხში ყველაზე მეტადაა კომპეტენტური.

მხატვარი (ფრუტუნით) ტექნიკური პროგრესის გაბლენძილი ნაშიერი ჩვენგან ორასი მეტრის მოშორებით დამუხრუჭდა. დედამინის გაუდაბურება სულ მაგ ცივისსხლიანი ტექნიკოსების ბრალია. უხეირო ექსპერიმენტებს გადაგვაცოლეს! თან ფულს ცალკე იჯიბავენ, ჩვენ კი უთვისტომოდ გავირიყეთ უსახელო დავიწყებისთვის. სამყაროს აღსასრულს თუ დავხატავ, კაცი არ მერქვას, მაგათ ეშმაეულთა ნიღბებს ჩამოფურიგებ!

პოეტი (ენერგიულად) სწორი გადანყვეტილებაა. ეგ აქ ვის დაკარგვია?

მათემატიკოსი (ხმამალლა) გამარჯობათ, მოურჯულბელო ჰუმანიტარებო! ჩემმა მეუღლემ პირბადეები შეკერა. ბედად ჯიბეში ოთხი ცალი მიდევს და ფერების მიხედვით ამოირჩიეთ,

მესანთლე (გახარებული) ღმერთმა გაგახაროთ! მეც მერგება?

მათემატიკოსი (მზვაობრად)

მე ღმერთის არ მწამს, მაგრამ თეთრ პირბადეს შემოგწირავთ თუ მას აღარ ახსენებთ,

მესანთლე (ბრაზით) ეგ ჯღანი ნიღაბი შენთვის დაიტოვე! რა უსულგულობაა. გამოთვლითი მანქანები სხვაგან მოიკითხე!

პოეტი მოჯადოებული წრე რომ გაგვერ-

ღვია: მეცნიერება გამორჩენის გარეშე არ შეიძლება? ამა ქვეყნის ძლიერთა მსგავსად გჯერათ, რომ სამყარო მხოლოდ ფულით იზომება?! თუ ასეა, ცდებით, თანაც სავსებით აპოკალიფსურად.

მხატვარი (ირონიულად) ულტიმატუმს ვის უყენებ? ჩვენ ყველაფრისმკადრებელი პოლიტიკოსები და ჟურნალისტები კი არა ვართ. ხელოვანებს ზენოლა არ უყვართ.

კრიტიკოსი- (სარკასტულად) კარის ხელოვანები გაქსუებულ პოლიტიკოსებს არაფრით ჩამოუვარდებიან, თავს ძაანაც ნუ გამოიდეტო. მთავრობის საქებარ ოდებს ოდითგან ხელოვანები თხზავდით, არ დაგავინყდეთ. მგონი, არც დღესაა უმაგისობა.

მესანთლე (წყრომით) ეს ჩვენს ბატონებს არ ეხებათ! განურჩეველი უნდობლობა ყველაზე მომაკვდინებელი სენია! სამყარო მეცნიერებს არ გამოუთვლიათ. ის ღმერთმა შექმნა!

კრიტიკოსი (გალიზიანებით) ეს მესანთლე რა მოხელეა? შემთხვევით შემოსწრებულ ადამიანს აზრს არასდროს ვეკითხები. ნუთუ ამის გაგება ასე ძნელია?

პოეტი (ბრაზით) აუცილებლად თანამდებობა უნდა ნიღბავდეს, ჭკუის საკითხავ კაცად რომ მივიჩნიოთ? ის ღმერთს ემსახურება, რომელსაც თქვენისთანები უშედეგოდ აკირიტიკებენ. გადააგდეთ ჰაპიროსი, მოიმიკით ვირუსი. ურწმუნოებო, ეგრე მოგიხდებათ! შემთხვევითი კაცი რას მიქვია?! სამყარო ერთჯერად პირსახოცს დაამსგავსეთ და ყალბ მალაღფარდოვნებას მაინც არ ეშვებით. ვინ მოგცათ უფლება ადამიანს სიტყვის თქმა აუკრძალოთ?

მათემატიკოსი (დაცინვით) რალა დროს ცრურწმენებია. დარჩი სახლში, რასაც გეუბნებიან, კანონმორჩილად უნდა შეასრულო, მორჩა და გათავდა. ეს პოეტური გაფორმება უსარგებლო ლექციაა.

მხატვარი (აგდებულად) თუ ასეა, კანონის სასიქადულო რუპორო, გარეთ რა დაგრჩენია?

მესანთლე (ირონიულად) ალბათ პირბადეების გაყიდვას ცდილობს. რა ქნას, ყველაფერი გაჩერებულია. ეკონომიკა სიკვდილის პირასაა მიგდებული. თავი როგორ ირჩინოს? ცარიელი პედაგოგიკური რიტორიკით რომელი ქვეყანა ამენებულა?! მოქალაქეებზე ზრუნვა საქმით გამოიხატება, რაც ჩვენში ბარემ ოცდაათი წელია, არა და არ იგრძნობა.

მათემატიკოსი რისხვით ცრულტრუისტულ დაცინვას როგორ მიბედავ? ბოგანო თავად ბრძანდები, ანარქისტიც ხარ შეთავსებით. მე წარმატებულ მეცნიერად მალიარეს, შენ კი შუასაუკუნეების ველურივით არარსებულ თანალმობაზე ლაყბობ.

პოეტი თავის ქება კიტრად რჩებაო, ნათქვამია. მართალია ეს კაცი და მის სიტყვებს ფუჭი მეცნიერული ჰიპოთეზებით ვერასდროს გადასწონით. როგორც ჩანს, მეცნიერული პირბადეები ოხრად დაგრჩება!

კრიტიკოსი (საქმიანად) სეკულარიზმი მძაფრად ბობოქრობს. ვირუსსაც კი არ გააჩნია იმის ძალა, ადამიანურ გათიშულობას მოერიოს. ზოგი ალთასაა, ზოგი-ბალთას. საყოველთაო შეურიგებლობამ დამალა!

აურზაურს მოვრჩეთ. მე მინდა პირბადე. ოც ლარს გადავიხდი, მეტი არ მემეტება.

მხატვარი (ამრეზით) რა ამბავია. ვენეციური კარნავალის ნილაბი ხომ არ არის. უსასყიდლოდ ჩამოარიგე თუ მართლა კაცობრიობის პროგრესს ემსახურები. ჩვენს ექიმებს მიბაძე; ისინი უნაგარო თავგანწირვით იბრძვიან. ხმამაღლა ასე აცხადებენ და ვნახოთ, მართლა უნაგაროდ ირჯებიან თუ მალაღფარდოვანი სიცრუით გვაბრუებენ. ვნახოთ...

მათემატიკოსი ექიმი ახალი დროის მონაპოვარია.

პოეტი კარგი რა, ახლა კამიუს “შავი ჭრიდან” ის ადგილი არ წამაკითხო, სადაც ექიმი და მღვდელი კაცობრიობის ხვედრზე ღრმეაზროვნად ბჭობენ და მაინც ვერაფერს შველიან, რადგან ღმერთს არ უხმობენ შემნედ. სიტყვიერი ფარიკაობის მიღმა კი სამყარო ხელიდან გვეცლება. ამას როდის შეიგნებთ?!

(გზად ფიზიკოსი ჩამოივლის) და ყველას ხელის აწევით მიესალმება

მათემატიკოსი (სიხარულით) ძლივს ჩემიანი არ დავლანდე. ცოცხლად შემჭამეს ამ ჰუმანიტარებმა. აბსტრაქტული იდეის ხალხი ნერვებს მიშლის. მათგან სასიკეთო არასდროს არაფერი გამოდნება.

ფიზიკოსი (ლიმილით) იდეას გაუმარჯოს! აინშტაინმა ბოლოს ღმერთი ინამა. მეცნიერება და ხელოვნება რამ დაყო?! გვეყო შეურიგებლობა.

პოეტი (ტაშს შემოჰკრავს) შენი ჭირიმი, აი პროგრესის ნათელი განსახიერება ესაა.

კრიტიკოსი (მშრალად) ან იე პირბადეს ველარ ეღირსება.

ფიზიკოსი მე ჩემი გალაქტიკური პირბადით დავიარები. ვერ შეამჩნიეთ?

მხატვარი (ჩუმად) აუჰ, ვირუსის გადამკიდე, ამანაც გვარიანად დაუსტვინა მგონი.

პოეტი (მხიარულად) ვხედავ რომელია, ძმობილო. გალაქტიკური განზომილების პირბადის გამოსხივება კორონას აქრობს, ამას ნყალი არ გაუვა. მე ჩემდათავად ნესტანის ფასდაუდებელი რიდე მირჩევნია, მაგრამ ის მიუნვდომელია.

მესანთლე ბატონო წინასწარმეტყველო, „ვეფხისტყაოსნის“ რიდე ახლა ოქროს სან-

მისივითაა, ბევრი ნატრობს, მაგრამ ვერავინ ფლობს. ჯობია, ამ უკმეხი მეცნიერის პირბადეს დასჯერდეთ სანამ ჩუქება გადაუფიქრებია.

მათემატიკოსი (ამაყად) თუ მთხოვთ, რატომაც არა, პირბადეს დაგიტომობთ. ეს პლიუსად ჩაგვეწერება.

პოეტი ისე არ აგტკივდეს გვერდები, სამყაროს დამანგრეველთა შიკრიკო, შენ რამე გთხოვო!

მხატვარი (პოეტს თვალს ჩაუკრავს) სასარგებლო პირბადე გამოვართვათ და მერე გავაპანდუროთ. ასე არ ჯობია?

კრიტიკოსი (ბრაზით) ხელოვანებო, ამკარად თავს იგდებთ!

პოეტი ეს შუალედური რგოლისთვის მიუღწეველი განზომილებაა.

ფიზიკოსი (მხიარულად) საშინლად მომწონს, როდესაც კრიტიკულ ვითარებაში ხელოვანები მოხდენილად ხუმრობენ. ეს ნიშნავს, რომ უნიათო მთავრობისა და უნამუსო ყურნალისტების პარპაშის ფონზე ჯანსაღი სამყაროს ნაწილი აუცილებლად გადარჩება.

მათემატიკოსი ჰოდა, ასე მოგმართავ: „შენც ბრუტოს?“ ცნობილ მეცნიერს ამათთან რა გესაქმება? ზუსტი გამოთვლების მიხედვით ესენი შეშლილები არიან, კოლეგავ! გონაბედაბინდულთა მოდგმაა. ამ დამთხვეულების ნებაზე მიშვება წარმოუდგენელია.

მესანთლე (სევდიანად) საკითხავია, საყოველთაო ბრალდებების საპირწონედ ვის უნდა ვენდოთ?

ფიზიკოსი არც მთლად კოლეგა გახლავართ თქვენი, თუ მაინცდამაინც, გარე ბიძაშვილად გამასალეთ.

პოეტი ჰოდა, დაყაჭე ეგ შენი ძღვენი, სანამ ჩიტი ხარ, ძმავ, გადამფრენი!

კრიტიკოსი (ალშფოთებით) ამათთან დალაგებული დიალოგის წარმოება შეუძლებელია! ყველა თავის ხმაზე გიჟდება!

მათემატიკოსი კვერს უკრავს, ფიზიკოსი მხიარულად იცინის.

მესანთლე (ხმას აუნევს) მოქალაქენო, განურჩევლად მონოდებისა, გახსოვთ პომპეი ან ჰერკულანუმი? ქრისტემობამდე ვულკანმა ეს მაღალგანვითარებული ქალაქები როგორ დაფერფლა? ეს ადრე მოხდა, იტალიაში, ქრისტემობამდე. გახსოვთ თუ არა?

მათემატიკოსი (ჩურჩულით) ფსიქიატრი არ მოგვაკითხავს?

ფიზიკოსი (ენერგიულად) ნახევრადკოლეგავ, ფაქტია, კლასგარეშე ლიტერატურა ზერეულედ გადაგიფურცლავს. მახსოვს პომპეი. ბევრი რამ მახსოვს, უკვდავი სცენა კაცობრიობის, სადაც შესპირის და შილერის ტალანტი ენთო. სხვათა შორის პომპეიში სტომატოლოგის კაბინეტიც აღმოაჩინეს,

თანამედროვე კბილთა მმუსვრელისას რომ არაფრით ჩამოუვარდებოდა.

მხატვარი (ცნობისმოყვარედ) მართლა? ცოდვა გამხელილი სჯობს, ჩვენმა ექიმებმა უკვდავყოფა ნაღდად დაიმსახურეს! უნდა დავხატო ექიმის დაღარული სახე, საყოველთაო უკეთურებასთან მებრძოლი, ჩაუმქრალი მზერა და სამყაროს გადამრჩენელი ხელები. ამირანი ბორკილებისგან გათავისუფლდა. აუცილებლად დავხატავ. აი, ნახავთ...

პოეტი (აგრძელებს) მე ისიც მახსოვს, ჩამოქცეული კედლის ფრესკას სანამ ცეცხლის ალი შთანთქავდა, მასზე გამოსახულ სპარტაკს მოღალატეებმა ბარძაყში ლახვარი როგორ აძგერეს მან ჩაიჩოქა, თუმცა წინასწორობა მაინც არ დაუკარგავს. არ დაგავინწყდეთ, სპარტაკს კაცთმოყვარეობასა და დიდსულოვნებას ვერცერთი ქრისტიანი დაუნუნებდა. სამყარო ჩვენგან არ იწყება და არც მთავრდება, ეს დაიხსომეთ...

კრიტიკოსი (სარკასტულად) რა სამგლოვიარო ისტორიული განგაშია? ანმყოფი მთავარი, წარსულის ჩრდილებით ნუ გვანუხებთ! თანამედროვე იტალიას ვულკანური ცოდვები რატომ აჰკიდეთ?

პოეტი პროვოკატორობით, ამხანაგო! იტალია ის ქვეყანაა, რომლის ხილვაზეც ბავშვობიდან ვოცნებობდი და არ დამცალდა. უსამართლობაა, რაც მას თავს დაატყდა. იტალიელი ჟურნალისტის გულისშემძვრელი მიმართვა დაჭაობებულ ევროპას არცხვენს, ახალ კონტინენტსაც, ყველას, ვისაც გადარჩენა სხვის ხარჯზე სწყურია, ის ხსნასა და ღვთის წყალობას არ იმსახურებს! თანაც, მსოფლიო ქართველი გეოგრაფიაში უმეცარი ია. საუბედუროდ, ის ყველას ერჩის.

მესანთლე თუ ეს ხელოვნურად გამოწვეული ვირუსია, ყველაფერი წინდანინაა გათვლილი. აკი გვაფრთხილებდნენ, კაცობრიობის დაჩოქება განერილი სცენარიაო.

მხატვარი ვაი! იმ საშინელ ფილმებსა და დაზომბირებულ ბესტსელერებში სულ სამყაროს აღსასრულზე მიედ-მოედებიან და აგერ, შედეგი! გვაჩვენენ, მონებად დავიხოცოთ!

ფიზიკოსი (სევდიანად) ჩვენ საზარბაზნე ხორცად გვამზადებენ დიდი ხანია.

პოეტი (მტკიცედ) ღმერთი არ დაგვკარგავს, გნამდეთ და გჯეროდეთ! ერთად ყოველგვარ განსაცდელს მოვერევი! ფარ-ხმალს არ დავყრით! ყურები ნუ ჩამოგიყრიათ!

კრიტიკოსი ღმერთს უმადურთა მოდგმა ყელში ამოუვიდა და ლოგიკურად სჯის. ჩვენივე ხელით შექმნილი დამღუპველი იარაღით გვანადგურებს. ეს შესავალია, კინო მალე დაიწყებაო, ავი ენები ასე ამბობენ. აი, ნახავთ.

პოეტი (ცხარედ) ავბედითი ყორანივით ნუ ყრანტალუბ! ჩვენ ვიბრძობთ ან გადავრჩებით ან დავიღუპებით. სანამ პირში სული გვიდგას, მხეცს დედამიწას არ დავანებებთ!

მათემატიკოსი რა ხმამაღალი სიტყვებია. პოეტური რეფრენი დღეს უმისამართოდ გაისმის. ამდენ ჩამკვლევებულ ადამიანს ცარიელი ენთუზიაზმით როგორ გავუმკლავდებით? ეს არამეცნიერული მიდგომაა და კარგს არაფერს მოგვიტანს. გონივრულად მოვიფიქროთ, ორგანიზებული წინააღმდეგობის წინ რას ვილონებთ...

(ამ დროს ჟურნალისტები მეგაფონებით შემორბიან, ირთვება სირენა: ტერიტორია გაათავისუფლეთ! აქ შეკრება აკრძალულია! ბრიფინგი იწყება).

კრიტიკოსი არ მოგვეკაროთ, თქვე დობლიანებო!

მათემატიკოსი გასწი ეგ დავირუსებული მიკროფონი!

მხატვარი აქედან მოუსვით სანამ გვერდები აგიჭრელეთ! ძირს პოლიტიკა! ვირუსი თქვენისთანების გამოშვებულია! ხალხს ატერორებთ!

მესანთლე ესენი ლიბერასტების ჭინკებად მუშაობენ. ღვთისმსახურების აკრძალვას ახმოვანებენ, აქაოდა ვირუსის დროს ზიარება დამღუპველიაო. თავიანთი გესლის სანთხევად დროს მუდამ ზუსტად არჩვენენ.

პოეტი (ზიზლით) ეს ღვთის გარეგანები მიზანს ვერასდროს მიაღწევენ! აქედან ფეხსაც არ მოვიცვლით. ჩვენ არაფრის გვემინია!

კრიტიკოსი - მე გამატარეთ!

მათემატიკოსი რადგან ასე გეშინიათ, აგერ, ყავისფერი პირბადე აიღეთ. მონათესავე ფერზე ესენი არ რეაგირებენ, ნუ გერიდებათ. კრიტიკოსი პირბადეს ართმევს, მაგრამ შორიახლოს დგას, ნასვლა ვერ გადაუწყვეტია

მხატვარი იცინის

ფიზიკოსი ლურჯ პირბადეს იკეთებს, მათემატიკოსი-მწვანეს.

პოეტი და მხატვარი ხმამაღლა ამბობენ: ჩვენ პირბადეების გარეშე შევდივართ ეკლესიაში და ვინც გზას გადაგვიღობავს, კორონათი დავასანულებთ!

დამფრთხალი ჟურნალისტები უკან იხვევენ, ეკლესიიდან გამოსული გალობის ხმა თანდათან ძლიერდება და ოქროსფრად მოელვარე გუმბათამდე აღწევს. ხელჩაკიდებული პოეტი, მხატვარი, მესანთლე, მათემატიკოსი, კრიტიკოსი და ფიზიკოსი ტაძარში შედიან, ზარების რეკვის ხმა ჟურნალისტების გნიასს თანდათან ახშობს...

25.03.2020.

ჰომა ჰომეროსი (ჰაატა სურმანიძე)
**„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებთან
 გახიზნა**

თავლებს თესავ, პაპირუსთა ველს,
 ტიარას გადგამს, პაპი რუსთაველს.
 ნაცნობ მოყმეებს ხელ ტარიელის,
 ან უცხო მოყმის ხელტარი ელის.
 ქაჯეთის ციხით განანეს ტანი,
 არ მენანები განა ნესტანი.
 ჯანსუსტი ჯინი მედარე ჯანით,
 დატანჯული ვარ, მე დარეჯანით.
 ლოცვა, ანდერძი ავთანდილიდან,
 მაინც არ აღწევს, ავთან დილიდან.
 შვიდჯერ ემთხვევა ათინათი ნებს,
 რაც შვიდმნათობელს ათინათინებს.
 მეფურო რითმავ, საროს ტევანო,
 გვირგვინს გადგამენ საროსტევანო.
 გამეფდნენ ფარსით “ზე”ფარსადნები
 როდესაც ღამით მზე ფარს ადნები.
 როდესაც მეფის და დავარდება,
 ირყენება ქალი და დავარდება.
 მიიღებ ტალახს, სალაფს უსენი
 აფსუს! გამხდარხარ სალაფსუსენი.
 ფატი, ფარფატი, ხალი, ფატმანი,
 მას შეგადარა ხალიფატმა ნი.
 მეც სიყვარულის კამარა მაზის,
 როგორც ინდური კამა რამაზის.
 დღეს შეირცხვინა თავზე ასმა თმა,

კარგი როგორ თქვას ავზე ასმათმა.
 ჩუმად ლოცულობ, მელიქ სურ-ხავით,
 ვარდებს ვიგონებ, მელიქ-სურხავით.
 და ჭაშნაგირებს ერმა დინებით,
 პირი უცვალა შერმადინებით.
 რომელმან შექმნა ღმერთი თუ სამი,
 სამებას ჰყიდდა ერთი უსამი.
 თავლებს თესავ, პაპირუსთა ველს,
 ტიარას გადგამს, პაპი რუსთაველს.

11 დეკემბერი, 2020



თეიმურაზ ნადარეიშვილი
შექსპირული ჩანახატები³
ჰამლეტი

ცნობილი „ხაფანგის“ სცენა დამთავრებულია, ჰამლეტმა ყველაფერი გაარკვია — დამნაშავემ უკვე ამკარად გამოიშკარავა თავი და ჰამლეტმა დანამდვილებით იცის, რომ მისმა ბიძამ საკუთარი ძმა მოკლა. მაშ რაღა აკავებს ჰამლეტს?! რატომ არ აღასრულებს შურისძიების აქტს? ეს ერთ-ერთი რთულად გასაგები ადგილია პიესის და ცალსახა პასუხის გაცემა ზემოთ დასმულ შეკითხვებზე თითქმის შეუძლებელია! გამოვთქვამ საკუთარ მოსაზრებებს ამ ფაქტთან დაკავშირებით.

კერძოდ, ჩემი აზრით ჰამლეტის გადანწყვეტილება შურისძიების გადადებისა მოტივირებულია შემდეგი არგუმენტებით:

1. ჰამლეტი მაღალზნეობრივი პიროვნებაა და არ შეუძლია ადამიანი მოკლას ლოცვისას — განწმენდის პროცესში. იგი ელოდება სათანადო მომენტს, როცა ბიძამისი განცხრომაში იქნება ან მორიგ უკეთურ საქმეს ჩაიდენს:

აგერ ლოცულობს!
რა ხელსაყრელი წამია ჩემთვის;
მოვკლავ და ზეცას აღევლინება,
მაგრამ ამითი მე შურს ვიძიებ?
საგულდაგულოდ უნდა დავფიქრდე:
ამ ავაზაკმა მამა მომიკლა
და მე კი, მის მკვლელს, ზეცად ვაგზავნი!
ეს იქნებოდა ჯილდოს მიცემა
და ამიტომაც შურს ვერ ვიძიებ.
.....
მაგრამ იქნება ეს შურისგება,
თუკი განვგმირე მე დამნაშავე



რომელიც ლოცვით განწმინდა
და უკვე მზადაა ზეცად ავიდეს!
ო, არა, არა! უკან ქარქაშში ჩემო მახვილო
და შეეცადე დრო უარესი მას შეურჩიო:
როდესაც ლოთობს, როცა მძვინვარებს,
როცა ნებივრობს სისხლის აღრევით თავის სანოლში,

როდესაც იპყრობს აზარტი მის სულს
ან როცა ტკბება სხვა უწმინდური საქციელით.

მაშინ ატყორცნე ჩემო მახვილო
ის თავდაყირა ზეცისაკენ,
რომ მისი სული ქვესკნელს ჩავარდეს
შეჩვენებული და დანყველილი!

ამ მონოლოგიდან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ ჰამლეტი ანალიტიკური პიროვნებაა — განსჯის, სათანადო ანალიზის გარეშე მას არ შეუძლია ქმედებაზე გადასვლა და ჩვენც ვეთანხმებით მის რკინისებურ ლოგიკას (“**ეს ხომ ჯილდოა, სად არის აქ შურისძიება!**”) ანუ ამჯერადაც გვესმის ჰამლეტის “უმოქმედობის” შინაგანი მოტივები!

2. შესაძლოა გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ კლაუდიუსი ჰამლეტის ბიძაა (ასეთი საშინელი, მაგრამ მაინც ბიძა!). მახსენდება ბატონ რეზო ესაძის საუბარი რადიოში “ჰამლეტის” შესახებ ამ რამდენიმე წლის წინ: “ჰამლეტი ალბათ

³ დასაწყისი იხ. „ისინდი“ №10, 11

ბიძის მუხლებზე იზრდებოდა და ახლა ამ გაუგონარი ლალატის გამო გაოგნებულია; ასეთივე იყო ჩემი დამოკიდებულება სტალინისადმი მისი გარდაცვალების შემდეგ — მჯეროდა მისი და მოგვიანებით უამრავი საშინელი რამ გავიგე მის შესახებ!” ამიტომ, მე მგონი, შეიძლება სულ მცირედით, შეცოდების, სიბრალულის გრძნობა გააჩნია ჰამლეტს ბიძისადმი და ესეც აკავებს მას.

3. ჩემი აზრით ყველაზე მძლავრი არგუმენტი მაინც ის არის, რომ ჰამლეტმა ჯერ არ იცის თანამონაწილეა თუ არა დედამისი ქმრის მკვლელობისა, იცოდა თუ არა გერტრუდამ საერთოდ, რომ მკვლელობა მოხდა?! ჰამლეტს რომ მოეკლა კლაუდიუსი, მაშინ ხომ ყველაფერი “თავდაყირა დადგებოდა” დანიის სამეფოში და შესაძლოა ჰამლეტს ველარასოდეს გაერკვია დედის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის საკითხი! სწორედ ამიტომ ჰამლეტი მიიჩქარის დედასთან შესახვედრად, რომელიც უშუალოდ ამ სცენის მომდევნო სცენაა.

* * *

დედასთან საუბრისას ჰამლეტის სანყისი სკეპტიციზმი არ არის გასაკვირი; მართალია მის წინაშე მშობელი დედაა, მაგრამ იმ საშინელი ფაქტის შემდგომ რაც მოხდა, ყველაფერი მოითხოვს თავიდან გააზრებას — დედის ცნებაც კი! (გავიხსენოთ, რომ სასამართლო პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები არანორმალური სიტუაციისა — დედას ართმევენ ხოლმე დედობის უფლებას!). მართლაც გერტრუდამ ჰამლეტის ბიძაზე ქორწინებით, ფაქტიურად თვითონ თქვა უარი ჰამლეტზე (დედა ბიცოლა გახდა!) და ამიტომ ჰამლეტიც “ეკლიანია”

დედასთან ურთიერთობისას! ჰამლეტი თანმიმდევრულად ადგენს, რომ გერტრუდამ არ იცოდა ქმრის მკვლელობის ამბავი და ამ ფონზე თანდათანობით გულახდილი ხდება დედის მიმართ. კერძოდ, ჯერ იგი დედას განუცხადებს, რომ იგი თავს იგიჟიანებს:

ჩემი პულსი შენი პულსივით ზომიერია და ეს ამტკიცებს ჩემს სიჯამრთელეს, არ არის ბოძვა, რაც მე გითხარი.

რამე მიაბზე, გაგიმეორებ მე სიტყვა-სიტყვით:

გამეორებას გიჟი ვერ შეძლებს!

ო, დედაჩემო, ღვთის გულისათვის

ნუ ფიქრობ იმას, თითქოს სიგიჟე

მალაპარაკებს და არა შენი შეცოდებანი;

ეს საცხებელი თავს მოუყრის მხოლოდ ქრილობას,

მაშინ როდესაც ფარული ნყლული

შიგნით ყველაფერს გაანადგურებს!

თქვი აღსარება ზეცის წინაშე,

მოინანიე შენი წარსული

და განერიდე მომავალ ცოდვებს!

ჰამლეტის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ შექსპირს კარგი სამედიცინო ცოდნა გააჩნია, რადგანაც ფსიქიატრიაში ცნობილია, რომ შეურაცხად ადამიანს არ შეუძლია მის მიერ წარმოთქმული სიტყვების გამეორება!

შემდეგ ჰამლეტი გარკვეულ განზოგადებას აკეთებს იმდროინდელი დროის (და არა მარტო იმდროინდელის!), როდესაც უმანკოება იძულებულია ბორკილგაყრილმა, უკეთრობას ნებართვა “გამოსტყუოს” თავისი ბუნებრივი ფუნქციის - სიკეთის კეთებისათვის:

გთხოვ მომიტევო ეს სიმამაცე,

რადგან სიმსუქნით გათქვირულ დროსა,

უმანკოება უკეთურობას პატიებას სთხოვს

და უფრო მეტიც, ბორკილგაყრილი
სიკეთის თესვის ნებართვას ითხოვს!

ბოლოს კი ჰამლეტი დედას პირდაპირ
ეუბნება, რომ კლაუდიუსი მკვლელია! რა
თქმა უნდა, ეს ქმედება გარკვეული რისკია
ჰამლეტის მხრიდან, რასაც თავად ჰამლე-
ტი აღნიშნავს:

შენ შეგიძლია გაამჟღავნო ეს ყველაფერი,
რომ არ ვარ გიჟი, მოხერხებულად ვთვალთ-
მაქცობ მხოლოდ

ან შეიძლება დედოფალმა ჭკვიანმა, მშვიდმა
მას დაუმალოს ეს ზრახვანი ღრმად ჩამარხ-
ულნი,

მას, იმ ლამურას, საზიზღარ ბაყაყს, საძაგელ
კატას!

შეძლებს კი ამას ვინმე სულდგმული?!

მართლაც გერტრუდა მისმა მდგო-
მარეობამ (დედოფლობამ!) შეიძლება აი-
ძულოს იგი (სახელმწიფო ინტერესებიდან
გამომდინარე!) გათქვას ჰამლეტი. გერ-
ტრუდას ესმის, რომ ჰამლეტი ბიძამისის
მოსისხლე მტერი გახდა, მაგრამ დედო-
ბრივი გრძნობა მაინც იფარავს ჰამლეტს:

„მშვიდად იყავი, რადგან სიტყვები

თან ახლავს სუნთქვას,

სუნთქვის თანმხლები კი სიცოცხლეა,

სიცოცხლეს ჩემსას შეუწყდეს სუნთქვა

თუკი მე გავთქვა, რაც აქ შევიტყვე!”

და დედოფალი მართლაც ინახავს ამ
საიდუმლოს, თუმცა ჰამლეტის თხოვნის
მიუხედავად, მაინც უბრუნდება “გარყვ-
ნილების ბუდეს” — კლაუდიუსს, მაგრამ
გერტრუდას სულიერი მდგომარეობა მაინც
ერთობ მყიფეა, რომელიც კარგად ჩანს
მისი შემდეგი მონოლოგიდან

„ბინიერების ნამდვილ ბუნებას როგორც
შეჰფერის,

ჩემს დაქანცულ სულს ყოველნაირი მცირე
შემთხვევა

დიდი ხიფათის წინამორბედად წარ-
მოუდგება,

ისე სავსეა დანაშაული მიაშიტ იჭვით,
რომ არ გამხელის მოშიშარობა თვითონვე
ამხელს!”

* * *

განზრახულს რომ დროზე უნდა აღ-
სრულება (პირველადი ჩანაფიქრი ხომ
მოგვიანებით, სხვადასხვა მიზეზის გამო,
იცვლება ან იპობა კიდეც) და საჭიროა მო-
ქმედება, ეს კარგად ჩანს ხელმწიფისა და
ლაერტის შემდეგი დიალოგიდან:

ხელმწიფე:

„ძვირფასი იყო შენთვის, ლაერტ, მშო-
ბელი შენი, თუ მწუხარების გამომხატველი
სურათის მსგავსად

შენც მჭუნვარე ხარ, თუმც კი უგულოდ?

ლაერტი:

მაგას რად მკითხავთ?

ხელმწიფე:

იმას არ ვფიქრობ შენ არ გიყვარდა მშო-
ბელი მამა,

მაგრამ ვიცი რომ სიყვარული დროის
პირმშოა

და როგორც ვხედავ საკუთარი გამოც-
დილებით

დრო ზომიერს ხდის თავისსავე ცეცხლს
და ნაპერწკალს.

თვით სიყვარულის აღში ბინადრობს

რალაც სხვა ჯურის ნამწვი, პატრუქი,

რომელიც შემდგომ მის ელვარებას თან-
დათან აქრობს.

არაფერია ამ სამყაროში მუდმივად კარ-
გი

რადგან სიკეთე თავისთავს ლუპავს
სიჭარბისაკენ მისწრაფებაში.

თუ განვიზრახავთ რაიმე საქმეს,
მაშინვე უნდა მას აღსრულება

რადგან სურვილი ჭორის, შემთხვევის,
ჩარევის გამო

დროში იცვლება ან კი სუსტდება, სულაც
ისპობა,

ხოლო შემდგომ კი სურვილი ჩვენი
მფლანგველი კაცის ოხვრას გვაგონებს
რომელიც მხოლოდ ზიანს გვაყენებს
მოჩვენებითი შემსუბუქებით!

* * *

უმეტესწილად შექსპირის პიესებში მე-
ორეხარისხოვანი გმირებიც კი ბრძნუ-
ლად მეტყველებენ, რამაც შესაძლოა ხე-
ლოვნურობის, არაბუნებრიობის განცდა
გამოიწვიოს მაყურებელში (აღბათ, ესეც
აღიზიანებდა ლევ ტოლსტოის, რომელ-
იც შექსპირის ბევრ პიესას “ხელოვნურს”
უწოდებდა, განსაკუთრებით კი „მეფე
ლირს“!). საილუსტრაციოდ მოვიყვან შემ-
დეგ მაგალითებს:

1) სასაფლაოს სცენაში, მესაფლავეები
ძალზედ მჭერმეტყველი და ღრმად მოაზ-
როვნე ადამიანები არიან. (სასაფლაო ხომ
წისქვილის მსგავსად ისეთი ადგილია, სა-
დაც ფილოსოფიურ განწყობაზე ვდგებით
ხოლმე) რაც კარგად ჩანს მესაფლავეებს
შორის დიალოგისას და ერთ-ერთი მესა-
ფლავის ჰამლეტთან სიტყვიერი შეპაექრე-
ბისას, რასაც ჰამლეტი გარკვეული სარკა-
ზმით აღიქვამს

ა) მესაფლავეების დიალოგი

მეორე მესაფლავე:

გიტხრა სიმართლე? დიდგვაროვანი
ქალი, რომ არ ყოფილიყო, ვერ ეღირსებოდა
ქრისტიანული წესით დასაფლავებას!

პირველი მესაფლავე:

მართლაც ასეა და ყველაზე უფრო სან-
ყენი ის არის, რომ დიდგვაროვნებს ამ სამ-
ყაროში თავის დახჩობაზეც და ჩამოხშო-
ბაზეც მეტი უფლება აქვთ ვიდრე უბრალო
ქრისტიანს. მაგრამ დროა ბარს ხელი მოვკი-
დოთ. მებაღეები, მიწის მთხრელები და მესა-
ფლავეები ყველაზე ძველი დიდებულებია; ეს
ხომ ადამის ხელობაა!

მეორე მესაფლავე:

ადამი დიდგვაროვანი იყო?

პირველი მესაფლავე:

იგი პირველი იყო ვინც იარაღს ატარებდა
მეორე მესაფლავე:

არ ჰქონდა მას არავითარი იარაღი

პირველი მესაფლავე:

რაო? შენ რა წარმართი ხარ?! როგორ გე-
სმის წმინდა წერილი? წმინდა წერილში
წერია, რომ ადამი მიწას თხრიდა და აბა
შიშველი ხელებით ხომ ვერ გათხრიდა?

კიდევ ერთ რამეს გკიხთავ

მეორე მესაფლავე:

მკითხე

პირველი მესაფლავე:

ვინ აშენებს კალატოზზე,მენავზე და
დურგალზე უფრო მტკიცე შენობას?

მეორე მესაფლავე:

სახჩობელას დამდგმელი. ეს ნაგებობა
ხომ ათას თავის ბინადარს მოინელებს!

პირველი მესაფლავე:

კარგი პასუხია, მაგრამ მე მაინც
ვფიქრობ, რომ ყველაზე მტკიცე შენობას
მაინც მესაფლავე აშენებს, რადგანაც მისი
სახლები მეორედ მოსვლამდე სძლებენ!

ბ) ჰამლეტის საუბარი მესაფლავეთან
 ჰამლეტი:
 ვისი ეს საფლავე?
 პირველი მესაფლავე:
 ჩემია ბატონო
 ჰამლეტი:
 ვფიქრობ, რომ მართლაც შენია, რადგანაც შიგ წევხარ
 პირველი მესაფლავე:
 თქვენ შიგ არ წევხარ ბატონო და ამიტომ თქვენი არ არის; მე კი შიგ არ ვწევარ, მაგრამ მაინც ჩემია
 ჰამლეტი:
 შენ შიგ არ წევხარ, მაგრამ მაინც იჩემებ ჩემიანო: საფლავეებს
 მიცვალებულებისათვის სთხრიან და არა ცოცხლებისათვის და ამიტომაც შენ სცრუობ
 პირველი მესაფლავე:
 ეს ცოცხალი ტყუილია, რომელიც ჩემგან თქვენკენ გადმოხტება
 ჰამლეტი:
 რომელ კაცისთვის სთხრი ამ საფლავეს?
 პირველი მესაფლავე:
 არცერთი კაცისთვის
 ჰამლეტი:
 მაშინ რომელი ქალისთვის?
 პირველი მესაფლავე:
 არც ქალი არის იგი
 ჰამლეტი:
 მაშ ვინ უნდა იყოს აქ დაკრძალული?
 პირველი მესაფლავე:
 იგი ოდესღაც ქალი იყო, მაგრამ, ღმერთმა აცხონოს მისი სული, გარდაიცვალა
 ჰამლეტი:
 რა ზედმინევებით ზუსტია ეს ცუღლუტი! ამ ხალხთან ფრთხილად უნდა ილაპარაკო, თორემ სიტყვების ეს თამაში, თავს დაგვა-

კარგვინებს. შემოქმედს ვფიცავ, ჰორაციო, ბოლო სამი წელია შევამჩნიე, რომ დრო ისე წინ წავიდა, რომ ყველა უბირი ბედავს კარისკაცს ქუსლზე დააბიჯოს და ტკივილი მიაყენოს!

2) გილდესტენი:

ჩვენ იმითა ვართ ბედნიერები, რომ არ ვართ ბედის ნებიერები!

გილდესტენის ამ მოსწრებული სიტყვებიდან ჩანს, რომ მას კარგად აქვს გაცნობიერებული საკუთარი ადგილი სამეფო კარის იერარქიაში (თითქოს გილდესტენმა შეისმინა ჰეგელის შეგონება: „თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა“) და აგრეთვე ისიც, რომ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო, რადგანაც „ზედმეტმა“ ბედნიერებამ შესაძლოა უბედურებაც კი გამოიწვიოს!

3) როზენკრაცი:

თვით მარტოხელა, უბრალო კაცი ვალდებულია თავი დაიცვას განსაცდელისგან

და მითუმეტეს ეს ევალება იმ ადამიანს ვის სიცოცხლეზეც ბევრის ბედი გამობმულია.

გარდაცვალებით წარჩინებული თან წარიტაცებს მორევის მსგავსად რაც კი რამ არის თავის მახლობლად, ის ემსგავსება მთის მწვერვალზე დამაგრებულ მასიურ ბორბალს გიგანტურ მორგვზე მორგებული ათასი ნივთით

და თუ ბორბალი თავქვე დაეცა ყველა ეს ნივთი

ხმაურიანი დანარცხებისთვის განწირულია;

დასაბამიდან მეფეთა გმინვას ხალხიც ვაებით ეგებებოდა!

ეს როზენკრანცის ღრმააზროვანი მსჯელობაა სახელმწიფოს, მეფის

ინსტიტუტის არსის შესახებ, მაგრამ ეს მაინც ვასალის მსჯელობაა ამ შემთხვევაში!

ჩემი აზრით, მეორეხარისხოვანი გმირების ამგვარი „დაბრძენება“ იმით შეიძლება აიხსნას, რომ დრამატურგს არ აქვს საშუალება სრულად გადმოსცეს გმირის შინაგანი განცდები, ფიქრები პიესაში თვით სპექტაკლის სპეციფიკურობის გამო, რადგანაც სცენაზე მსახიობი მაყურებლის წინაშე „საბოლოო“ სახით — მეტყველებით წარსდგება! (ეს „საბოლოო“ სახე კი სწორედ გმირის ფიქრებმა და განცდებმა შეამზადა, „დაბადა“!). მწერალს კი რომანში, მოთხრობაში და ა.შ. საშუალება აქვს დეტალებში აღწეროს ის პირობები, გარემო, რომელშიც ესა თუ ის პერსონაჟი იმყოფება, გადმოსცეს მისი წარსული, გააკეთოს დროში წანაცვლებები, აღწეროს ბუნება და ა.შ. პიესაში კი ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელია და ამ „ზარალის ანაზღაურება“ (დეტალების შევსება!) რეჟისორს ევალება დეკორაციების, მუსიკალური გაფორმების, განათების და ა.შ. ხარჯზე. რა თქმა უნდა, დრამატურგი პიესას წერს იმ გაანგარიშებით, რომ მას მაყურებელი ნახავს, მაგრამ დრამატურგს შესაძლოა გააჩნდეს მისწრაფება, რომ პიესაში მანაც დაწეროს ისეთი ადგილები, რომლებიც მხოლოდ რომანში, მოთხრობაშია შესაძლებელი. ამიტომ პიესაში შეიძლება იყოს ე.წ. „ლიტერატურული ადგილები“ (მაგალითად, გმირის ისეთი მონოლოგები, რომლებიც უფრო პიესის მკითხველთათვისაა გათვალისწინებული, ვიდრე მაყურებლებისათვის). შექსპირს, აუცილებლად ექნებოდა მრავალი ცხოვრებისეული დაკვირვება და მიგნება თავი-

სი გენიისა და ასოციაციური აზროვნების სირთულის გამო (ფსიქოლოგიაში კარგად არის შესწავლილი ეს ფენომენი და ყოფით ცხოვრებაშიც დაკვირვებული ვართ, რომ მარტო ყოფნისას ერთ საგანზე ფიქრისას, ხშირად მეორე, მესამე და ა.შ. საგნებზე ვინცებთ ხოლმე ფიქრს ანუ ჩვენდაუნებურად „ავანყობთ“ ხოლმე კარგად ცნობილ ფიქრების „ასოციაციურ ჯაჭვს“, ისე რომ სანყისი „დედა“ ნაფიქრი შესაძლოა აღარც კი გვახსოვდეს! ანალოგიურ მოვლენას შეიძლება დავაკვირდეთ „უბრალო“ კამათისას, როდესაც მოკამათებმა შესაძლოა ვეღარც კი გაიხსენონ თუ რის გამო დაიწყეს კამათი, ისე შორს „გაიტაცებს“ ხოლმე მათ იგივე „ასოციაციური ჯაჭვი“!) და მას ენანებოდა ისინი არ დაეფიქსირებინა პიესაში, რის გამოც ეს დაკვირვებები და მიგნებები „მომოფანტულია“ მეორეხარისხოვანი გმირების მეტყველებაშიც; ამ „ლიტერატურული ადგილების“ მაყურებელმდე მიტანა კვლავ რეჟისორის ხელოვნებაზეა დამოკიდებული! მართლაც, რეჟისორს აქვს დიდი თავისუფლება საკუთარი გემოვნების, შეხედულებების მიხედვით გადმოსცეს ეს ადგილები. ამიტომ, მე მგონი, ყველაზე კარგი რეჟისორი, თავად დრამატურგი უნდა იყოს, რადგანაც ყველაზე უკეთ მან იცის თუ რა დაწერა და მასზედ უკეთ ვერავინ შეძლებს, ამჯერად უკვე სპექტაკლში განახორციელოს თავის ჩანაფიქრი! ამგვარი მიდგომით შესაძლოა აიხსნას ის ფენომენი, რომ შექსპირი თავად იყო საკუთარი პიესების რეჟისორიც და მსახიობიც. ასევე მახსენდება, რომ ჩარლი ჩაპლინი საკუთარი ფილმების სცენარისტი, მთავარი როლის შემსრულებელი და მუსიკის ავტორი იყო. ასე რომ გენიოსებს

საკუთარი მიგნებები და დაკვირვებები თავად სურთ სრულად განახორციელონ, რისთვისაც ისინი ერთდროულად რამოდენიმე პროფესიას ითვისებენ. ამასთან დაკავშირებით მახსენდება გამოჩენილი ამერიკელი ფიზიკოსის, ნობელის პრემიის ლაურიატის რიჩარდ ფეინმანის შემდეგი გამონათქვამი: “ბუნებამ არ იცის დაყოფა ფიზიკად, ქიმიად, ბიოლოგიად, ფსიქოლოგიად და ა.შ. უბრალოდ ერთი ადამიანის გონება ვერ წვდება ყველაფერს და ამიტომ მოხდა ეს ხელოვნური დაყოფა!” მართლაც ამგვარი ხელოვნური დაყოფა სხვადასხვა პროფესიებად მოგვიანებით მოხდა, როდესაც გართულდა ბუნების შესწავლის პროცესი, მაგრამ შექსპირის მსგავს გენიოსებს არ ჭირდებათ ბუნების ასეთი “დანანევრება” და ისინი ბუნებას მთლიანობაში აღიქვამენ!

* * *

“ჰამლეტში” შექსპირი ორი ტიპის სულიერ აშლილობას აღწერს: ჰამლეტის მოჩვენებით და ოფელიას ნამდვილ, კლინიკურ შეურაცხადებობას. ჰამლეტის მოჩვენებითი სიგიჟის ეფექტს შექსპირი შემდეგი საშუალებებით აღწევს: ჰამლეტი შენიღბულად ან აშკარად ამბობს სიმართლეს, ბავშვურ აღტაცებას ავლენს, სიტუაციისათვის აშკარად შეუფერებელ, არადეკვატურ ფრაზებს წარმოსთქვამს ინგლისური ენისთვის დამახასიათებელი სიტყვების მრავლმნიშვნელობას იყენებს. “სიგიჟის ტექნიკის” საილუსტრაციოდ მოვიტანოთ მაგალითები პიესის ტექსტიდან

ა) ჰამლეტი ეუბნება ოფელიას: **„ჩვენ ყველანი ხელიდან წასული მატყუარები ვართ!“**. ჰამლეტი ამ შენიღბულ განცხა-

დებას იმიტომ აკეთებს, რომ თავს მატყუარად თვლის იმის გამო, რომ იძულებულია თავი მოიგიჟიანოს!

ბ) ჰამლეტი თავის „მეგობრებს“ გილდენსტენსა და როზენკრაცს ეუბნება: **„ამჟამად ბიძაჩემი დანიის ხელმწიფეა და ვინც მას მამაჩემის სიცოცხლეში არაფრად აგდებდა, ახლა მის მომცრო სურათებში ოცს, ორმოცს, ორმოცდაათს, ასს დუკატსაც კი იხდის. ეს რაღაც ზებუნებრივი მოვლენაა და ნეტავ ფილოსოფიას თუ შეუძლია მისი ახსნა“**

როგორც ვხედავთ ჰამლეტი ირონიულად კიცხავს ბიძამისს და თან განზოგადებასაც აკეთებს ამ კონკრეტული ფაქტიდან — ზოგჯერ უვარგისი ადამიანი მოვლენების სათავეში ხვდება და ჰამლეტს უნდა გაიგოს თუ რა არის ამის მიზეზი! ჰამლეტის ამგვარი აშკარა კრიტიკა კლაუდიუსისა, შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ მისი “სიგიჟის” ფონზე, რადგანაც მსგავს წინადადებებს ნორმალური ადამიანი ხმამაღლა არ ამბობს! გარკვეული აზრით ჰამლეტის ნიღაბი “მომგებიანია” - დაუფარავად ამბობს იმას რასაც ფიქრობს (გულს იოხებს!) და თან ამ ქმედებით შეშლილად აჩვენებს თავს გილდენსტენს და როზენკრაცს.

ასევე სიმართლეს ამბობს ჰამლეტი ოფელიას დაკრძალვის სცენაშიც.

ლაერტი:

ოჰ, შენ უსაზღვრო მწუხარებავ მიდი განგმირე ის ბილწი სული, ვინც შენ წაგართვა ცნობიერება! ჯერ შეიცადეთ, არ ჩაჰყაროთ საფლავში მინა, რომ მიუზხუტო უკანასკნელად საბრალო მკერდზე (ჩახტება საფლავში)

მაშ დაგვაყარეთ გროვებად მინა
ცოცხალსაც, მკვდარსაც
და წამომართეთ ვაკე ადგილზე
ძველ პელიონზე და ლურჯ ოლიმპზე
მაღალი ბორცვი
ჰამლეტი (უახლოვდება საფლავს):
ვინ არის ნეტავ, ვისი დარდიც ასე ლა-
ლადებს

და ვისი მოთქმაც მოძრავ ვარსკვლავებს
ცაზე აჩერებს გაოგნებული მსმენელებ-
ვით?

ეს მე ვარ, ჰამლეტ, დანიის პრინცი
(ჩახტება საფლავში)

ლაერტი:
მხოლოდ ეშმაკი მიიბარებს, შენს
უბადრუკ სულს!

(ებრძვის ჰამლეტს)
ჰამლეტი:
არ გცოდნია ლოცვა-ვედრება!
ხელი აიღე, ყელში ნუ მწვდები;
თუმც არ ვარ ახლა გაცხარებული
მაგრამ ჩემშია საფრთხილო რაღაც

და ამიტომაც გთხოვ მომერიდე. ხელი
აიღე!

ხელმწიფე:
გააშველეთ ისინი სწრაფად!
დედოფალი:
ჰამლეტ, ოჰ, ჰამლეტ!

ყველანი:
როგორ იქცევით?
ჰორაციო:
ჩემო მეუფე, კარგით, გეყოფათ!
(კარისკაცები აშველენ მათ და ისინი სა-
ფლავიდან ამოდიან)

ჰამლეტი:
მე ამისათვის მზად ვარ ვიბრძოლო
სანამ თვალეები სამუდამოდ დამიხუჭია

დედოფალი:
ო, შვილო ჩემო, რა ამისათვის, გამაგე-
ბინე?

ჰამლეტი:
მე ოფელია მიყვარდა ძლიერ:
ორმოცი ათას ძმის სიყვარულიც
ვერ გადასწონის ჩემს წმინდა გრძნობას!
რა შეგიძლია შენ გააკეთო
მის ხსოვნის ნიშნად?

ხელმწიფე:
ის შეშლილია, იცოდე ლაერტ!

დედოფალი:
ღვთის გულისათვის, გთხოვ მოუთმინე!

ჰამლეტი:
შენ რას იზამდი? დაიტირებდი?
იბრძოლებდი?

იმარხულებდი? დაიტანჯავდი საკუთარ
თავს?

ძმარს შესვამდი? ნიანგს შეჭამდი?
ეს ყველაფერი მეც შემიძლია!
შენ აქ მოხვედი ზღუქუნისათვის?
ჩემს ჯიბრზე ხტები მის საფლავში?
ცოცხალი გინდა დაიმარხო შენს დასთან

ერთად?
მეც თან მოგყვები!

.....
მეც შემიძლია ისე ვიყვირო,
როგორც შენ ყვირი!

დედოფალი:
ეს ქეშმარიტად სიგიჟეს ნიშნავს,
მაგრამ სულ მალე გადაუვლის ეს

შემოტევა
და მიწყნარდება თავის ბარტყებზე
გადაფოფრილ დედა მტრედივით!

როგორც ამ შემზარავი სცენიდან ჩანს,
ჰამლეტი დაუფარავად, ყოველგვარი, მისი
მდგომარეობის შესაბამისი მაღალი ეტიკე-
ტის დაცვის გარეშე, ამბობს იმას, რასაც

განიცდის ოფელიას ღია საფლავთან და სწორედ ეს „ზედმეტი“ გულწრფელობა, „შიშველი“ სიმართლე აღიქმება მის სულიერ აშლილობად!

გ) პოლონიუსი ეუბნება ჰამლეტს, რომ დედა იბარებს, ჰამლეტი კი მოხერხებულად იყენებს იმ ფიზიკურ ფაქტს, რომ ღრუბლები ცაზე სწრაფად იცვლიან ფორმას და ადარებს მათ ხან აქლემს, ხან კვერნას და ხანაც კი ვეშაპს (რასაც პოლონიუსი უსიტყვოდ ეთანხმება). აქ უკვე ჰამლეტის „შეშლილობა“ გადმოცემულია ბუნების მოვლენებისადმი ბავშვური აღტაცებით — მოზრდილები ხომ საკუთარი ემოციების გამოხატვას ვერიდებით!

დ) კლაუდიუსის შეკითხვაზე თუ სად არის პოლონიუსი, ჰამლეტი შემდეგ

“უცნაურ” პასუხს იძლევა:

ჰამლეტი:

ვახშამზე

ხელმწიფე:

ვახშამზე! სად?

ჰამლეტი:

იქ სადაც ის კი არ ჭამს, არამედ მას ჭამენ: პოლიტიკოსი მატლების მთელი კონგრესი შეკრებილა მის სიახლოვეს. პურის ჭამისისას (საკვების მიღებისას), თქვენი ნამდვილი მბრძანებელი თქვენი მატლია: ჩვენ სხვა არსებებს მხოლოდ იმისთვის ვასუქებთ, რომ ჩვენ დაგვასუქონ და ჩვენ კი იმისთვის ვსუქდებით, რომ მატლები დავასუქოთ. მსუქანი ხელმწიფე და გალეული ლატაკი: ეს მხოლოდ ორი კერძია მატლების სუფრაზე. ყველას ეს ელის.

ხელმწიფე:

ვაი რომ, ვაი რომ!

ჰამლეტი:

კაცს შეუძლია ითევზაოს იმ მატლით,

რომელსაც ხელმწიფის ხორცი გაუსინჯავს და ჭამოს ის თევზი, რომელიც ამ მატლით დანაყრდა.

ხელმწიფე

მაგიტ რისი თქმა გინდა?

ჰამლეტ

არაფერი, იმის გარდა, რომ მინდოდა მეჩვენებინა, თუ როგორი წარმატებით შეუძლია ხელმწიფემ გაისეირნოს ლატაკის ნაწლავებში!

ამ შემთხვევაში გადმოცემულია შექსპირის ძალზედ ღრმა ფილოსოფიური დაკვირვებები ცხოვრებაზე, მის წარმავლობაზე (და თან შექსპირისათვის დამახასიათებელი გარკვეული სილალით!), თუმცა აშკარა უადგილობის გამო (თუ სად და როდის ითქმება!) ეს ყველაფერი კვლავ ჰამლეტის სულიერ აშლილობად აღიქმება! ჰამლეტს კი ისევ მომგებიანი პოზიცია უკავია: იგი თავის სათქმელს (ამ შემთხვევაში ცხოვრებისეულ დაკვირვებებს) მაშინ ამბობს როცა უნდა! მოგვიანებით კი მესაფლავებთან ჰამლეტის არანაკლებ ღრმა აზროვანი ჰამლეტის “ხაიმისებური” მსჯელობა (როდესაც მას ხელში უჭირავს სასახლის ყოფილი მასხარის თავის ქალა და ალექსანდრე მაკედონელზე ხმამაღლა ფიქრობს!) უკვე “სიგიჟის იარლიყს” აღარ ატარებს:

ძღვევამოსილი კეისარი გარდაიცვალა და იქცა თიხად

და ახლა ხვრელში გაჩხერილი აკავებს გრიგალს,

ო, სწორედ იმან, ვინც თავზარს სცემდა მთელ დედამიწას

უნდა დაგვიცვას ჩვენ, ჩვენს სახლებში ზამთრის ბუქისგან!

ჯერ ერთი, სასაფლაო სწორედ ამგვარი ფილოსოფიური განწყობის შესაფერისი ადგილია და მეორეც, მესაფლავებთან “მოგიჟიანება” არც სჭირდება ჰამლეტს, რადგანაც მათ არ იციან, რომ მათ წინ “შეშლილი” დანიის პრინცია!

ე) ჰამლეტი ოფელიას ასე მიმართავს: **“Get thee to a nunnery!”**. “მონასტერში წადი!” მაგრამ საქმე იმაშია, რომ სიტყვა “nunnery”-ის ორი მნიშვნელობა გააჩნია: მონასტერი და საროსკიპო! ასე რომ, ამ შემთხვევაში შექსპირი იყენებს ინგლისური ენისათვის დამახასიათებელ სიტყვათა მრავალმნიშვნელობას და ჰამლეტის მიმართვა ორაზროვნად შეიძლება გავიგოთ მის “შეშლილობის პროგრამის” შესაბამისად!

ოფელიასთან კი საქმე გვაქვს ჭეშმარიტ შეურაცხადობასთან და ამიტომ მისი ფრაზები ცალკეული მოგონებებისა და შეფასებების სრულიად დაუკავშირებელი სიტყვების “გროვაა”! (სწორედ ეს არის კლინიკური გამოვლენა სულიერი დაავადებისა!). მე მგონი, ფსიქიურად ნორმალური ადამიანისათვის, შექსპირისათვის საკმაოდ რთული უნდა ყოფილიყო ამგვარი სრულიად უსისტემო ფრაზების მოგონება. მართლაც, მაგალითად, ცნობილია, რომ ფსიქიატრები გარკვეულ ექსპერიმენტებში, განასხვავებენ შიზოფრენიით დაავადებულ ადამიანისა და ავანგარდისტი მხატვრის ნამუშევრებს. შესაძლოა შექსპირს ეხმარებოდა ცხოვრებაში ნანახი რომელიმე რეალური ფაქტი, რაც მან შემდგომ პიესაში გამოიყენა ან ჩვენ ვერ ვამჩნევთ, რომ ეს დაუკავშირებელი ფრაზები მაინც ნორმალური ადამიანის შექმნილია. (სპეციალისტი კი ამას ადვილად დაადგენს!)

* * *

ჰამლეტმა კარგად იცის საკუთარი თავის ფასი, თუ თვითონ ვინ არის და შესანიშნავად ერკვევა იმაში თუ რა უნდათ მისგან, რაც კარგად ჩანს შემდეგი “ფლეიტის სცენიდან”

ჰამლეტი:

დაუკრავ რამეს ამ ფლეიტაზე?

გილდენსტენი:

არ შემიძლია, ჩემო მეუფე

ჰამლეტი:

ძალიან გთხოვ!

გილდენსტენი:

დამიჯერეთ არ შემიძლია!

ჰამლეტი:

გევედრებით!

გილდენსტენი:

ისიც კი არ ვიცი ხელში როგორ დავიკავო!

ჰამლეტი:

ეს ისევე იოლია, როგორც სიცრუის წარმოქმნა. მართეთ ეს ნახვრეტები თქვენი თითებით, ჩაბერეთ მათში და ისინიც საამურ ხმებს გამოსცემენ. შეხედეთ ეს სარქველებია გილდენსტენი:

მაგრამ მე არ შემიძლია გამოვაცემინე ამ სარქველებს არავითარი კეთილხმოვანება. მე არ ვფლობ ამ ხელოვნებას!

ჰამლეტი:

ხედავთ ახლა მაინც, რა უღირს არსებად მიგაჩნივართ. თქვენ ჩემზე თამაში გადწყვიტეთ; თქვენ გინდათ გული ამოგლიჯოთ ჩემს საიდუმლოს, გინდათ გაიგოთ ჩემი სულის ნოტები უმდაბლესიდან უმაღლეს ბგერამდე, ამ პატარა საკრავს კი მშვენიერი ჰანგების გამოცემა შეუძლია, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ მას ხმა ამოაღებინოთ. ეშმაკმა დალახვროს, თქვენ ფიქრობთ, რომ ჩემზე

უფრო ადვილია თამაში, ვიდრე ამ ფლეიტაზე? მიწოდეთ რომელიც გინდათ იმ საკრავის სახელი, რამდენიც გინდათ ნერვები ამინუნეთ, მაგრამ თქვენ ვერ შეძლებთ ჩემზე თამაშს!

ამავდროულად ჰამლეტი „უხერხემლო“, „ქარის წისქვილებთან“ მებრძოლი რაინდიც არ არის, არამედ იგი კარგად იცნობს ცხოვრებას, კარგად იცის თუ რა ხდება „ქვემოთ“ სასახლის შიგნით თუ გარეთ. აქედან კი გამომდინარეობს მისი მამხილებელი სიმკაცრე ხელქვეითების მიმართ. ამის დასტურად განვიხილოთ შემდეგი ორი ეპიზოდი

ა) როზენკრაცი:

თქვენ მე ღრუბელს მადარებთ, ჩემო მეუფევ?

ჰამლეტი:

დიახ, ღრუბელს, რომელიც გაჟღენთილია ხელმწიფის გამომეტყველებებით, წყალობებით და ბრძანებებით. მაგრამ ბოლოს ამგვარი მოხელეები საუკეთესო სამსახურს უწევენ ხელმწიფეს: იგი მათ მაიმუნივით პირის ერთ-ერთ კუთხეში მიუჩენს ადგილს; ყველაზე ადრე პირში ჩადებულს კი, ყველაზე გვიან ყლაპავს და როცა დასჭირდება, ერთი ხელის მოჭერით გამოგწურავთ იმას, რაც შეისრუტეთ და კვლავ მშრალ ღრუბელად გაქცევთ

როზენკრაცი:

მე არ მესმის თქვენი, ჩემო მეუფევ

ჰამლეტი:

მე მხოლოდ მიხარია ეს: მოსწრებულ სიტყვას სძინავს უგნურის ყურში

ბ) მეორე ეპიზოდში ჰამლეტი ძალიან მკაცრად, მაგრამ სამართლიანად ახასიათებს ერთ-ერთ კარისკაცს ოსრიკს (ცხოვრებისეულ კიბეზე ზემოთ ასულები კარგად

ხედავენ იგივე ზემოთ ასვლის სურვილით შეპყრობილ ქვემოთ დარჩენილთა ზრახვებს, იციან მათი ნამდვილი ფასი)

ოსრიკი:

თქვენო ბრწინვალეზავ, კეთილი იყოს თქვენი დანიაში დაბრუნება

ჰამლეტი:

დიდ მადლობას მოგახსენებთ (ხმადაბლა ჰორაციოს) ამ ქინქლს თუ იცნობ?

ჰორაციო: (ხმადაბლა ჰამლეტს)

არა, არ ვიცნობ, ჩემო კეთილო პრინციო ჰამლეტი: (ხმადაბლა ჰორაციოს)

შენ ჩემზე უკეთეს მდგომარეობაში ყოფილხარ, რადგანაც სირცხვილია ასეთ ადამიანთან ნაცნობობა! იგი დიდძალი, ნაყოფიერი მიწების მფლობელია: პირუტყვიც კი, მეფის კართან დაახლოებული ხდება, თუკი სხვა პირუტყვებზე ბატონობას შეძლებს! იგი ჭილყვავია, მაგრამ როგორც ვთქვი, დიდი სიბინძურის მეპატრონეა!

ოდნავ მოგვიანებით კი შემდეგ გამანადგურებელ შეფასებას აძლევს ჰამლეტი ოსრიკს: „მან და ბევრმა მისნაირმა ეს უვარგისი საუკუნე უზომოდ შეიყვარეს, დროს ფეხი აუწყვეს და საზოგადოებაში წარმოსაჩენად შეიმოსნენ მხოლოდ გარეგნული მოკაზმულობით; ისინი მაგონებენ ყველაზე უფრო უაზრო და ნაცოდვილარი შეხედულებების შუშხუნა ნარევს, მაგრამ გამოსაცდელად საკმარისია ოდნავ შეუბეროთ და ბუმტუკები უმაღ გაქრება!“

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქართული მზერა

გზა მოეც ისეთ უიღბლობის შემორკინებას
 ლაშა-გიორგის ხმას რომ ჩრდილავს, პე, პამადავლე!
 ძმარი შეასვი ლურსმნის ფერდზე გაკიდულ ნებას,
 საკუთარ სიზმარს ჩონჩხის ყანწით შენ სანამ დაღვე
 კიდურზე მშვილდად დრო მოგწვედება გადანვართული,
 მტვირიან ქონგურზე მათრახები გულმშვიდად ავლენ,
 ყველა ეპოქას მოიწველებს მზერა ქართული,
 მზის ფერხულს ქვიშად შემოაცვდი, პე, პამადავლე! შე
 ისე მცხელა, უდაბნოთა კიუინის ფერად
 უამითი კარი უსასრულო ტალღებით განვცლე, მამუ-
 ლის ძარღვი გადამექცა უხავსო წერად
 შენ რომ გაკრთობდა უშორეს დღეს, პე, პამადავლე!
 გზა მოეც ისეთ უიღბლობის შემორკინებას, რომ შიმ-
 საც ხელი ვითა ფაფარს ისე წაავლე,
 მზემ ლაშას მზერის სილურჯეში სვლა თუ იწება,
 საუკუნენი აღმა დავლენ, პე, პამადავლე!

იპა ქაღაბიძე

1994 წ.

